პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რ ე დ ა ქ ც ი ა
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეებისათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 29 მაისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 120 (1865)

დ ღ ი უ რ ი

- მოსკოვში ჩავიდა ამერიკის სატელეგრაფო სააგენტოს „ასოშიეიტედ პრესის“ გენერალური დირექტორი კუპერი.
- საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს მორიგი პლენუმი გაიხსნება 10 აგვისტოს.
- საკავშირო სახკომსაბჭომ 50 ათასი მანეთი გადასდო ახალი თურქული ანბანის შემოსაღებათ.
- იაპონიის მთავრობა ჯარებს გზავნის ჩრდილოეთ მანჯურიაში
- ჩეხო-სლოვაკიის პრეზიდენტათ ხელახლა აირჩიეს მასარიკი.

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

პროფკავშირთა მეექვსე ყრილობის შედეგები

ექვსი დღის მუშაობის შემდეგ დაიხურა გუშინ საქართველოს პროფკავშირთა მეექვსე ყრილობა.

მან მოისმინა ანგარიში პროფსაბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობისა და მოიწონა ეს მუშაობა. გაარჩია კავშირების საორგანიზაციო, კულტურული და სატარიფო-საეკონომიო მუშაობის საკითხები. გაეცნო სოციალური დაზღვევის დღევანდელ მდგომარეობას საქართველოში. განიხილა საკითხები კოოპერაციის მუშაობის, ჩვენი სამრეწველო მშენებლობის და სხვ. შესახებ.

საორგანიზაციო მუშაობის დარგში ყრილობამ გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა მიმდინარეობდეს ეს მუშაობა: კიდევ უფრო მტკიცეთ უნდა გატარდეს ფართო საკავშირო დემოკრატია. ამ დემოკრატიის გატარებამ გამოიწვია კავშირების არჩეულ ორგანოების, საშუალოდ, 80 პროცენტამდე გადახალისება. ეს გადახალისება შემდეგშიაც უნდა გატარდეს. პროფმუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გადაწყდა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა და პროფკავშირთა საბჭოს რწმუნების ვადის გადიდება წელიწად-ნახევრამდე. ყრილობამ მიიღო დადგენილება ცალკე კავშირებში სექციების გამოყოფის შესახებ, შრომის სხვადასხვა დარგში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების უკეთესად დაცვის მიზნით.

მასებთან უფრო მჭიდრო კავშირის დასაჭერად და მათ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, დადგენილ იქნა ჩატარდეს საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების სრული განტვირთვა ზედმეტ ფუნქციებისაგან, რათა კომიტეტის წევრებს მეტი დრო ჰქონდეთ წარმოება-დაწესებულებებში ჩამოვლისა და საჩივრების და განცხადებების მოსმენისათვის.

საერთო კრებების შესახებ ყრილობამ საჭიროდ სცნო კრებების უფრო მომზადებულად მოწვევა და იქ ისეთი საკითხების განხილვა, რომელიც მასებს აინტერესებს. მიღებული იქნა დადგენილება საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებთან კოოპერატიულ კომისიების შექმნის შესახებ. ამ კომისიებს ევალებათ მუშათა ჩაბმა კოოპერაციაში, ფასების დაკლებაზე მეთვალყურეობა და სხვ.

საკავშირო ფინანსების საკითხის განხილვის დროს აღნიშნული იყო, რომ დავალიანებები შემცირდა. შემდეგშიაც ამ მოვლენას უნდა მიექცეს ყურადღება. ყრილობამ დაადგინა საკავშირო აპარატის გაიაფება, ანარიცხების სრული აკრეფისათვის ზომების მიღება და სხვ.

დაწვრილებით აღნიშნულ იქნა ყრილობის დადგენილებებში კავშირების საორგანიზაციო მუშაობა სოფლად, ახალგაზრდობის და ქალთა შორის, პროლეტარულ სტუდენტობის, საინჟინრო-ტექნიკო ძალებსა და უმუშევრებს შორის.

სატარიფო-საეკონომიო დარგში ყრილობამ აღნიშნა გასულ წელში მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება და, ხელფასის ზრდასთან ერთად, შრომის ნაყოფიერების პროპორციული ზრდა. ყრილობამ გაითვალისწინა, რომ მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დამთავრების გამო, მისი შემდეგი ზრდა შეიძლება მოხდეს ახალ წარმოებათა აღმშენებლობის და ძველის ტექნიკურად გაუმჯობესების გზით. ამ პირობებში შრომის ხელფასის ზრდა ვერ წავა ისეთივე ტემპით, როგორითაც ეს წინა წლებში იყო. ხელფასის გადიდება მოხდება მისი რეალური რაოდენობის ზრდით, ფასების დაკლების საშუალებით.

ყრილობამ დაადგინა მიღებული იქნას ზომები ხელფასის მხრივ ჩამორჩენილ ჯგუფების წინ წასაწევად, კერძოდ განათლების, საექიმო-სასანიტარო მუშაკთა, საბჭოთა დაბალ ორგანოების და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ მოსამსახურეთათვის.

საჭიროდ იქნა ცნობილი ენერგიული მუშაობა წარმოება - დაწესებულებებში ხელფასის საკითხების მოსაწესრიგებლად. უნდა გატარდეს: დროულიდან ნარდზე გადასვლა, პრემიალური ჯილდოს გაცემა მუშაობის შედეგების მიხედვით და არა მექანიკური მომატებით, ზედმეტი გადამუშავების სიჭრელის მოგვარება, სატარიფო განაკვეთის წილის ზრდა საერთო ხელფასში დიდ გადამუშავებათა ხარჯზე, მოსამსახურეთა ხელფასის მოწესრიგება სათანამდებობო განაკვეთებით და სხვ.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა საკითხში ყრილობამ აღნიშნა თავის დროზე მათი დაუდებლობა და სათანადო მუშაობის გაჭიანურება. ხელშეკრულებათა გადასინჯვაზე მოლაპარაკება უნდა იქნეს დაწყებული იმ ვარაუდით, რომ ძველი ხელშეკრულების გათავებისთანავე ახალი შევიდეს ძალაში. ხელშეკრულება უნდა დაიდოს ერთი წლის ვადით, აქამდე არსებულ ექვსი თვის მაგივრად. ხელშეკრულებათა დასრულების ვადა უნდა იქნეს შეფარდებული საკალენდარო და არა სამეურნეო წლის ბოლოსთან. ეს ფრიად მიზანშეწონილია, რამდენადაც ასეთი წესი იძლევა საშუალებას, რომ უკეთესად იქნეს გათვალისწინებული ცალკე მეურნეობათა მდგომარეობა. კავშირებმა უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე და უფრო მოქნილობა ხელშეკრულებათა დადების დროს სოფლის მეურნეობაში, წვრილ-ხელოსნურ წარმოებებში და შინამოსამსახურეების მიმართ.

საკონცესიო წარმოებაში კავშირების მუშაობის შესახებ ყრილობამ, აღნიშნა რა ამ მუშაობის სირთულე და საჭიროება კავშირის მოქმედების შეთანხმებისა სახელმწიფო პოლიტიკასთან კონცესიონერების მიმართ, მოუწოდა კავშირთა წევრების ინტერესების მაქსიმალურად დაცვისა და დაკმაყოფილებისაკენ. ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკონცესიო წარმოებებში კავშირების მიერ ერთნაირათ უნდა იქნენ დაცული როგორც ფიზიკური, ისე არაფიზიკურად მომუშავენი (მოსამსახურენი). ყრილობამ არანორმალურად სცნო მთელ რიგ მუშათა კატეგორიებისათვის საკონცესიო წარმოებაში კოლექტიურ ხელშეკრულებების უქონლობა.

სოციალისტურ მშენებლობაში კავშირების მონაწილეობა ყრილობამ სცნო კავშირების ერთ მნიშვნელოვან პრაქტიკულ საკითხად. კავშირებმა ეს მუშაობა უნდა აწარმოონ ისე, რომ მაქსიმალურად ჩააბან ამ საქმეში მუშათა ფართო მასები. მასების აქტივობა ამ მხრივ უზრუნველყოფილია მუშა-მოსამსახურეთა აქტივობის ზრდით, რომელიც მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების და კულტურული დონის აწევის პირდაპირი შედეგია.

ყრილობის დადგენილებით კავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ წარმოების რაციონალიზაციის საკითხებს, ტექნიკის და ორგანიზაციის გაუმჯობესებას, სახელმწიფო და სამრეწველო აპარატის ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან ბრძოლას, ნაწარმოების თვითღირებულების შემცირებას, შრომის პირობების გაჯანსაღებას და სამუშაო ძალის გამოყენებას.

საწარმოო და ეკონომიურ თათბირებს, როგორც საუკეთესო ფორმას მუშების საწარმოო აღზრდისა, დეფექტების გასწორებისა, ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა და მუშების და ადმინისტრაციის დაახლოვებისა აზრთა გაცვლა-გამოცვლის ნიადაგზე,—კავშირებმა უნდა მიაქციონ დიდი ყურადღება და მეტი ენერგია გამოიჩინონ ამ საქმის მოსაწესრიგებლად. განსაკუთრებით მიუთითებს ყრილობა მუშათა საქმიან წინადადებების და გამოგონებების ცხოვრებაში გატარებაზე და მათ მატერიალურ დაჯილდოვებაზე, რისთვისაც ყველა სახელმწიფო წარმოებებში უნდა შეიქნეს სპეციალური ფონდები პრემიების გასაცემათ.

სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმთან წარმატებით ბრძოლისათვის, ყრილობა საჭიროდ სთვლის მუშათა დაწინაურებას სახელმწიფო აპარატში. ეს მუშაობა, აქამდე სუსტი, უნდა გახდეს კავშირების პრაქტიკულ ყოველდღიურ საკითხად. სისტემატიურად და თანდათანობით უნდა აყენებდენ კავშირები ნიჭიერ და აქტიურ მუშებს სახელმწიფო აპარატში სამუშაოთ.

კავშირების საკონფლიქტო მუშაობა თუმცა საგრძნობლად გამოსწორდა, მაგრამ მას კიდევ ემჩნევა დეფექტები. ყრილობა მიუთითებს კავშირებს ამ დეფექტების გამოსწორების საჭიროებაზე, კერძოთ უნდა გატარდეს კონფლიქტების დროულად გარჩევა-დაბოლოება, უნდა აღმოიფხვრას კავშირების მიერ ადმინისტრატიული ფუნქციების მითვისების პრაქტიკა, უნდა შეწყდეს კონფლიქტების გაჭიანურება სასამართლოებში და სხვა ორგანოებში. ყრილობამ აღნიშნა, რომ სამეურნეო ორგანოებში ვერ არის დაყენებული თავის რიგზე შრომის საკითხები და ამიტომ ხშირად კონფლიქტები გამოწვეულია გაუგებრობით და არსებულ კანონმდებლობის უცოდინარობით. ყრილობის მიერ აღნიშნული იყო სპეციალურად ამ ბოლო დროს ქალთა დათხოვის გახშირება. საჭიროდ იქნა ცნობილი ამ ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლა.

ყრილობამ დასახა მთელი რიგი ზომები უმუშევრობის შენელებისათვის. დადგენილ იქნა უმუშევრებისათვის დახმარების გადიდება და ამ დახმარების გაცემის წესის შეცვლა, უმუშევრების გადამზადება არსებულ მოთხოვნილებასთან შეფარდებით, კავშირის უმუშევარ წევრების შრომის ბირჟებში სავალდებულო აღრიცხვა, კავშირის წევრების დაქირავების უპირატესობა კოლექტიურ ხელშეკრულებებით და ამ მხრით ხელშეკრულებათა დარღვევასთან ბრძოლა.

კულტმუშაობის დარგში ყრილობამ აღნიშნა ამ მუშაობის მიღწევები: დასვენება-გართობის მოწყობა კლუბებში, მასების ჩაბმა საკლუბო მუშაობაში, საექსკურსიო საქმის მოწესრიგება და გაფართოება, პროფგანათლების დაყენება სათანადო დონეზე, სამხატვრო მუშაობის განვითარება და სხ.

საკლუბო მუშაობაში ყრილობამ სცნო საჭიროდ ახალი კლუბების აღმშენებლობა და საკლუბო მუშაობის ისეთი ფორმებით წარმოება, რომელიც უფრო იზიდავს მოზრდილ მუშებს, საკლუბო საწევრო გადასახადის გადიდება, ახალგაზრდებისათვის სპეციალურ სექციების შექმნა კლუბებთან და სათანადო ბინით უზრუნველყოფა, მუშა ქალების და მუშათა ცოლების ჩაბმა კლუბებში.

სალექციო-საექსკურსიო საკითხებში ყრილობამ საჭიროდ სცნო ლექციებისათვის გეგმითი ხასიათის მიცემა. რადიო-მუშაობამ კავშირების საკულტურო მუშაობაში უნდა დაიჭიროს სათანადო ადგილი.

ახალი წარმოებების გახსნის გამო ყრილობა საჭიროდ სცნობს იქ ძირითადი კულტმუშაობის სათანადოთ დაყენებას მუშების ახალ ფენების კულტურული დონის ასამაღლებლად.

ფიზკულტურის დარგში ყრილობის დადგენილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მასების სამხედრო მომზადებას, რისთვისაც უნდა მოეწყოს სამხედრო კურსები და სასროლო წრეები.

ყრილობამ მიიღო დადგენილება საწარმოო და პროფტექნიკურ განათლების საკითხების შესახებ—შეგირდობის სკოლების გაფართოვება, მათი მატერიალური უზრუნველყოფა, პროფტექნიკურ კურსების პროგრამაში საწარმოო სწავლების გაძლიერება, პროფცოდნის სკოლების და მოკლე ვადიან კურსებისა და წრეების ქსელის გაფართოვება და გაუმჯობესება,; საკვირაო და საღამოს უნივერსიტეტების გახსნა და სხ.

ყრილობა შეეხო სადღეისო საჭირბოროტო საკითხს ფასების დაკლების კამპანიის შესახებ კოოპერაციაში და აღნიშნა ამ კამპანიის სისუსტე განსაკუთრებით სოფლად. მან გამოიტანა დადგენილება მუშებისათვის წვრილი კრედიტის ფართოდ შემოღების, სასოფლო-სამეურნეო და ფართო მოსახმარ საგნებით ვაჭრობის გაძლიერების და კოოპერაციის აპარატის გაჯანსაღების შესახებ.

აღნიშნა რა სოცდაზღვევის ორგანოების ფინანსიური კრიზისი ყრილობამ საჭიროდ სცნო იქნეს მიღებული ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. გამოტანილ იქნა კიდევ მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები, რომელნიც შეეხებიან დაზღვევის საქმის გაუმჯობესებას.

ასეთია პროფკავშირთა ყრილობის უაღრესად საქმიანი მუშაობის შედეგები. მათი გატარება ცხოვრებაში, რაც შეადგენს მორიგ პრაქტიკულ ამოცანას, წინ წასწევს ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების ეკონომიურ-კულტურულ ცხოვრებას, მათ კიდევ უფრო აქტიურად მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში და განამტკიცებს პროლეტარიატის დიქტატურას.

მუშათა პარტიის წევრების გამოსვლა თემთა პალატაში

კლაინსის, მექსტონის და პონსონბის პასუხი ხიკსის პროვოკაციაზე

„ურთიერთობის ჩაშლის მიზეზი ის არის, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელნი დაეხმარენ ინგლისის გაფიცულ მემაღაროებს და ჩინეთის ხალხს“

ინგლისის მემარცხენე პრესა სასტიკად ილაშქრებს თემთა პალატის და მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ

ჩემბერლენის ნოტა--ლიტვინოვის პასუხი

ლონდონი, 28 მაისი. 27 მაისს როზენგოლცს ჩააბარეს ჩემბერლენის მიერ ხელმოწერილი შემდეგი შინაარსის ნოტა: „ამას წინედ „არკოს ლიმიტედში“ და რუსეთის სავაჭრო დელეგაციის შენობაში პოლიციის მიერ ჩატარებულმა ჩხრეკამ გამოარკვია, რომ მურგეტის ქ., № 49, სახლიდან სწარმოებდა და ხორციელდებოდა როგორც სამხედრო შპიონაჟი, ისე მტრული პოლიტიკა ბრიტანეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე. პოლიციამ ვერ აღმოაჩინა რამდენადმე საგრძნობი განსხვავება სავაჭრო წარმომადგენლობის წევრებისა და არკოსის თანამშრომელთა ფუნქციებსა და ოთახებს შორის. ჩხრეკამ გამოარკვია, რომ ორივე ეს ორგანიზაცია მონაწილეობას იღებდა ბრიტანეთის საწინააღმდეგო პროპაგანდაში და შპიონაჟში.

მაგრამ საკითხი მარტო ამით არ განისაზღვრება. თქვენი მთავრობა და თქვენ იცნობთ იმ მიწერ-მოწერას, რომელიც სამშაბათს წაიკითხა პრემიერ-მინისტრმა თემთა პალატაში. მინდა მოგაგონოთ, რომ თქვენ მიერ გაგზავნილი დეპეშა, რომელშიაც თქვენ თხოულობდით ისეთ მასალებს, რომლითაც შესაძლებლობა მოგეცემოდათ მხარი დაგეჭირათ მისი უდიდებულესობის მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის ინგლისში,—გაგზავნილი იქნა რამოდენიმე კვირის შემდეგ. იმ გაფრთხილებიდან, რომელიც გათვალისწინებული იყო ჩემს მიერ გადმოცემულ ნოტაში, მიმდინარე წლის 23 თებერვლის თარიღით. ამ ნოტაში მოყვანილი იყო ბრიტანეთის საწინააღმდეგოთ წარმოებულ პროპაგანდის კონკრეტიული მაგალითები და გამოთქმული იყო თხოვნა ამ პროპაგანდის შესაწყვეტათ.

მისი უდიდებულესობის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა მთავრობა ისარგებლებდა ასეთი შესაძლებლობით და, თანახმად სავაჭრო ხელშეკრულების მე-13 მუხლისა, წარმოადგენდა განმარტებას, ან-და გამოასწორებდა დაშვებულ დარღვევის შემთხვევას. საბჭოთა მთავრობამ არ შეასრულა არც ერთი, და არც მეორე. პირიქით, საბჭოთა მთავრობის და მასთან დაკავშირებულ რუსეთის კომუნისტური პარტიისა და მე-3 ინტერნაციონალის მტრული პროპაგანდა, როგორც ბრიტანეთის ტერიტორიაზე, ისე ზღვებს იქეთ მდებარე ბრიტანეთის კუთვნილ ტერიტორიებზე დაუბრკოლებლივ გრძელდებოდა და მან მიაღწია თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მაშინ, როდესაც დიპლომატიური პრივილეგიების ბოროტად გამოყენებით თქვენ სცადეთ ინგლისის საშინაო საქმეებში ჩარევა.

როგორც მე უკვე გაფრთხილებდით 1927 წ. 23 თებერვლით დათარიღებულ ჩემს ნოტაში, მისი უდიდებულესობის მთავრობისათვის და ინგლისის საზოგადოებრივი აზრისათვის არსებობენ მოთმინების საზღვრები, ხოლო ეს საზღვრები ამჟამად უკვე მიღწეულია.

იღებს რა მხედველობაში ზემოთ მოყვანილ ფაქტებს, მისი უდიდებულესობის მთავრობამ თავის-თავი უნდა ჩასთვალოს განთავისუფლებულად იმ მოვალეობებისაგან, რომელიც გათვალისწინებული იყო 1921 წლის 16 მარტის თარიღით დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების მე-13 მუხლის მესამე აბზაცში. ის პრივილეგიები, რომლებიც მიკუთვნებული ჰქონდა ბატონ ხინჩუკს და მის თანაშემწეებს, თანახმად დადებული შეთანხმებისა, უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად, და მე მოვალე ვარ გთხოვოთ მათი გაწვევა ინგლისიდან.

მისი უდიდებულესობის მთავრობას, რომელიც იძულებულია ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო მიმართოს ასეთ ზომებს, არ სურს ჩაერიოს ინგლის-რუსეთის ვაჭრობის ნორმალურ განვითარებაში და იგი არავითარ დაბრკოლებას არ შექმნის ორივე ქვეყნის შორის ნამდვილი ვაჭრობის გზების შესაქმნელად. მთავრობა წინააღმდეგი არ იქნება „არკოს ლიმიტედ“-მა აწარმოოს კანონიერი კომერციული ოპერაციები იმავე პირობებში, როგორც ეს სხვა სავაჭრო ორგანიზაციებისათვისაა შემოღებული ინგლისში. ამ მიზნით მთავრობა მზადაა ნება დართოს საზოგადოების გონიერ რუს თანამშრომლებს, რომელთა სახელებსაც შეგატყობინებთ თქვენ, დარჩენ ინგლისში იმ პირობით, რომ ეს თანამშრომლები დაემორჩილებიან ინგლისის კანონებს და თავიანთ მოღვაწეობას განსაზღვრავენ მხოლოდ კანონიერი ვაჭრობის ფარგლებით. მისი უდიდებულესობის მთავრობა ვერ მოითმენს ისეთი პრივილეგიური ორგანიზაციის არსებობას, რომელიც მშვიდობიანი ვაჭრობის სახით დაიწყებს შპიონაჟის და ინტრიგების წარმოებას იმ ქვეყნის წინააღმდეგ, სადაც იგი მუშაობს.

დასასრულ, მისი უდიდებულესობის მთავრობამ გადასწყვიტა, რომ მას არ შეუძლია იყოს დიპლომატიურ ურთიერთობაში იმ მთავრობასთან, რომელიც ხელს უწყობს ისეთი მდგომარეობის შექმნას, როგორიც გამომჟღავნდა.

ორ მთავრობას შორის არსებული დამოკიდებულება ამით სწყდება და მოვალე ვარ გთხოვოთ, რომ თქვენ და თქვენმა პერსონალმა დასტოვოს ინგლისი უახლოესი ათი დღის განმავლობაში.

მისი უდიდებულესობის წარმომადგენელს მოსკოვში, ამასთანავე ეძლევა ინსტრუქცია დასტოვოს რუსეთი თავის პერსონალთან ერთად. მე მოხარული ვიქნებოდი, თუ თქვენ სთხოვდით თქვენ მთავრობას, რომ მიეცათ მისთვის, მისტერ პრესტონისათვის ლენინგრადში, და მისტერ პეტონისათვის ვლადივოსტოკში, საჭირო დახმარება მათი და მათი თანამშრომლების გამოსამგზავრებლად.

სათანადო სამზადისი და დაწვრილებითი ცნობები, თქვენი, თქვენი თანამშრომლებისა და რუსეთის სავაჭრო დელეგაციის წევრების გამომგზავრების შესახებ ინგლისიდან, გეცნობებათ თავის დროზე.

სრული პატივისცემით დავშთები თქვენი უმორჩილესი.

ოსტინ ჩემბერლენი.

მოსკოვი, 28 მაისი. დიდი ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულის მოვალეობის დროებით აღმასრულებელს საბჭოთა კავშირში ბატონ ვილიამს პიტერსს.

სერ!

პატივი მაქვს გთხოვოთ, რათა გადასცეთ თქვენს მთავრობას შემდეგი: საბჭოთა მთავრობა გაეცნო ბატონ როზენჰოლცისათვის გადაცემული ნოტის შინაარს, რომელშიაც მოყვანილია ცნობა, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმებისა და საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. ეს გადაწყვეტილება არ იყო მოულოდნელი საბჭოთა მთავრობისათვის. მან უკვე დიდი ხანია იცოდა, რომ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შეწყვეტას მთელი თავისი პოლიტიკით ამზადებდა დიდი ბრიტანეთის ეხლანდელი კონსერვატიული მთავრობა, რომელიც ყოველთვის გაურბოდა საბჭოთა მთავრობის წინადადებებს სადაო საკითხების მოლაპარაკებათა საშუალებით მოგვარების შესახებ. საბჭოთა მთავრობა, ერთხელ კიდევ გადაჭრით უარყოფს ყველა ბრალდებებს მის მიერ 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევის შესახებ. ეს ბრალდებები არაფრით არაა დასაბუთებული და დამტკიცებული.

ამ ბრალდებათა ერთად-ერთ წყაროდ, როგორც ეს არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, — არის ის არასინდისიერი ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობს თეთრგვარდიელ ემიგრანტების მეტად საეჭვო წყაროებიდან და ყალბი დოკუმენტებიდან, საიდანაც ბრიტანეთის მთავრობა ყოველთვის დიდის კმაყოფილებით სარგებლობდა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც დაიწყო ურთიერთობა მასსა და საბჭოთა მთავრობას შორის.

იმ ჩხრეკის უშედეგობა, რომელიც რამოდენიმე დღის განმავლობაში მაქსიმალური სიბეჯითით სწარმოებდა სავაჭრო დელეგაციაში, არის ყველაზე უფრო დამადასტურებელი საბუთი საბჭოთა კავშირის ოფიციალური აგენტების ლოიალობის და თავდაჭერილობისა. საბჭოთა მთავრობა ზიზღით უხვევს გვერდს ბრიტანელი მინისტრების ინსინუაციებს სავაჭრო დელეგაციის შპიონაჟის შესახებ და თავის დამცირებათ მიაჩნია მათზე პასუხის გაცემა.

საბჭოთა კავშირის მთავრობა აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის მთავრობას არ ჰქონდა არავითარი კანონიერი საბაბი 1921 წ. სავაჭრო ხელშეკრულების როგორც პირველი დარღვევისათვის, რომელიც გამოიხატა საბჭოთა კავშირის ოფიციალური აგენტების ექსტერიტორიალურ ბინაზე პოლიციის თავდასხმაში, ისე მეორე დარღვევისათვის, რომელიც მდგომარეობს სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმებაში 6 თვით ადრე გაუფრთხილებლად.

მთელი მსოფლიოსათვის სავსებით ნათელია, რომ განხეთქილების ძირითადი მიზეზია კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკის დამარცხება ჩინეთში და ცდა ეს დამარცხება დაფარონ დივერსიით საბჭოთა მთავრობის მიმართ; მეორეს მხრივ, უახლოეს მიზეზათ ამ განხეთქილებაში ითვლება—ბრიტანეთის მთავრობის სურვილი საზოგადოებრივი ყურადღება მოაშოროს არკოსზე და სავაჭრო დელეგაციაზე პოლიციის უაზრო და უშედეგო თავდასხმას და გამოიყვანოს ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი იმ სკანდალური მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი ჩავარდა ამ თავდასხმის გამო.

საბჭოთა კავშირის ხალხები და მათი მთავრობები სრულიად არ არიან მტრულად განწყობილი ბრიტანეთის იმპერიის ხალხების მიმართ, რომლებთანაც მათ სურთ ნორმალური და მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება. ეჭვს გარეშეა, ასეთია ბრიტანეთის ხალხების სურვილიც. მაგრამ ასეთი ნორმალური ურთიერთობა არ უნდოდა და არ უნდა ბრიტანეთის ეხლანდელ მთავრობას, რომელიც თავის არსებობის პირველი დღეებიდანვე სცდილობდა გაემწვავებია ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

ბრიტანეთის მთავრობამ ნორმალური ურთიერთობის გაგრძელების მაგივრად უპირატესობა მიანიჭა ძალადობის და მტრობის სისტემას და გადასწყვიტა შესწყვიტოს ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობა, რომლის მთელი პასუხისმგებლობა მან თავის თავზე უნდა მიიღოს. მან ნათლად უნდა გაითვალისწინოს ის, რასაც ურთიერთობის გაწყვეტა შეიტანს აუცილებლად არსებულ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაში. მას არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ურთიერთობის გაწყვეტა გააძლიერებს ეკონომიურ ქაოსს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გადალახა ევროპამ საერთაშორისო ომის შემდეგ და რომ ის დიდ ზიანს მიაყენებს მშვიდობიანობის საქმეს. მაგრამ მან მაინც გადადგა ასეთი ნაბიჯი და ანგარიში არ გაუწია ბრიტანეთის იმპერიის ფართო მასების და ბრიტანეთის მრეწველობის ინტერესებს.

საბჭოთა მთავრობა იღებს ცნობათ ამ აქტს დარწმუნებული იმაში, რომ იგი დაგმობილი იქნება არა მარტო მთელი მსოფლიოს მშრომელების, არამედ ყველა პროგრესიული ელემენტების მიერ. საბჭოთა მთავრობა, ამასთანავე, გამოსთქვამს რწმენას, რომ ახლოა ის დრო, როდესაც ბრიტანეთის ხალხი შესაძლებლად დაინახავს დაუბრკოლებლივ განახორციელოს თავისი მისწრაფება მშვიდობიანობისა და საბჭოთა კავშირის ხალხებთან ნორმალური მეგობრული ურთიერთობის დამყარებისაკენ.

მიიღეთ, ბატონო რწმუნებულო, რწმუნება ჩემს თქვენდამი სრულ პატივისცემაში.

მ. ლიტვინოვი.

მოსკოვი 28 მაისი 1927 წ.

ცეცხლის წამკიდებელი ლორდები და მშრომელნი

კონსერვატიულ ყაჩაღების მთავრობამ გასწყვიტა ჩვენთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა. ლორდებმა ცინიკურად გამოიწვიეს დიდი მშრომელი ხალხი, ლორდები არღვევენ მშვიდობიანობას და ნაღმავენ ევროპის ნიადაგს. ისინი ასუსტებენ ვერსალის ისედაც შერყეულ „საყოველთაო ზავის“ პოზიციას, ამაგრებენ მილიტარიზმის პოზიციებს და პირობებს ქმნიან ახალი ხოცვა-ჟლეტისათვის.

ურთიერთობის გაწყვეტის აქტით და მისი სკანდალური დასაბუთებით, ბოლდუინის მთავრობამ საქვეყნოდ გაიმასხარავა და შეირცხვინა თავი. ვერ იქნა „ნაპოვნი“ ის დოკუმენტი, რისთვისაც შეიჭრენ არკოსში სკოტლანდ იარდის ბანდიტები. თემთა პალატაში გამართულმა კამათმა და თვით ჩემბერლენის აღიარებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არც ერთ ხორციელთაგანს თვალით არ უნახავს „ზინოვიევის წერილი“, რომლის წყალობითაც კონსერვატორებმა ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება. სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ, კონსერვატორების მთავრობამ საქვეყნოდ შეირცხვინა თავი ორი გაუგონარი გაიძვერობით და ცხადათ დაამტკიცა, რომ ის არის გაიძვერების მთავრობა.

ჩემბერლენის არგუმენტაცია „საბჭოთა ჯაშუშების“ შესახებ, არგუმენტაცია, რომელიც მან თავის ბუტაფორულ არქივიდან ამოაძვრინა, ისეთივე დაავადებულია, როგორც ინგლისის კაპიტალიზმის სიფილისი. დიდი ხანია, რაც შავრაზმელ როსკიპ—გაზეთების ფურცლებს არ შორდება ზღაპარი საბჭოთა ჯაშუშებისა და საბჭოთა აგენტების შესახებ. ეს არგუმენტი არა ნაკლებ საბრალოდ გამოიყურება მაშინ, როდესაც, თავის ბოროტმოქმედების გასამართლებლად, იყენებს მას ინგლისის დიპლომატიის ხელმძღვანელი, რომელიც სთხზავს მოხუცთათვის გასართობ ზღაპრებს, ვითომდა ბრიტანეთის სამეფოში უხვად გაბნეულ „საბჭოთა ჯაშუშების“ შესახებ. ყველამ მშვენიერად იცის, თუ ვინ არის ნამდვილი ჯაშუში, ვინ იყო ძველი დროიდანვე განთქმული თავისი საერთაშორისო ოხრანკით, თავისი კავშირით საბლინის ბნელ ძალებთან, თავისი ინტრიგებით, მახინაციებით, მოსყიდვით და ყალბი საბუთების შედგენით. მსოფლიო ჟანდარმი, მსოფლიო ჯაშუში,—აი, ვინ არის ინგლისის მთავრობა.

საბჭოთა კავშირი,—უამბობდა ჩემბერლენი თავის მორჩილ პარლამენტს,—„ერევა“ ჩინეთის საქმეში.

საყურადღებოა და საკვირველია ეს ყალბი არგუმენტი. თითქოს ჩინეთის საქმეები ინგლისის საქმეები იყოს! ვინ ერევა ნამდვილად, თავხედურად და ყაჩაღურად ჩინეთის საქმეებში, თუ არა ლორდების მთავრობა? ვინ სძარცვავს ჩინეთის ხალხს? ვინ ახრჩობს ჩინეთის რევოლუციონურ თავისუფლებას? ვინ გზავნის ჩინეთის ნავთსადგურებში სიკვდილის მომტან გემებს? ვინ ჰკლავს ყელს შანხაელ მუშებს? ვინ უშენს ყუმბარებს ზარბაზნებიდან ჩინეთის მშვიდობიან მოსახლეობას? ვინ სჩადის ყველა ამას, თუ არა ჯალათ—ლორდების მთავრობა?.

ჩვენ არ ვაწარმოებთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საერთაშორისო კამპანიას, ჩვენ არ ვაწყობთ საერთაშორისო თავდასხმას საბჭოთა კავშირზე,—განაგრძობდა ტყუილების მოყვარული ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი. მას, როგორც სჩანს, ეგონა, რომ სულელების გარდა, ვინმე დაუჯერებდა: დაგავიწყდათ პეკინი, ბატონო ჩემბერლენო? რა დაგიჯდათ პეკინის თავდასხმა? დაგავიწყდათ ერთა ლიგა, რომელსაც დღე და ღამე უსისიანებთ საბჭოების ქვეყანას? დაგავიწყდათ ფაშისტური გადატრიალებები საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოებში? ურევია თუ არა ყველა ამაში ჩემბერლენის ბუჭყიანი ხელი? დაგავიწყდათ სამხედრო-საზღვაო ბაზები, რომლებსაც აშენებენ ჩვენს წინააღმდეგ ინგლისის იმპერიალისტები მათი ვასალური ქვეყნების ხელით? დაგავიწყდათ სამხედრო სესხები, რომლებსაც აძლევს ინგლისის იმპერიალიზმი საბჭოთა კავშირის მეზობლებს?

არა მარტო ჩვენ, არა მარტო კომუნისტებს, არამედ „გარეშე მოწმესაც“ შეუძლია ბევრი რამის თქმა იმის შესახებ, თუ ბრიტანეთის იმპერიალიზმი როგორ ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „ფოსიშე ცეიტუნგ“ პირდაპირ სწერს, რომ ლონდონის მთავრობას სურს ბრძოლის ველად გადააქციოს ევროპა. თვით სოციალ-დემოკრატიული „ხემნიცერ ფოლკსშტიმმე“ კი აღიარებს, რომ არას დროს ასაფეთქებელ მასალების საწყობიდან არ ყოფილა ცეცხლი ისე ახლო, როგორც დღეს, ინგლისის მთავრობის პოლიტიკის წყალობით.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის მშრომელებს და რევოლუციონურ პროლეტარიატს, ისინი აშკარად ხედავენ, რომ კონსერვატორები ამზადებენ სისხლიან აბს, ამზადებენ ახალ ომს. მათ არავითარი ეჭვი არ ეპარებათ ინგლისის მთავრობის სისაძაგლეში.

საბჭოთა კავშირს არ ეშინია იმპერიალისტური ინგლისის. საბჭოთა კავშირი ღირსეულად დაუხვდება მტრების თავდასხმას, თუ ამას ისინი გაბედავენ. საბჭოთა კავშირის მთავრობა არის ყველაზე ძლიერი მთავრობა მთელი დედამიწის ზურგზე, რადგან მის მხარეზეა საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი მასა და ყველა ჩაგრულთა სიმპატიები. ის არ ჰგავს ლორდების ბანდიტურ მთავრობას, მდიდრების, ფალსიფიკატორების, ინდოეთის, ეგვიპტის, სამხრეთ-აფრიკის დამმონებელ, ჩინეთის რევოლუციის ჯალათების, მუშათა სულთამხუთავების მთავრობას.

საბჭოთა კავშირის მუშები საკუთარი მკერდით დაიცავენ სოციალისტურ ფაბრიკა-ქარხნებს, სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის შესაძლებლობას. ისინი ხედავენ საფრთხეს, მათ ესმით შუბლმაგარი ძაღლების გაცოფებული ყეფა. შუბლმაგართა ყეფა ვერ შეაშინებს იმათ, ვინც მოახდინა დიდი რევოლუცია, თავი გაუსრისა თეთრგვარდიელ გველებს, უსაშინელესი ნანგრევებიდან აღადგინა მეურნეობა და ვისაც თავის დაკოჟრილ ხელში უჭირავს უზარმაზარი ქვეყანა. ყველა, ვინც გაბედავს თავდასხმას პროლეტარულ რესპუბლიკაზე, შეხვდება ათ მილიონიან საბჭოთა პროლეტარების რკინის მუშტს.

საბჭოთა კავშირის გლეხებმა იმიტომ კი არ დაამხვეს სისხლის მსმელი მეფე, იმიტომ კი არ განდევნეს მემამულეები და დენიკინისა და ვრანგელის ჯალათური ბრბოები, რომ წამოიჩოქონ იმპერიალისტების წინაშე. გლეხები არავის არ დაუთმობენ არც მიწას და არც საბჭოთა თავისუფლებას. ურიცხვ ლაშქრად გაიშლებიან ისინი საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე.

მსოფლიოს ყველა პატიოსანი პროლეტარები, ყველა ჩაგრული ერები, რომლებიც სდგებიან სითის მსოფლიო პლანტატორების უღლის წინააღმდეგ, მოიხდიან თავის ვალს. ტყუილად ინუგეშებენ თავს ბოლდუინისათვის ბანის მიმცემი ბატონები „ფორვერტსი“-დან, რომ თითქოს მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი თავსდებოდეს მათ სარედაქციო ოთახში. სოციალ-დემოკრატია ისევე უღალატებს და გასცემს საერთაშორისო პროლეტარიატს, როგორც ღალატობდა და ღალატობს დღესაც. მაგრამ საერთაშორისო პროლეტარიატის პატიოსანი და მებრძოლი ნაწილი დადგება საბჭოთა კავშირის მხარეზე და ხელს შეუწყობს მუშურ-გლეხურ თავდაცვას.

მსოფლიო რეაქციის ბნელი ძალები იმუქრებიან გალაშქრებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ინგლისის მთავრობა ამზადებს ომს ჩვენს წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის მშრომელნი ღირსეულად დაუხვდებიან ამ საფრთხეს.

„პრავდა“

მოსკოვი, 28 მაისი

თემთა პალატაში

შეკითხვები

ლონდონი, 27 მაისი. თემთა პალატაში ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ გამართულ კამათის დროს მუშათა პარტიის დეპუტატმა კლაინსმა თავის სიტყვაში განაცხადა:

„თეთრი წიგნი“ წარმოადგენს გასართობ იუმორისტულ გამოცემას, რომლისთვის პასუხისმგებლობა არ უნდა მიეღო თავის-თავზე მთავრობის არც ერთ წევრს, რომელიც პატივს სცემს თავისთავს. **ისინი, ვინც სჩივის რუსეთის ჩარევაზე ჩვენს საქმეებში, თვითონვე პირველად ჩაერიენ რუსეთის საქმეებში და არა პროპაგანდის გზით, არამედ რუსეთის ტერიტორიაზე სამხედრო ინტერვენციის მოწყობით.** რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის გამწვავება დაიწყო არა 1927 წელს, არამედ 1917 წელს. მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს ვიკითხო, იქნება თუ არა ინგლისის მთავრობის პოლიტიკა ასეთივე, რუსეთის მთავრობამ რომ დარჩენილიყო არისტოკრატიული და პლუტოკრატიული, რომ ის არ ატარებდეს კომუნისტურ დოქტრინებს?

ლოიდ-ჯორჯმა, შეეხო რა საბჭოთა მთავრობისათვის ჯაშუშობაში ბრალის დადებას, დასვა კითხვა: განა ჩვენც ასევე არ ვიქცევით? საბჭოთა მთავრობა, როცა ის ამ ცოდვას ჩადის, იქცევა ისევე, როგორც ყოველი სხვა მთავრობა, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა აქვს ინგლისთან. ინგლისის მთავრობამ გასწყვიტა ურთიერთობა რუსეთთან. **იფიქრა თუ არა მან იმაზე, როგორ შეიძლება მომავალში ამ ურთიერთობის აღდგენა?** ინგლისის მთავრობა ამ ურთიერთობის აღდგენას შესძლებს მხოლოდ რუსეთის მთავრობის ინიციატივით. მაშ რას უცდის ინგლისის მთავრობა? უცდის ის რომანოვებს?

მუშათა პარტიის დეპუტატმა **პონსონტონმა** გამოსთქვა რწმენა, რომ **გადამწყვეტი ფაქტორი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტაში იყო ის გარემოება, რომ „რუსეთის ხალხმა ინგლისის გაფიცულ მემაღაროებს გაუგზავნა ფული“.**

მუშათა პარტიის დეპუტატმა **პონსონბიმ** (გარეშე საქმეთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი მაკდონალდის მთავრობის კაბინეტში) განაცხადა:

„იმ დროს, როცა მე ვმსახურობდი დიპლომატიურ უწყებაში, მე პირადად ვნახე ის დოკუმენტი, რომელიც უცხოეთის სახელმწიფოს არქივიდან იქნა ამოღებული“.

კონსერვატიულმა დეპუტატმა პოლკოვნიკმა **მურმა**, რომელმაც საერთოდ მოიწონა დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან, მაინც სთხოვა ინგლისის მთავრობას განიხილოს საკითხი სავაჭრო შეთანხმების შესახებ, ვინაიდან **„სავაჭრო შეთანხმების გაუქმების სარგებლიანობა პრობლემატიურია, მეორეს მხრით კი არსებობს საფრთხე იმისა, რომ ჩვენ შეიძლება დავკარგოთ რუსეთთან ვაჭრობის საშუალება“.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა **ხიკსმა** თავის სიტყვაში, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არკოსზე თავდასხმის მოხდენამდე იყო მის განკარგულებაში ფოტოსტატიური ასლი იმ დოკუმენტებისა, რომელიც სამხედრო უწყებაში დაიკარგა. „ამასთანავე ეს ასლი დამზადებულ იქნა არკოსის შენობაში“.

კონსერვატორების შესწორება

მუშათა პარტიის რეზოლუციის უარყოფის შემდეგ, მიღებულ იქნა კონსერვატორების შესწორება, რომელიც ადასტურებს მთავრობის გადაწყვეტილებას დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ“, „მაგრამ არავითარი დაბრკოლება არ უნდა შეიქმნეს რუსეთთან კანონიერი სავაჭრო ურთიერთობისათვის“ (ადს).

ჩემბერლენი „საზოგადოების ინტერესებზე“ „ზრუნავს“

ლონდონი, 27 მაისი. ელენ ვილკინსონმა (მუშათა პარტიის წევრი) თემთა პალატაში შეკითხვა მისცა ჩემბერლენს: „აქვს თუ არა ცნობები, რომ გარდა რუსეთის მთავრობისა, სხვა მთავრობასაც ჰყავთ საიდუმლო აგენტები, რომლებიც ინგლისში მუშაობენ“.

ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია ამაზე პასუხის გაცემა, ვინაიდან ეს არ შეეფერება საზოგადოების ინტერესებს.

მაშინ მუშათა პარტიის დეპუტატმა ტერლიმ ადგილიდან შეეკითხა—„იცის თუ არა ჩემბერლენმა, რომ მუშათა პარტიას შეუძლია თავისი დასკვნა გამოიტანოს ამ პასუხიდან“ (ადს).

მუშათა პარტიის წინადადება

ლონდონი, 27 მაისი. კონსერვატორების წინადადების მიღების შემდეგ, რომელიც იწონებს მთავრობის გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ, კენჭი უყარეს მუშათა პარტიის რეზოლუციას საკითხის გამოსარკვევათ საპარლამენტო კომისიის დანიშვნის შესახებ. რეზოლუცია უარყოფილ იქნა 367 ხმით 118 ხმის წინააღმდეგ (ადს).

24-მა ლიბერალმა თავი შეიკავა

ლონდონი, 27 მაისი. როცა თემთა პალატაში კენჭს უყრიდენ რეზოლუციას, რომელიც იწონებს ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილებას ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, **12 ლიბერალმა დეპუტატმა ხმა მისცეს რეზოლუციას; 24 ლიბერალ დეპუტატს არ მიუღია მონაწილეობა კენჭის ყრაში** (ადს).

პრესის გამოძახილი

შვეციის პრესა

ინგლისი ვერ მოახერხებს საბჭ. კავშირის გარიყვას

სტოკჰოლმი, 27 მაისი. კონსერვატიული „ნიუა დაგლიტ ალეხანდა“ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლის შესახებ სწერს:

„მთავრობა სწყვეტს ურთიერთობას ან ომის მომზადების მიზნით ან კიდევ იმ მიზნით, რომ დიპლომატიურად გარიყოს მოწინააღმდეგე მხარე და ამ გზით აიძულოს ის წავიდეს დათმობაზე. ომი ლონდონს ამჟამად არ სურს. მეორე მიზნის განხორციელება მას არ ძალუძს. ამიტომ ურთიერთობის ჩაშლა, რეალური პოლიტიკის თვალსაზრისით არის ჰაერისათვის მახვილის მოქნევა“.

გაზეთი საბჭოთა პრესის გამომხმაურებას ქებით იხსენიებს და აღნიშნავს მის თავდაჭერილობას.

ეხება რა მიქოიანის განცხადებას ინგლისში დაკვეთების შეწყვეტის შესახებ, გაზეთი სწერს: „ეს გადაწყვეტილება არ უნდა იყოს ნაკარნახევი მორალური განცდით. როგორც სჩანს, მან უნდა დასტოვოს შესაძლებლობა შემდგომი მოლაპარაკებისათვის“. დასასრულ გაზეთი მაინც დასძენს, რომ შვეციას ჰმართებს იდგეს სადარაჯოზე.

გარიყული დარჩება ინგლისი

სავაჭრო სამრეწველო ორგანო „გეტებორგს ხანდელს ოკ შეკარტს ტიდნინგ“ სწერს: „თავის მოქმედებაში ინგლისი მარტო დარჩება; სხვა ქვეყნები მას არ გაჰყვებიან და შეეცდებიან საკუთარი ინტერესების დაცვას“. (ადს).

ომის გამოცხადება ინგლისის მუშებისათვის

სტოკჰოლმი, 27 მაისი. სინდიკალისტური „არბეტაუნ“ სწერს: „არავის არ შეუძლია დაგვაბრალოს ჩვენ განსაკუთრებული სიმპატია კომუნიზმისა და საბჭოთა სისტემისადმი. მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ დავაყოვნებთ საბჭოთა კავშირის დასაცავად გამოსვლას, თუ ჩვენს ქვეყანაში კერძო კაპიტალი და რეაქციონური შოვინისტური ჯგუფები, სისხლით გაჟღენთილ ფაშისტურ ტვინის გალიუცინაციებით გაბრუებულნი, მიმართავენ იმავე სისხლის სამართლის მეთოდებს, როგორც ეს ჩაიდინა ბოლდუინის მთავრობამ ინგლისში. ინგლისის მთავრობა ბრძოლას აწარმოებს არა მარტო საბჭოების, არამედ პირველყოვლისა ინგლისის მუშათა კლასის წინააღმდეგ. (ადს).

დანიის პრესა

ურთიერთობის ჩაშლა პირველ რიგში საზარალოა ინგლისისათვის

სტოკჰოლმი, 27 მაისი. ეხება რა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლას დანიის ლიბერალური „პოლიტიკენ“ ფიქრობს, რომ ურთიერთობის გაწყვეტას არა სასიამოვნო ეკონომიური შედეგები ექნება ინგლისისათვის, ვინაიდან ყველაფერი, რისი დაპყრობაც შესძლო ინგლისმა საბჭოთა ბაზარზე, სხვა ქვეყნების ხელში გადავა.

გაზეთს საეჭვოდ მიაჩნია, რომ ინგლისმა შესძლოს ევროპის და ამერიკის ერთიანი ფრონტის შექმნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „ასეთი ზომებით—სწერს გაზეთი—საბჭოთა კავშირის დამორჩილება შეუძლებელი იქნება“. (ადსა).

ავსტრიის პრესა

ინგლისი ფარული ზრახვებით

ვენა, 27 მაისი. ლიბერალური „ნეიე ფრეიე პრესე“ სწერს: „ინგლისის მთავრობის საქციელი მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კონტინენტალური ბლოკადის მოწყობას. შინაური და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა ხელს უწყობს ასეთ ნაბიჯს ინგლისის მთავრობის მხრივ, განსაკუთრებით იმ სიფრთხილის გამო, რომელსაც მუშათა პარტია იჩენს. ურთიერთობის ჩაშლა ძალიან საზარალოა სიღარიბიდან დაცლილ ევროპისათვის, რომელიც დიდის გაჭირვებით მიისწრაფვის აღდგენისაკენ.“ (ადს).

საფრანგეთის პრესა

არჩევანი

პარიზი, 27 მაისი. მთელი პრესა აქვეყნებს ლიტვინოვის განცხადებას და ძალიან მცირე კომენტარიებს უკეთებს კამათს ინგლისის პარლამენტში.

რეაქციონური „გოლუა“ მოითხოვს „საფრანგეთის გაწმენდას კომუნისტებისაგან“ და სრულ ურთიერთობის შეწყვეტას საბჭოთა კავშირთან, მიუხედავად ეკონომიური და ფინანსიური ინტერესებისა.

მემარცხენე ბურჟუაზიული „კოტიდიენი“ სწერს: „ურთიერთობის შეწყვეტით გამოწვეული შედეგი მალე გამოიჩენს თავს. მიუხედავად ბოლდუინის მტკიცებისა, სავაჭრო ურთიერთობა მაინც არ იქნება შეწყვეტილი. ეს გამოიწვევს ორივე ქვეყნის გაღარიბებას. დანარჩენი სახელმწიფოები დადგებიან ლონდონისა და მოსკოვის არჩევანის წინაშე, რაც გაამრავლებს კავშირებს და საიდუმლო ხელშეკრულებებს“. (ადს).

ინგლისის პრესა.

ლენსბერის წერილი

ლონდონი, 27 მაისი. ლენსბერი, ყოველკვირეულ „უიკლ“-ში უკეთებს რა კომენტარიებს ურთიერთობის შეწყვეტას ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, სწერს:

„დგება უძლიერესი რეაქციის პერიოდი. დადგა მომენტი, როცა მუშათა მოძრაობის ყველა ჯგუფებმა, რომელთაც სწამთ ერთმანეთის გულწრფელობა, ნამდვილი მთლიანი ფრონტით უნდა გასცენ პასუხი კაპიტალისტების შემოტევას“.

„ურთიერთობის შეწყვეტა — სწერს შემდეგ „უიკლი“ დიდ ზიანს მიაყენებს ჩვენს ბაზრებს. ბოლდუინის მთავრობამ, რუს დიდ მთავრებთან და თეთრგვარდიელებთან ერთად, რომელნიც შეთქმულებას აწყობენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ინგლისი გადააქცია კაპიტალისტური შეთქმულების აგენტად სოციალისტური ხელისუფლებისა და საყოველთაო მშვიდობიანობის წინააღმდეგ (ადს).

ლონდონი, 27 მაისი. მოწინავე წერილების მთავარ თემას პრესაში წარმოადგენს გუშინდელი კამათი თემთა პალატაში.

„თეთრმა წიგნმა“ ვერ მოახდინა შთაბეჭდილება

ამონაწერებს „თეთრი წიგნი“-დან დიდ ადგილს უთმობს პრესა. მაგრამ, როგორც სჩანს, წიგნმა ვერ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ მოწინავე წერილებში წიგნს არ ეხებიან.

გადაწყვეტილება, რომელიც საზიანოა ინგლისისათვის

ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენ“ აცხადებს, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლამ სრულებითაც არ უნდა დაგვაყენოს მხიარულ გუნებაზე. „ფაქტია—სწერს გაზეთი,—რომ ბოლდუინის სიტყვით თემთა პალატაში დამთავრდა პოლიტიკა, რომელიც დამაკმაყოფილებლად ხორციელდებოდა ექვსი წლის განმავლობაში და დაიწყო პოლიტიკა, რომლის შესახებ არავის, მათ შორის თვით მთავრობასაც არ შეუძლია სთქვას, იწარმოებს თუ რა ეს პოლიტიკა დამაკმაყოფილებლად“. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ გადაწყვეტილება ურთიერთობის ჩაშლის შესახებ მიიღო ინგლისის მთავრობამ „ნაჩქარევად და თითქმის ზერელედ“ და რომ ამ გადაწყვეტილებამ გააძლიერა მერყეობის საერთო გრძნობა ევროპაში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ

გამოსამშვიდობელი საუზმე

ლონდონი, 28 მაისი. გუშინ ინგლის-რუსეთის საპარლამენტო კომიტეტმა გაუმართა თემთა პალატაში საუზმე საბჭოთა საელჩოს და სავაჭრო წარმომადგენლობის წევრთ. საუზმეს დაესწრენ მუშათა პარტიის დეპუტატები და პროფკავშირების ლიდერები; თავმჯდომარეობდა ჯორჯ ხიკსი (პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე). ლენსბერიმ უწოდა საუზმეს „მეგობართა გამომშვიდობება". ხიკსმა, რომელმაც წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, სხვათა შორის სთქვა: ნუ ვამბობთ „მშვიდობით", ვსთქვათ მხოლოდ „ნახვამდის". ხიკსმა დაარწმუნა საბჭოთა წარმომადგენლები, რომ საუზმეზე დამსწრე ყველა ინგლისელები მომავალშიაც ყოველ ღონეს იხმარენ, რომ აუხსნან ინგლისის მუშათა მოძრაობას ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტის მთელი მნიშვნელობა. დასასრულ ხიკსმა გამოსთქვა იმედი, რომ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა კვლავ განახლდება და რომ ამ ორ ქვეყნის ხალხთა შორის დამყარდება მჭიდრო მეგობრობა.

როზენგოლცმა, რომელმაც უპასუხა ხიკს, ხაზი გაუსვა მსუბუქიანობას და სიცრუეს იმ „დასამტკიცებელი საბუთებისა", რომლებითაც იხელმძღვანელა ინგლისის მთავრობამ თავის გადაწყვეტილების დროს. ზედა ფენებში, სთქვა როზენგოლცმა, იყო გადაჭარბებული ნდობა და ქვედა ფენებში კი ბოროტმოქმედება.

როზენგოლცმა დაუმატა, რომ ომის საფრთხე არას დროს არ იყო ასეთი საშიში, როგორც შემდგომ პერიოდში. მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია თავიდან აიცილოს ან შეასუსტოს ეს საშიშროება—დაათავა თავისი სიტყვა როზენგოლცმა—ეს არის მეგობრობა, რომელიც დამყარდა საბჭოთა კავშირის და ინგლისის მუშათა კლასის შორის. მე დარწმუნებული ვარ—სთქვა მან, რომ ეს მეგობრობა არა თუ შესუსტდება, არამედ უფრო განმტკიცდება.

მოკლე სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე ამხანაგმა ხინჩუკმა და ბოგომოლოვმა. საუზმე თემთა პალატის შენობაში გამოიწვია დიდი უკმაყოფილება კონსერვატორების შორის. „მორნინგ პოსტი" აცხადებს, რომ ამის შესახებ შესაძლებელია, თემთა პალატის ორშაბათის, 30 მაისის სხდომის დღის წესრიგში, შეტანილი იქნება საგანგებო შეკითხვა.

ლიბერალური „დეილი ნიუსი" სწერს: საუზმე წარმოადგენს სულელურ და პროვოკაციულ აქტს, რომელიც რასაკვირველია, გამოიწვევს ყოველ მხრიდან უარყოფითი დაფასებას.

ლოიდ-ჯორჯთან დაახლოვებული „დეილი ქრონიკლი" სწერს: „ჩვენ ვკიცხავთ მთავრობას იმის გამო, რომ ის საერთოდ ამბობს უარს საბჭოთა წარმომადგენელის ინგლისში დაშვებაზე, მაგრამ ჩვენ არ ვკიცხავთ მთავრობას, როდესაც ის უარს ამბობს როზენგოლცის დაშვებაზე მის შემდეგ, რაც უკანასკნელმა გაგზავნა თავისი დეპეშა 1 აპრილს.

გაზეთი ჰკიცხავს მუშათა პარტიის დეპუტატებს როზენგოლცისათვის საუზმის გამართვის გამო.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებული „დეილი ტელეგრაფი" მეთაურში სწერს: „საუზმე იყო მოფიქრებული, მაგრამ ჩვენ პირობებში დამახასიათებელი უტიფრობა ინგლისის პარლამენტის მიმართ, რომელმაც ეხლახან გამოიტანა დადგენილება საბჭოთა წარმომადგენლების ინგლისიდან გაძევების შესახებ".

რუსეთის ინტერესების დაცვა ინგლისში მიენდო გერმანიის ელჩს.

ბერლინი, 28 მაისი. ვოლფის სააგენტოს ცნობებით, საბჭოთა კავშირის ელჩი კრესტინსკი გამოცხადდა გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროში და გადასცა თავისი მთავრობის თხოვნა იმის შესახებ, რომ გერმანიის მთავრობამ ურთიერთობის გაწყვეტის გამო ინგლისის და საბჭოთა მთავრობებს შორის დაავალოს გერმანიის ელჩს ლონდონში რუსეთის ინტერესების დაცვა ინგლისში. გერმანიის მთავრობა დათანხმდა ამ თხოვნის შესრულებაზე (ადს).

ინგლისის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა.

ოსლო, 28 მაისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება:

„გაზეთ „აფტენ პოსტენ"-ის ცნობებით, ინგლისის მთავრობამ სთხოვა ნორვეგიის მთავრობას იკისროს ბრიტანეთის ინტერესების წარმომადგენლობა რუსეთში. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს აქვს საფუძველი იფიქროს, რომ ეს ცნობა სწორია, მაგრამ ეს საკითხი ჯერ საბოლოოთ არ არის მოგვარებული (ადს).

ინგლისი ცდილობს გერმანიის მიმხრობას

ბერლინი, 28 მაისი. „ფოსიშე ცეიტუნგ"-ის პარიზელი კორესპონდენტი, ვითომდა საბჭოთა დიპლომატიის წრეებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, იტყობინება:

„გერმანიის ელჩთან — შტამერთან საუბრის დროს ჩემბერლენი შეეცადა აეძულებია გერმანია უარი ეთქვა მის ეხლანდელ პოლიტიკაზე საბჭოთა კავშირის მიმართ. უპირველეს ყოვლისა ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ დუმერგის ლონდონში ყოფნის დროს მიღებული არ ყოფილა გადაწყვეტილება, რომელიც ასე თუ ისე ზიანს აყენებს გერმანიას. შემდეგ ჩემბერლენმა ხაზი გაუსვა, რომ ინგლისი და საფრანგეთი, თავის თავად ცხადია, იცავენ ლოკარნოს პოლიტიკას, ამასთანავე ის ფიქრობს, რომ ეს პოლიტიკა რაპალოს ხელშეკრულებას განუხორციელებლად ხდის. ჩემბერლენის თქმით, გერმანიის მთავრობა დარწმუნდება, რომ მისთვის უფრო სასარგებლო იქნება მთლიანად და საბოლოოდ შეუერთდეს დასავლეთის სახელმწიფოებს. შტამერმა ამაზე არაფერი არ უპასუხა. რაც შეეხება შტრეზემანს, მან, როდესაც მას ესტუმრა ერთერთ დასავლეთ სახელმწიფოს ელჩი, განაცხადა, რომ საერთაშორისო მშვიდობიანობის ინტერესების თვალსაზრისით ის მწუხარებას გამოსთქვამს ინგლისის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განწყვეტის გამო. შემდეგ შტრეზემანმა აღნიშნა, რომ გერმანია სასტიკ ნეიტრალიტეტს დაიცავს მის მიერ დადებულ ხელშეკრულებების თანახმად და მიიღებს ყველა ზომებს, რომ შეარიგოს მხარეები და მოაგვაროს კონფლიქტი".

ომის საფრთხის წინააღმდეგ

ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატორთა დელეგაციის განცხადება

ლენინგრადი, 28 ლენინგრადის საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიულ სექციის სხდომაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ჩეხო - სლოვაკიის კოოპერატორთა დელეგაციის მდივანი. ის შეეხო ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტას და განაცხადა:

„თუ ინგლისის მთავრობას სერიოზულად განზრახული აქვს ხელი შეუშალოს თქვენს მშვიდობიან მშენებლობას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არა თუ დამარცხდება ინგლისი, არამედ მასთან ერთად მთელი ევროპის ბურჟუაზია იძულებული იქნება ქედი მოიხაროს თქვენი ენერგიის წინაშე. მთელი მუშათა კლასი ყოველთვის თქვენს მხარეზე იქნება".

საპროტესტო მიტინგების და დემონსტრაციების ტალღა

მოსკოვი, 28 მაისი. ყოველი კუთხიდან იტყობინებიან საპროტესტო მიტინგების და დემონსტრაციების შესახებ, რომლებიც იმართებიან საბჭოთა კავშირთან ინგლისის მიერ ურთიერთობის პროვოკაციულად ჩაშლის გამო.

ნიჟნი-ნოვგოროდში მუშებმა დაადგინეს უოველთვიურად ჯამაგირის ერთი პროცენტი გადასდონ საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ. სიმფეროპოლის რკინისგზელებმა დაიწყეს თანხების შეგროვება და გადასწყვიტეს აგონ საჰაერო ესკადრილია „1927 წლის 24 მაისი"—ამ დღეს გამოვიდა ბოლდუინი განცხადებით ურთიერთობის ჩაშლის შესახებ. (ადს).

ურთიერთობის გაწყვეტა და ა.-კ. საგარეო ვაჭრობა

საუბარი ამხ. ბეკზადიანთან

(ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ვაჭრობის სახ. კომისართან)

ინგლისის მიერ დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან არავითარ გართულებას არ შეიტანს ა.-კ. ს. ფ. ს. რ. საგარეო ვაჭრობაში. ჩვენი სავაჭრო ოპერაციების ერთგვარი გადანაწილება ჩატარდება სწრაფად და უმტკივნეულოდ.

ამიერ-კავკასიის მთავარ საექსპორტო საქონელს ინგლისში წარმოადგენს ნავთის პროდუქტები (1925-26 წ. გატანილ იქნა 10.740.000 მან. ნავთის პროდუქტი, ხოლო 1926-27 წ. პირველ ნახევარში—8.224.000 მან.). ნავთის მსოფლიო ბაზრის მდგომარეობასა და ყველა ქვეყნებში საბჭოთა ნავთის პროდუქტებზე მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ინგლისში გასაზიდ ნავთის პროდუქტების განაწილება სხვა ქვეყნებში. საექსპორტო საქონლის შორის მეორე ადგილი ეჭირა მარგანეცს (1925-26 წ. გაზიდულ იქნა ინგლისში 881.000 მან. მარგანეცი). მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ინგლისში სრულიად არ გაზიდულა მარგანეცი. უზრუნველყოფილია მარგანეცის გასაღება, რადგან ის იმყოფება საკონცესიო წარმოების „საქართველოს მარგანეცი"-ს ხელში. ჭიათურის მარგანეცის შეზიდვის შეწყვეტა ინგლისში, თუ ის მართლა განხორციელდა, აზარალებს ინგლისის მრეწველობის ინტერესებს, რადგან ჭიათურის მარგანეცი მაღალი ღირსების მარგანეცია.

რაც შეეხება დანარჩენ (სახოფლო-სამეურნეო) საქონელს, უნდა ითქვას, რომ ძველთაგანვე ჩვენი მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონლის გასაღების ბაზრებს წარმოადგენდენ სხვა ქვეყნები, გარდა ინგლისისა (აბრეშუმის პროდუქტი—საფრანგეთი და იტალია, თამბაქო—გერმანია და ოსმალეთი, ჯიშიანი ხე-ტყე, მუხის ტკეჩი—გერმანია და საფრანგეთი, ბეწვეული—გერმანია). 1925-26 წ. ინგლისში გაზიდულია დანარჩენი საქონელი—1.053.000 მანეთის, ხოლო 1926-27 წ. პირველ ნახევარში—სულ 431.000 მანეთის. გაზიდულ საქონელს შორის დიდი ადგილი უჭირავს ხალიჩას, რომლის რეალიზაცია შემდეგში გადატანილი იქნება მსოფლიო მნიშვნელობის ბაზარზე—სტამბოლში, სადაც ჩვენ 1923 წლიდან გამოვდივართ, და, აგრეთვე, გერმანიაში, სადაც, შემოსაზიდ საქონელზე ბაჟების დაკლების გამო, გვეხსნება ფართე შესაძლებლობები. მესამე ადგილი საექსპორტო საქონელს შორის ინგლისში უჭირავს ჯაგარს (სულ 100—150.000 მანეთის). მისი რეალიზაციისათვის სხვა ბაზრებზე ჩვენ ადრევე, ინგლისთან კონფლიქტამდე, მიღებული გვქონდა ზომები.

საიმპორტო ურთიერთობის შეწყვეტა ინგლისთან პირველ ყოვლისა იმოქმედებს თვით ინგლისზე, რადგან ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციის გამო, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდება, ნორმალური დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის პირობებში და გრძელვადიანი კრედიტის გახსნის დროს, ინგლისი მიიღებდა დიდძალ დაკვეთებს. რაც შეეხება ჩვენს ინტერესებს, უნდა ითქვას, რომ საერთოდ ინგლისმა უკანასკნელ წლებში დაუთმო თავისი ადგილი სხვა ქვეყნებს და დაკვეთების უმეტესი ნაწილი ეძლეოდა გერმანიას, იტალიას და შვეციას. ამიერ-კავკასიის იმპორტში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა აზნავთს (1926-27 წ. პირველ ნახევარში შემოზიდულ იქნა 2.676.000 მან. საქონელი), რომელსაც თავისუფლად შეუძლია თავისი დაკვეთების განაწილება ამერიკაში, სადაც ნავთის საწარმოო მოწყობილობის საქმე უფრო უკეთესად არის დაყენებული, ვიდრე ინგლისში.

დანარჩენი საქონლის იმპორტი ინგლისიდან შარშან უდრიდა 1.500.000 მანეთს, ხოლო 26-27 წ. პირველ ნახევარში—241.000 მანეთს.

წელს საერთოდ შემცირდება იმპორტი, რადგან საბჭოთა კავშირმა შესწყვიტა მთელ რიგ საქონლის შეძენა ინგლისის, როგორც საშუამავლო, ბაზარზე და ამ საქონლის შეძენა დაიწყო სხვა მწარმოებელ ქვეყნებში (ტყავის მთრიმლავი წამლები—სამხრეთ ამერიკა, ფერადი ლითონები—ამერიკა და გერმანია). სამომხმარებლო საქონლის (ჩაი, ყავა, ტკბილეულობა) შემოზიდვა ისედაც შეწყვეტილი იყო, რადგან ამ საქონლის შეძენა საბჭოთა კავშირმა დაიწყო უშუალოდ მწარმოებელ ქვეყნებში.

ინგლისიდან ჩვენ ყოველთვის შემოგვქონდა შაბიამანი, მაგრამ გვაქვს სრული იმედი, რომ ამ მოთხოვნილებას დავფარავთ საბჭოთა შაბიამანით, რასაც საბჭოთა კავშირის მთავრობამ უკვე მიაქცია სათანადო ყურადღება.

ამნირად ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტა ინგლისის მიერ, რომელსაც განზრახული აქვს ჩვენი ეკონომიურად დახრჩობა, არ არის ჩვენთვის საშიში და ის ვერ შეარყევს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ზრდას. ურთიერთობის შეწყვეტით იზარალებს ისევე ინგლისის ვაჭრობა და მრეწველობა.

საპროტესტო მიტინგები

ინგლისის მთავრობის პროვოკაციის გამო

თბილისის რკინის გზის დეპოში

ამავე დღეს შუადღის 12 საათზე თბილისის რ. გ. დეპოში და სავაგონო პარკში შესდგა მუშა მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. კეკელიას საინფორმაციო მოხსენება ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. მომხსენებელმა მიტინგს მოკლედ გააცნო ინგლისის კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკის ნამდვილ მიზეზები, რომელმაც გამოიწვიეს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გამწვავება.

მოხსენების დასასრულს მიტინგმა, რომელსაც დაესწრო 2.000-მდე მუშა მოსამსახურე, გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია, რომელშიდაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

ვაცხადებთ სასტიკ პროტესტს ინგლისის კონსერვატორთა უმაგალითო პროვოკაციის გამო. ჩვენ ვიცით ინგლისის შუბლმაგართა მთავრობის გულისწყრომის ნამდვილი მიზეზები და გულისწადილი! ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ მუდამ მზად ვართ, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დავდგეთ შრომის ქვეყნის დასაცავად!

ძირს შუბლ მაგარი კონსერვატორები!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატს!

კოლოფების ქარხანაში

საპროტესტო მიტინგი გაიმართა აგრეთვე კოლოფების ქარხანაში. ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ფრიდონოვმა. კრების მიერ გამოტანილ რეზოლიუციაში კოლოფის ქარხნის მუშები აცხადებენ შემდეგს.

ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან—წარმოადგენს ინგლისის მთავრობის მიერ ომის დასაწყებად გადადგმულ ნაბიჯს. მაგრამ საჭიროა აქიდანვე იცოდენ მუშათა კლასის მტრებმა, რომ თუ მათ მოინდომეს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის ხელის შეხება, საბჭოთა ქვეყნის მშრომელნი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ მის დასაცავად.

კოლოფების ქარხნის მუშებმა ამავე კრებაზე დაადგინეს: გადარიცხონ სამუშაო ხელფასის 1 პროც. სამხედრო-საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლად და გამოიწვიონ თბილისის მუშები თავიანთი წვლილის გასაღებად იმ მიზნით, რომ შეგროვილ იქნეს თანხა ერთი მფრინავის ასაგებად.

ქ. ხაშურის რკინის გზის მუშა - მოსამსახურეები

20 მაისს ქ. ხაშურის რკინის გზის საკლუბში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა საპროტესტო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 460 მუშა-მოსამსახურე. ინგლისის მთავრობის პროვოკაციული თავდასხმის შესახებ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. ლაცაბიძემ, რომელმაც მიტინგს გააცნო პროვოკაციის ნამდვილი მიზეზები.

მიტინგმა გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ქ. ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი უდიდეს აღშფოთებას გამოსთქვამს იმ თავდასხმის გამო, რომელიც ლონდონელმა ყაჩაღებმა მოახდინეს არკოსის და საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაზე.

მიტინგი ხაზს უსვამს, რომ პროვოკაციის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს ინგლისის კონსერვატიული მთავრობა, რადიკალურად ეწინააღმდეგება ინგლისის მშრომელთა ინტერესებს. მათი უხეში პოლიტიკა მიმართულია საერთაშორისო მდგომარეობის გართულებისაკენ და სისხლის მღვრელ ომების გამოწვევისაკენ.

კრება მთლიანად იწონებს რა საბჭოთა კავშირის პოლიტიკას აღნიშნავს, რომ საბჭ. კავშირის ნოტა ბრიტანეთის მთავრობისადმი, ერთხელ კიდევ ამტკიცებს ჩვენს თავდაჭერილობას და მშვიდობიანობის დაცვის სურვილს. მიტინგი მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან, რომ მან მიიღოს გადამჭრელი ზომები თავგამეტებული არამზადების წინააღმდეგ.

ძირს ინგლისის „კულტუროსანი" მთავრობის საზიზღარი პროვოკაცია!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატის გაერთიანებულ ბრძოლას სისხლის მსმელ იმპერიალისტების წინააღმდეგ.

გერმანიის მენშევიკების ყრილობა

განხეთქილება „მემარცხენეებს" შორის

ბერლინი, 27 მაისი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე კილში მემარცხენე, სოციალ-დემოკრატებს შორის მოხდა განხეთქილება. ბრესლავლის დელეგაციის წინადადება საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ დელეგაციების წევრთა გამორიცხვის შესახებ პარტიიდან უარყოფილ იქნა ორი ხმის უმრავლესობით. ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისათვის კენჭის ყრის დროს ოპოზიციის 13 დელეგატმა, მათ რიცხვში ხეიმნიცის და ცვიკაუს დელეგაციებმა და ლეიპციგის დელეგაციის ნაწილმა, უნდობლობა გამოუცხადა ცენტრალურ კომიტეტს. ეს ფაქტი არაჩვეულებრივია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობისათვის (ადს).

გილფერდინგის მოხსენება

ბერლინი, 27 მაისი. 26 მაისს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე გილფერდინგმა გააკეთა მოხსენება „დემოკრატიის მიზნებისა და ამოცანების შესახებ რესპუბლიკაში".

— პარტიების ბრძოლა კაპიტალისტურ სახელმწიფოში— განაცხადა გილფერდინგმა,—წარმოადგენს ბრძოლას სახელმწიფოებრივ ფორმისათვის, სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში მონაწილეობისათვის. არაფერი არის ისეთი დამღუპველი სოციალიზმის განხორციელებისათვის, როგორც სამოქალაქო ომი. ამიტომ ჩვენ დაინტერესებული ვართ დემოკრატიის შენარჩუნებაში. ნამდვილი საფრთხე ყველა პროლეტარულ ფენებისათვის ყველა სახელმწიფოებში მდგომარეობს იმაში, რომ მუშებს არ ესმით დემოკრატიის მნიშვნელობა.

გილფერდინგის სიტყვიდან გამოდიოდა ისეთი დასკვნა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია აუცილებლათ უნდა შევიდეს კოალიციონურ მთავრობაში.

ტონი ზენდერმა თავის სიტყვაში დაასაბუთა როზენფელდის, აუფჰაიზერის და მის მიერ შეტანილი წინადადება, რომელიც ილაშქრებს კოალიციონურ მთავრობის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ **პარტიამ პროლეტარული კლასობრივი ბრძოლა უნდა აწარმოოს ყველა შესაფერი პარლამენტარული და არაპარლამენტარული საშუალებებით.**

ოპოზიციის წინადადება უარყოფილ იქნა 255 ხმით 83 ხმის წინააღმდეგ. ყველა ხმებით ხემნიცის დელეგატების ხმების წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია გილფერდინგის წინადადების მიხედვით. ერთხმად მიღებულ იქნა წინადადება, რომელიც ნდობას უცხადებს სოციალ-დემოკრატიის ფრაქციებს რეიხსტაგში და პრუსიის ლანდტაგში. ბერლინის დელეგაციის რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ ცენტრის პარტიას შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატის საწინააღმდეგო პოლიტიკის წარმოება, უარყოფილ იქნა (ადს).

ამხ. დოვგალევსკის განცხადება

ტოკიო, 27 მაისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იაპონიაში პრესის წარმომადგენლებს გადასცა განცხადება ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლის შესახებ. განცხადება განმარტავს ურთიერთობის ჩაშლის მიზეზებს. განცხადებაში ხაზგასმულია რწმენა, რომ იაპონია წინანდებურად მეგობრულად უყურებს საბჭოთა კავშირს და თანაუგრძნობს საბჭოთა კავშირის მშვიდობიან პოლიტიკას, ვინაიდან იაპონია ყოველთვის ცდილობდა ხელის შეწყობას მშვიდობიან ურთიერთობისათვის შორეულ აღმოსავლეთში (ადს).

გამოქახილი ამერიკაში

ნიუ-იორკი, 27 მაისი. ეხება რა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, „ჯორნალ ოფ კომერს", აცხადებს:

„თუ ურთიერთობის გაწყვეტის მიზეზია პროპაგანდა, მაშინ დიპლომატიურ წარმომადგენლების გაძევება მდგომარეობას არ სცვლის".

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დღემდე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებები არ არის დამაჯერებელი.

ოფიციალური წრეების წარმომადგენლები ვაშინგტონში თავს იკავებენ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის კომენტარიებისაგან. არა ოფიციალურად ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის ჩაშლას ორნაირად აფასებენ: ურთიერთობის ჩაშლა ერთის მხრივ დამატებითი არგუმენტია, საბჭოთა კავშირის არ ცნობის პოლიტიკის სასარგებლოდ, მეორეს მხრივ,— **ის შესაძლებელს ხდის ამერიკისა და საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობის გაფართოებას** (ადს).

კრისპინის მოხსენება

ბერლინი, 27 მაისი. ქალ. კილში, დასრულდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა. პარტიის ცეკა და საკონტროლო კომისია არჩეულია ისევ ძველი შემადგენლობით.

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე, მეორე ინტერნაციონალის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კრისპინი. მან განაცხადა რომ პროლეტარიატის არსებული განხეთქილების გამო მეორე ინტერნაციონალის იდეოლოგიური გავლენა ფრიად განსაზღვრულია.

ერთა ლიგის შესახებ კრისპინმა სთქვა, რომ ერთა ლიგის დემოკრატიზაცია გულისხმობს მასში შემავალ ყველა სახელმწიფოთა დემოკრატიზაციას.

„— ჩვენ ერთა ლიგას უდგებით ყოველგვარი ილიუზიების გარეშე;ჩვენ დარწმუნებული ვართ მისი არსებობის საჭიროებაში. მეორე ინტერნაციონალის მომავალ კონგრესზე დაისმება საკითხი ერთა ლიგის სოციალისტური ფრაქციის შექმნის შესახებ. საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის მონაწილეობამ დაგვარწმუნა, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ ძალუძს ანგარიში არ გაუწიოს ერთა ლიგის დაწესებულებებს და მის მიერ მოწვეულ თათბირებს".

შემდეგ კრისპინმა სასტიკათ გაილაშქრა მთელ რიგ ორგანიზაციების მიერ შემოტანილ წინადადებების წინააღმდეგ ომის გამოცხადების შემთხვევაში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

„— კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ იმ შემთხვევაში, თუ ომი გამოცხადდა,— განაცხადა კრისპინმა,—პასუხი არ გაუცია ჯერ ჯერობით არც ერთ ყრილობას და ამ კითხვაზე არც შეიძლება შესაფერი პასუხის გაცემა. განა რაიმე სარგებლობის მოტანა შეუძლია იმ გადაწყვეტილებას, რომლის ასრულებაც ვერ მოხერხდება?".

შემდეგ კრისპინმა სოციალ-დემოკრატებისათვის ჩვეული სიბრაზით მოიხსენია კომინტერნი.

ჩინეთის საკითხის შესახებ კრისპინმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ჩინეთისათვის საჭირო არის ეროვნული დამოუკიდებლობაო.

„— ბოლშევიკებმა მოინდომეს ინგლისელების დამარცხება ჩინეთში, მაგრამ ინგლისმა სამაგიერო გადაუხადა საბჭოთა კავშირს და გასწყვიტა მასთან ურთიერთობა.

ამ ბრძოლაში ჩვენ უარს ვამბობთ კაპიტალისტებთან კავშირზე და ინგლისის მუშათა კლასთან ერთად—სასტიკად ვგმობთ ინგლისის მთავრობის საქციელს". (ადს).

კომუნისტების დევნა

სწრაფი სასამართლო

პარიზი, 27 მაისი. მინისტრთა საბჭომ მოიწონა კანონპროექტი, რომლითაც სასამართლოებს ენიჭებათ უფლება გამოიტანონ ისეთი განაჩენები, რომლებიც დაუყოვნებლივ შევა ძალაში, მიუხედავად მათი გასაჩივრებისა უზენაესი ორგანოების წინაშე.

„იუმანიტე" და სოციალისტების ორგანო „პოპულერი" პროტესტს აცხადებენ ახეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ და აღნიშნავენ, რომ ეს კანონპროექტი მიმართულია პოლიტიკურ დანაშაულის წინააღმდეგ. (ადს).

სასჯელის გაგრძელება

პარიზი, 27 მაისი. მარბერუოზის ციხეში მოთავსებულ კომუნისტებს განუცხადეს, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ ისინი მაინც დატოვებული იქნებიან ციხეში, ფულადი ჯარიმის გადაუხდელობის გამო. კომუნისტები ლოზერე და არრიგი დატოვებული იქნებიან ციხეში კიდევ წელიწად ნახევრით, კუტიური—ერთი წლით და კაზალი—ოთხი თვით. (ადს).

იმპერიალისტები ჩინეთში

რა უთქვამს, რა მოუჩმახავს...

პეკინი, 28 მაისი. „ნორტ ჩაინა სტანდარტი" აქვეყნებს მუკდენის ხელისუფლების ბრძანებას, რომლითაც ჩინელებს ეკრძალებათ შეირთონ რუსი ქალები, თუ უკანასკნელი არ არიან ჩინეთის ქვეშევრდომნი.

გაზეთი აცხადებს, რომ ამ აკრძალვის მიზეზი არის ის გარემოება, რომ საბჭოთა საელჩოში ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა დოკუმენტები, რომელნიც მოწმობენ, რომ „განზრახულია ჩინეთში გაიგზავნონ რუსი ქალები, რომელნიც ცოლად უნდა გაჰყვენ ჩინელ სტუდენტებს ბოლშევიკური პროპაგანდის გავრცელების მიზნით". (ადს).

კონტროლი ნანკინის მთავრობის მოქმედებაზე

შანხაი, 27 მაისი. ჩინეთის გაზეთების ცნობით, გომინდანის მემარჯვენე ფრთამ ხუ-ხანმინი დანიშნა გომინდანის ოფიციალურ დელეგატად ნანკინის მთავრობისათვის კონტროლის გასაწევად. (ადს).

იაპონურ ჯარების გაგზავნა მანჯურიაში

ტოკიო, 27 მაისი. იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს ჩრდილოეთ მანჯურიაში ქვეითთა ჯარის და კავალერიის 7 ბატალიონი. (ადს).

მემარჯვენეთა კონფერენცია

ტოკიო, 27 მაისი. კოკუმინი იუწყება, რომ შანხაიში ახლო მომავალში შესდგება აზიის მუშათა კავშირების მემარჯვენე ფრთის კონფერენცია. იაპონიის შრომის რეფორმისტულ ფედერაციის ზოგიერთი მოღვაწენი უკვე გაემგზავრენ ნანკინში, სადაც ისინი მოლაპარაკებას აწარმოებენ ჩან-კაი-შისთან კონფერენციის მოწყობის შესახებ. (ადს).

უხანის ჯარების ახალი გამარჯვება

შანხაი, 28 მაისი. უხანის მთავრობის ჯარებმა დაიკავეს სიუ-ჩჟოუ (ხენანში, პეკინ-ხანკოუს რკინის გზის მიმართულებით) ფინ-იუი-სიანის ჯარებმა მიაღწიეს სი-შუის (სენჩჟოუს და კაი-ფინს შორის). (ადს).

ღამის ცნობები

მუკდენის ჯარები გარბიან

შანხაი, 28 მაისი. ნაციონალური ჯარები კვლავ განაგრძობენ წინსვლას ჩრდილოეთისაკენ ყოფილი მდინარის მიმართულებით. მუკდენის ჯარები გა[illegible]. მუკდენის ჯარების არტილერიამ [illegible] სუ-ცზიანი საკენ. (ადს).

რიონის ჰიდრო-ელსადგური

მოსკოვი, 28 მაისი. საკავშირო [illegible] ბრძანებით, რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამშენებლო სამუშაოთა მთავარ ინჟინერად დამტკიცებულია ინჟ. ზ. ჭიჭინაძე, ხოლო მის მოადგილედ დამტკიცებულია ინჟ. მელიქ-ფაშაევი. (ადს).

ბანდიტობისა და ჯაშუშობისათვის

კიევი, 28 მისი. საოლქო სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ბანდიტ ანდრია ლისაკას, რომელსაც ამავე დროს ბრალდებოდა პოლონეთის გენერალური შტაბის აგენტობა.

ახალი სახელმწიფო სესხები

მოსკოვი, 28 მაისი. საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა გამოუშვას ახალი საშინაო 12 პროცენტიანი სესხი 200 მილ. მანეთის რაოდენობით. სესხი ათი წლის ვადით იქნება გამოშვებული.

საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებით, გადაწყვეტილია აგრეთვე 1927 წლის მესამე სახელმწიფო 8 პროცენტიანი სესხის გამოშვება ათი წლის ვადით და 200 მილიონი მანეთის რაოდენობით (ადს).

დომბროვის მეღითონეთა გაფიცვა

ვარშავა, 27 მაისი. მეღითონეთა გაფიცვა დომბროვის რაიონში მწვავე ხასიათს იღებს. ხუტა-ბანკოვის ლითონის ჩამომსხმელ ქარხანაში მუშებმა სამუშაოდან მოხსნეს ღუმელზე მომუშავეები. ამის შედეგად ორი ღუმელი დაზიანდა (ადს).

გადაფრენა პარიზი—მოსკოვი—ტოკიო

მოსკოვი, 28 მაისი. ივნისის შუა რიცხვებში პარიზიდან ტოკიოში გადაფრინდებიან ფრანგი ავიატორები ჟირიე და დორდილი. მფრინავები გადაიფრენენ საბჭოთა კავშირზე. შარშან აღნიშნულმა ავიატორებმა მოახდინეს შეუსვენებელი გადაფრენა პარიზიდან ომსკში (ადს).

საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 28 მაისი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭომ დაადგინა მოიწვიოს 10 მაისს საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მორიგი პლენუმი. (ადს).

სარო მოსკოვის წინააღმდეგ

პარიზი, 28 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ 27 მაისს დეპუტატთა პალატაში მოხდა იმ შეკითხვის განხილვა, რომელიც შეტანილი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის საროს მიერ კომუნისტების წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვის გამო.

სარომ უპასუხა კომუნისტურ დეპუტატ კაშენს და განუცხადა, რომ კომუნიზმს სურს მსოფლიო რევოლიუციის გამოყენება რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ და მიზნად ისახავს თავისი დიქტატურის თავზე მოხვევას სამოქალაქო ომისა და სისხლის ღვრის საშუალებით. მოსკოვი ხელმძღვანელობას უწევს ანტიმილიტარისტულ და ანტიკოლონიალურ მოძრაობას.

სარომ კომუნისტებს განუცხადა: „თქვენ გდევნიან იმიტომ, რომ თქვენ იწვევთ ომებს, სპობთ მშვიდობიანობის იმედებს და გსურთ ომი, ვინაიდან მოსკოვს არ სურს მშვიდობიანობა, იგი ისწრაფვის თავის ბატონობს დამყარებისაკენ, ჩვენ შევძლებთ კანონის გამოყენებას და ვიმოქმედებთ ყოველგვარი პროვოკაციის წინააღმდეგ

ბლიუმმა (სოციალისტი) შემოიტანა შეკითხვა: როგორი ხასიათი ექნება მომავალში დიპლომატიურ ურთიერთობას საფრანგეთის მთავრობისა და საბჭოთა კავშირს შორის. მან განაცხადა, რომ საროს სიტყვა აშკარად იყო მიმართული მოსკოვის წინააღმდეგ.

ბრიანმა უპასუხა ბლიუმს და განაცხადა: „სარო მოსკოვზე ლაპარაკობდა, როგორც მესამე ინტერნაციონალის ადგილმყოფელობის შესახებ, ვინაიდან თუ საბჭოთა მთავრობის მხრივ ადგილი ექნა დიპლომატიურ უხეშობას, მაშინ გარეშე საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რა სანქციების მიღებაც იქნება საჭირო". დასასრულ ბრიანმა განაცხადა, რომ კამათში არ შეეხებ საგარეო პოლიტიკას. (ადს).

წყნარ ოკეანეს მუშათა კონფერენცია

რეზოლიუცია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ

ხანკოუ, 27 მაისი. წყნარ-ოკეანეს მუშათა კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია ახალი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

ბრძოლა იმპერიალისტური სახელმწიფოებ შორის, ნათქვამია რეზოლიუციაში, და პირველ რიგში ინგლისსა, იაპონიასა და ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს შორის წყნარ-ოკეანეზე ჰეგემონიისათვის, დღითი-დღე მწვავდება. რამაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს ახალი საერთაშორისო იმპერიალისტური ომი. ეს მეტოქეობა აქამდე გამოიწვევდა შეტაკებას, რომ მათ სოციალური შედეგების არ ეშინოდეთ. საბჭოთა კავშირის მაგალითი ყოველთვის სდგას საერთაშორისო ბურჟუაზიის თვალწინ. საერთაშორისო იმპერიალიზმის მდგომარეობა რთულდება კიდევ იმით, რომ რუსეთის და ჩინეთის რევოლიუციამ იმპერიალიზმის წინააღმდეგ აამხედრა მშრომელთა ფართო მასები ყველა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში. საბჭოთა კავშირი იმყოფება თავდასხმის მუდმივი საფრთხის ქვეშ. ომი შეიძლება სრულიად მოულოდნელად დაიწყოს.

პროფკავშირთა წყნარ ოკეანეს კონფერენცია ყველა ქვეყნის მუშათა მასებს მოუწოდებს სიფხიზლისაკენ და ორგანიზაციული ბრძოლისაკენ ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხის [illegible] შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშები ყველა ქვეყნებში მკაცრ ბრძოლას აწარმოებენ თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ და შეერთებული ძალებით ყველგან დაამყარებენ შრომის უფლებას კაპიტალის უფლების ნაცვლად".

მოწოდება ინდოეთის მუშათა კლასისადმი

წყნარ-ოკეანეს მუშათა კონფერენციამ, რომელსაც დაესწრენ ჩინეთის, საბჭოთა კავშირის, იაპონიის, კორეის, იავის, ინგლისის, საფრანგეთის და ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების პროფმოძრაობის წარმომადგენელნი, მიიღო მოწოდება ინდოეთის მუშათა კლასისა და პროფკავშირებისადმი, რომელშიაც გამოთქმულია იმედი, რომ ინდოეთის მუშათა კლასი და ინდოეთის პროფკავშირები გახდებიან წყნარ-ოკეანეს და მსოფლიო მთლიანი ფრონტის ერთ-ერთ დასაყრდენად და ხელს შეუწყობენ იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლას და ყველა ჩაგრული ერების და კლასების განთავისუფლებას.

მოწოდება ავსტრალიის მუშებისადმი

მოწოდება ავსტრალიის მუშათა კლასისა და პროფკავშირებისადმი, ერთსულოვნად გამოსთქვამს აღშფოთებას იმ რეპრესიების წინააღმდეგ, რომლის გამოც ავსტრალიის დელეგაცია ვერ დაესწრო კონფერენციას.

„ავსტრალიის მუშებმა, ნათქვამია მოწოდებაში, რომლებმაც იკისრეს ამ კონფერენციის მოწვევის ინიციატივა, კარგად იციან, რომ ერთად ერთი საშუალება წყნარ-ოკეანეზე ომის წინააღმდეგ, არის მთელი წყნარ-ოკეანეს ქვეყნების მუშათა მასების მტკიცე კავშირი" (ადს).

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

ვინ უფრო წააგებს.—ინგლის-საბჭოთა კონფლიქტი და რეფორმისტები.—გერმანიის სოციალ - დემოკრატიის ყრილობა.-არჩევნები ვარშავაში.—პოლონეთ - ლიტვის ურთიერთობა.—ერთიანი ანტი-საბჭოთა ფრონტის შექმნა განუხორციელებელია. — ჩვენი გამარჯვება ეკონომიურ კონფერენციაზე.

ის გამწვავებული ურთიერთობა, რომელიც კონსერვატორებმა შექმნეს ინგლის - საბჭოთა კავშირს შორის, ოფიციალურად ჩამოყალიბდა: ბოლდუინის მთავრობის წინადადებით თემთა პალატამ ხმების უმრავლესობით დაადგინა ჩვენთან დამოკიდებულების გაწყვეტა.

შუბლმაგარნი, თავის უკანასკნელ დროის პროვოკაციული გამოსვლებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ცდილობდნენ, რათა საბჭოთა მთავრობას პირველს გადაედგა ასეთი ნაბიჯი. მათი მიზანი იყო ურთიერთობის გაწყვეტისა და მისი შედეგებისათვის პასუხისმგებლობის ჩვენზე მოხვევა ინგლისის და მთელი მსოფლიოს ფართე მასების თვალში. საბჭოთა მთავრობა ამ პროვოკაციაზე არ წამოეგო. და დღეს ყველასათვის, თუ ვინმეს ამაში ეჭვი შედიოდა, აშკარა უნდა იყოს, რომ არა საბჭოთა კავშირი, არამედ სწორედ ინგლისის იმპერიალისტები დაემუქრენ მსოფლიო მშვიდობიანობას. საბჭოთა მთავრობის პირდაპირ დასმულ კითხვაზე — სურს თუ არა ინგლისის მთავრობას მასთან დამოკიდებულების შენარჩუნება და მშვიდობიანობის განმტკიცება, ან მისი ჩაშლა და საერთაშორისო მდგომარეობის გართულება, — კონსერვატორებმა, ბოლოს, ასევე გარკვევით უპასუხეს, რომ მათ მეორე გზა აირჩიეს. ბოლდუინის მთავრობა აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობას ვერაფითარი ხრიკებით ვერ აიცილებს თავიდან. კერძოდ, ამ მიზნისათვის სრულებით გამოუსადეგი გამოდგა საბჭოთა წარმომადგენლობის გაჩხრეკვის შედეგები. თვით ბურჟუაზიული პრესაც აღიარებს, რომ ამ გაჩხრეკამ ვერავითარი, ცოტად თუ ბევრად ანგარიშგასაწევი საბუთები ვერ აღმოაჩინა საბჭოთა მთავრობის მოქმედების გასაშავებლად და რომ თავდასხმა მხოლოდ საბაბი იყო ჩვენთან ურთიერთობის გასაწყვეტად.

ასეთ პირობებში უდავოა, რომ ლონდონის მთავრობის ნაბიჯი უფრო მეტ ზიანს თვით ინგლისს აყენებს, ვინემ საბჭოთა კავშირს. ინგლისი ამით კარგავს საბჭოთა ბაზარს, რომლის გამოყენება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა დაქვეითების გზით მიმავალ მისი ეკონომიკისათვის. ინგლისის საქმიანი წრეები აშკარად აცხადებენ, რომ კონსერვატორების ნაბიჯი ლახვარს სცემს ინგლისის მეურნეობას და ისინი გმობენ მას. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ის ეკონომიურ ურთიერთობას გააფართოებს სხვა ქვეყნებთან და ამით სავსებით შეავსებს ინგლისის მიერ ჩვენს ეკონომიკაში დაცლილ ადგილს. ჩვენთან ალებ-მიცემობის სფეროში ინგლისის მაგიერობის გაწევის მსურველები კი ბლომად არიან.

ამავე დროს, სულ უფრო მწვავდება ბრძოლა შრომასა და კაპიტალ შორის ინგლისში. კერძოდ აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირი დიდი თანაგრძნობით და პოპულიარობით სარგებლობს ინგლისის პროლეტარიატში, რომელიც, უეჭველია, თავის ქვეყნის ავანტიურისტების წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად გადაჭრით გამოვა. ამგვარად, ჯერ-ჯერობით ცხადია, რომ, კონსერვატორების მთავრობის მიერ ჩვენთან დამოკიდებულების გაწყვეტა გამოიწვევს ინგლისის ეკონომიურ კრიზისის და კლასობრივ ბრძოლის უფრო გაღრმავებას, რაც ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელ პირობებს ქმნის ინგლისის იმპერიალისტების მხრით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უფრო აქტიურ გადალაშქრებისათვის.

⁂

ჩვენ ვსთქვით, რომ ინგლისის მუშათა კლასი საბჭოთა სახელმწიფოს მოკავშირეა და ის სათანადო ზომებს მიიღებს, რათა შეუძლებელი გახადოს კონსერვატორების ავანტიურის შემდგომი განვითარება. ეს ითქმის არა მარტო ინგლისის მუშათა კლასზე, არამედ მთლიანად საერთაშორისო პროლეტარიატზე. ეგი უკვე აღარ არის ის, რაც იყო 1914 წელში, როცა ბურჟუაზიამ ადვილად შესძლო მისი ომში ჩათრევა. ამის შემდეგ მან მრავალი მწარე გაკვეთილი განიცადა, მისი კლასობრივი შეგნება გაიზარდა და დღეს მეტად საეჭვოა მისი კვლავ მოტყუილება. კერძოდ საბჭოთა კავშირის მიმართ განმტკიცდა და გაფართოვდა მსოფლიო მუშათა კლასის აქტიური სიმპატიები, საბჭოთა კავშირის დაცვა მას თავის კლასობრივ მოვალეობად მიაჩნია. და თუ მის წინააღმდეგ იმპერიალისტებმა გაბედეს ხმლის ამოღება, სრულებით არ იქნება მოულოდნელი, რომ კაპიტალისტურ ქვეყნიერების მუშათა კლასმა ამას სამოქალაქო ომის დროშის აღმართვით უპასუხოს.

მაგრამ ეს, ცხადია, მოხდება არა სოციალ - შემთანხმებლების წყალობით, არამედ მათი ნებისყოფის წინააღმდეგ. საერთაშორისო სოციალ - დემოკრატია 1914 წლის შემდეგ არ გამოცვლილა, ან თუ გამოიცვალა, ეს გამოიხატება ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის გაძლიერებაში. მიუხედავად ბუნდოვანი ფრაზეოლოგიისა ახალი ომის წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ, რომლებსაც რეფორმისტები ტაქტიკური მოსაზრებით წამოისვრიან ხოლმე, ისინი ძველებურად „მშობლიურ" ბურჟუაზიას ამოუდგებიან გვერდში, თუ ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის მოწმენი შეიქნიან.

ამას მოწმობს თუ გინდ კლაინსების და ჰენდერსონების მეტად საეჭვო პოზიცია ინგლის - საბჭოთა კონფლიქტში. ამ ვაჟბატონებმა, მართალია ურთიერთობის წინააღმდეგ მისცა ხმა,—მისთვის მხარის დაჭერა მეტის-მეტი იქნებოდა,— მაგრამ თავის არსენალში ვერ გამონახეს არც ენერგიული სიტყვა ინგლისის იმპერიალისტებზე ნამდვილი იერიშის მისატანად, ხიკსების ავანტიურების სამხილებლად. ისინი დაკმაყოფილდენ უწყინარი მოთხოვნით „საქმის მიუდგომელი გამოძიებისათვის" საპარლამენტო კომისიის არჩევის შესახებ. კიდევ ერთი ღალატი საერთაშორისო პროლეტარიატის საქმისადმი ჩაიწერება მათი „საგმირო საქმეების" უთვალავ სიაში. მაგრამ რა მოეთხოვება ისეთ ხალხს, რომელიც თავის მუშათა კლასს ზურგში ლახვარს სცემს კაპიტალთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, როგორც ეს, სხვათა შორის, დაინახეთ შარშანდელ გაფიცვისა და ამას წინედ პროფკავშირების წინააღმდეგ კანონის მიღების დროს.

ინგლისელ რეფორმისტებს მუშათა კლასის გამცემლობაში პირველობას ედავებიან მათი გერმანელი კოლეგებიც. აიღეთ, მაგ. „ფორვერტსი", რომელიც დახელოვნებულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ათასგვარ ჭორების გავრცელებაში. აი, რას წერს ის ბოლდუინის გამოსვლის გამო თემთა პალატაში: „ბოლდუინის მიერ მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, თუ რა იოლად ანაცვალა საბჭოთა კავშირმა ინგლისის ურთიერთობას პროპაგანდა ბურჟუაზიულ წყობილების დასამხობად"-ო. ამგვარად, „ფორვერტს" კვერს უკრავს ბოლდუინს, სიმართლედ ასაღებს უკანასკნელის მიერ შეთითხნილ „საბუთებს" და ამ გზით ცდილობს „ფართე მასაში" ანტისაბჭოთა სულიერ განწყობილების შექმნას. ჩვენ ეს არ გვიკვირს: გერმანელ მენშევიკების ზედა წრეები თავის დანიშნულებას ემსახურებიან—საბჭოთა კავშირის და კომუნისტების განაპირების საქმეს. ამიტომ, ვიმეორებთ, რომ მსოფლიო მუშათა კლასის ამხედრება საბჭოთა კავშირის დასაცავად და იმპერიალიზმის წინააღმდეგ უნდა მოხდეს სოციალ-შემთანხმებლების ნებისყოფის წინააღმდეგ, მათზე გადაბიჯებით. ევროპის პროლეტარიატის გარევოლიუციონერების უტყუარი ფაქტი გვარწმუნებს, რომ ეს ასე მოხდება.

⁂

რაკი გერმანიის სოციალ-დემოკრატიაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, არ შეგვიძლია არ შევეხოთ მის ყრილობას, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს კილში. არ იფიქროთ, რომ ყრილობა იხილავს მომალოდნელი მსოფლიო ომისა და კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ რაიმე რეალურ ზომების მიღების საკითხს. არაფერი მაგის მსგავსი. სამაგიეროდ ყრილობაზე განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის საჭიროების „დასაბუთებას". გერმანელ მენშევიკებს პირში ნერწყვი მოსდით იმ მომენტის გახსენებაზე, როცა ისინი მთავრობის სავარძელში ისხდენ კაპიტალის წარმომადგენლებთან ერთად. და ეხლაც ოცნებობენ მათთან კოალიციაზე. მიულერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატები მზად არიან შევიდენ მთავრობაში და არასოდეს უარს არ იტყვიან იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ პრუსიის კაბინეტში უკავიათ. ხოლო რას აკეთებენ ისინი პრუსიის მთავრობაში, ეს, სხვათა შორის, ნათლად სჩანს იქედან, რომ მათი მეოხებით ამ მთავრობამ ჰოჰენცოლერნებს აუარებელი ქონება დაუბრუნა და „შეურაცხყოფილ" ვილჰელმის ერთგულ დამცველად გამოვიდა. ველსს ყრილობაზე ეყო უტიფრობა ეს სამარცხვინო ნაბიჯი გაემართლებია.

მენშევიკები ექომაგებიან ყოფილ მეფის გვარეულობას და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობისათვის იღწვიან. ისინი ყოველნაირად ცდილობენ დაუმტკიცონ მას თავისი ერთგულება, რაც ბოლო დროს, სხვათა შორის, გამოიხატა ფაშისტების დემონსტრაციისათვის მათ მიერ მხარის დაჭერაში. ამავე დროს მათ მთავარ მიზნად აქვთ დასახული კომუნისტებთან ბრძოლა. იმავე ველსმა სასტიკად გაილაშქრა მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ და ხაზი გაუსვა „თავდაცვის ხაზის გაძლიერების" საჭიროებას კომუნისტების წინააღმდეგ. თავისი თვალსაზრისით გერმანელი შემთანხმებლები მართალი არიან: კომუნისტური პარტიაა ის ძალა, რომელიც მათ გავლენას მუშათა კლასში ნიადაგს აცლის. მაგრამ ვერავითარ ველსებს, თუგინდ ფაშისტების და ჰინდენბურგის მთავრობის დახმარებით, არ ძალუძთ კომუნისტურ გავლენის ზრდის და მუშათა კლასის გამემარცხენების პროცესის შეჩერება. პროცესის, რომელიც სოციალ-დემოკრატიის ქვედა ფენებსაც ფართედ მოედო. ამას მოწმობს ბერლინის მუშათა კლასის მრისხანე საპასუხო დემონსტრაცია კომუნისტების გამოსვლაზე, საქსონიის მშრომელთა ამას წინედ დამთავრებული კონგრესი, რომელზედაც სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთა გადაჭრით გამოვიდა მემარჯვენეების წინააღმდეგ, და მრავალი სხვაგვარი ფაქტები.

ღსანიშნავია ჰილფერდინგის გამოსვლა ყრილობაზე. „ფინანსიური კაპიტალის" ავტორი, რომელმაც მარქსიზმს კარგა ხანია რაც შეაფურთხა, მოჰყვა ძველებურ ლათაიებს „დემოკრატიის შენარჩუნების" საჭიროების შესახებ. მისი სიტყვით, „სხვა არაფერია უფრო დამღუპველი სოციალიზმის განხორციელებისათვის, ვინემ სამოქალაქო ომი". დასკვნა ისევ ისაა—საჭიროა ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა და კოალიციონურ მთავრობაში მუშაობა. ჩვენ ვიცით, თუ რა არის ბურჟუაზიული დემოკრატია,—ის მასების „მშვიდობიანი" ექსპლოატაციის და დამონების იარაღია. ამ ფორმამ უკვე მოსჭამა თავისი დრო და მისი გამობრუნება—მკვდრის აღდგომა იქნებოდა. რაც შეეხება სოციალიზმის განხორციელებას, ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია არა დემოკრატიის გზით, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით.. ამის კონკრეტიულ მაგალითს საბჭოთა კავშირი იძლევა. მაგრამ ჰილფერდინგებს ამის აღიარებას ვერ მოსთხოვთ. მათთვის ხომ სოციალიზმი ცალიერ, მასების მოსატყუებელ შირმათაა გადაქცეული, მათ ხომ თავის ბედი სამუდამოდ დაუკავშირეს ბურჟუაზიულ წყობილებას!

⁂

პოლონელი „სოციალისტები" გერმანელ მენშევიკებზე უფრო შორს მიდიან მშრომელ მასების ღალატში. ამ მხრივ, მრავალ ფაქტებს შორის, დამახასიათებელია უკანასკნელი საქალაქო არჩევნები ვარშავაში.

ამ არჩევნებს მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო პოლონეთის დედაქალაქის უახლოეს ბედისათვის, არამედ ის მაჩვენებელი იყო საერთოდ პოლონეთის საზოგადოებრივ ძალთა ეხლანდელ განწყობილების და ნიადაგის გასინჯვა შემავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის.

პოლონეთში იშვიათად ყოფილა ასეთი გაფართოებული საარჩევნო ბრძოლა პოლიტიკურ პარტიებსა და ჯგუფებს შორის, როგორც ამას ეხლა ჰქონდა ადგილი. პოლონელი მემარჯვენენი გაერთიანებულად გამოვიდენ. აგრეთვე ბლოკი შეადგინეს ებრაელთა ბურჟუაზიულმა პარტიებმა. „სოციალისტურ" პარტიამ შეკრა ბლოკი „მშრომელ" ინტელიგენციასთან. იყო აგრეთვე სხვადასხვა დროებითი გაერთიანება. მუშათა მემარცხენე ორგანიზაციები კომუნისტების მეთაურობით ცალკე გამოვიდენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, უკანასკნელთ განსაკუთრებულ პირობებში მოუხდათ საარჩევნო ბრძოლის გადატანა. კომპარტია პოლონეთში არალეგალური, იატაკ ქვეშ ჩადენილი ორგანიზაციაა. ამასთან, პირველ მაისობის დღესასწაულის წინა დღეებიდან დაწყებული, პოლონეთის ჟანდარმერია მემარცხენე ელემენტების და კომუნისტების მასიურ დაპატიმრებას ახდენდა. არჩევნების წინ და მის განმავლობაში ხომ ვარშავის პოლიცია მთლიანად ფეხზე იყო დაყენებული ყველა „არასაიმედო" პირების მოსაძებნად და მემარცხენე ჯგუფების ცოტად თუ ბევრად შეკავშირებულ გამოსვლის ასაცილებლად.

„ჯვაროსნულ ომს" კომუნისტების წინააღმდეგ სათავეში უდგენ პეპესოველები (პოლონეთის სოციალისტები). ისინი აბეზღებდენ მათ პოლიციაში, თავის რაზმებით თავს ესხმოდენ. გარდა ამისა, პეპესოველები საზიზღარ აგიტაციას ეწეოდენ კომუნისტების გასაშავებლად ამომრჩეველთა მასის თვალში. მათი პლაკატები დამშვენებული იყო ასეთი წარწერებით კომუნისტების შესახებ: „მოსკოვის ჯაშუშები", „საბჭოთა ფულით მოსყიდულნი" და სხვ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ეს ვაჟბატონები აშკარა ანტისემიტურ კამპანიას ეწეოდენ: „ვისაც სურს ვარშავას შერჩეს წმინდა პოლონური ხასიათი, მან ხმა პეპესოველებს უნდა მისცეს"-ო. ეს იყო მეშჩანურ მასის ებრაელების წინააღმდეგ ამხედრების ცდა.

მიუხედავად ყველაფერ ამისა, არჩევნების შედეგებმა ყოველგვარი მოლოდინს გადააჭარბა. მემარცხენე ბლოკმა (კომუნისტების სიამ) მიიღო 67 ათასამდე ხმა, ე. ი. წინანდელთან შედარებით სამჯერ გაადიდა თავის ხმების რაოდენობა. პეპესოველებმა დაჰკარგეს 11.000 ხმა, ნაციონალ-დემოკრატებმა—50.000. კომუნისტებს, არჩევნებისშედეგების მიხედვით, ბურჟუაზიულ ბლოკის შემდეგ მეორე ადგილი უნდა დაეკავებია ვარშავის საბჭოში. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მათი ხმები გააუქმეს.

ამნაირად, კომუნისტებს ბრწყინვალე გამარჯვება ერგოთ, თუმცა ისინი აუტანელ საარჩევნო პირობებში იყვენ ჩაყენებულნი. პილსუდსკის ფაშისტურმა რეაქციამ ვერ შესძლო კომუნისტურ პარტიის და მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის გატეხა. ამ გამარჯვებას ჩვენი მომძე პარტია უეჭველად გამოიყენებს რევოლიუციონურ მასების შემდგომი დარაზმვისათვის.

⁂

პოლონეთის მშრომელ მასაში იზრდება რევოლიუციონური განწყობილება, რასაც კვებავს, პირველ ყოვლისა, ამ ქვეყნის ეკონომიური კრიზისი და მუშათა კლასის გაღატაკება. ცნობილმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა, კრაკოველმა პროფ. კრიჟანოვსკიმ, ამას წინედ გამოუშვა წიგნი სათაურით: „პოლონეთის პაუპერიზაცია" მდიდარი მასალებით, რომლებიც ნათლად ამტკიცებენ, რომ პოლონეთის მეურნეობა სულ უფრო მიექანება ქვესკნელისაკენ. თვით ი. დაშინსკი, პოლონეთის სოციალისტური პარტიის ლიდერი, თავის უკანასკნელ ბროშიურაში სასოწარკვეთილებას გამოსთქვამს პილსუდსკის რეჟიმის შედეგებით, რაც, სხვათა შორის, ქვეყნის ეკონომიურ ნგრევაში გამოიხატებაო.

ერთ-ერთი მთავარი გზა, რომელიც შეანელებს პოლონეთში მძვინვარე ეკონომიურ კრიზისს,—ესაა საბჭოთა კავშირთან სამეურნეო დაახლოვება. ამიტომ, არაფერი არ არის პოლონეთში ისე არაპოპულიარული, როგორც მტრული პოლიტიკა თავის დიდ მეზობლის მიმართ აღმოსავლეთში. პოლონეთის მუშათა კლასი მოწადინებულია საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენას და ის ყოველნაირად ებრძვის პილსუდსკის ყოველგვარ ავანტიურას ამ მიმართულებით. გარდა ამისა, მეტად დიდია ეროვნულ უმცირესობათა უკმაყოფილება პილსუდსკის პოლიტიკით, რომლის ერთ მთავარ მომენტთაგანს ამ ეროვნებათა ჩაგვრა შეადგენს.

ასეთ პირობებში, როცა პილსუდსკის შიგნით ზურგი ძალზე აქვს შერყეული, საეჭვოა მან გაბედოს რამე ავანტიურის დაწყება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ პოლონეთის საქმიანი წრეები მოითხოვენ ჩვენთან აღებ-გაცემობის განვითარებას. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისი ცდილობს პოლონეთის ჩაბმას ანტისაბჭოთა ბლოკში. კერძოდ აღსანიშნავია, რომ ჩემბერლენი მეცადინეობს პოლონეთ-ლიტვის შეთანხმებაზე. საყურადღებოა ამას წინედ გამოქვეყნებული ცნობა, რომ ე. წ. ელჩთა კონფერენცია მოითხოვს ლიტვისაგან ვილნოს დაბრუნებას პოლონეთისათვის და რომ ახლო მომავალში შესდგება ამ ორი ქვეყნის კონფერენციაო. ამ ნაბიჯის მიზანი აშკარაა: ინგლისს სწადია ლიტვის ხარჯზე პოლონეთის დაკმაყოფილება, რომ ამ გზით შესაძლებელი გახდეს პოლონეთის მხრით გერმანიისათვის დათმობების გატარება ტერიტორიის საკითხში. გერმანიის საშიშროებისაგან უზრუნველყოფილი პოლონეთი ინგლისს ესაჭიროება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსაყენებლად.

მაგრამ ასეთი ცდა ბევრჯერ ყოფილა და სულ მუდამ დამარცხებულა. ლიტვა გადაჭრით ეწინააღმდეგება ვილნოს დაბრუნებას პოლონეთისათვის. პოლონეთს თავის მხრივ გაგონებაც არ სურს თავის საზღვრებში გერმანიის სასარგებლოდ ცვლილებების შეტანაზე. არ არის საფუძველი იმისათვის, რომ დღესაც ჩემბერლენის ეს ცდა გამარჯვებით დასრულდეს.

⁂

როგორც ვიცით, ინგლისის დიპლომატია სხვაგანაც შინჯავს ნიადაგს ანტისაბჭოთა მთლიანი ფრონტის შესაქმნელად. მაგ., მას ჯერაც არ აუღია ხელი გერმანიის გადაბირებაზე. მაგრამ უშედეგოდ. „ფოსიშე ცეიტუნგ"-ი წერდა ამ დღეებში, რომ ლონდონის დიპლომატიურ წრეებში გავრცელებული განსაცვიფრებელი ხმები, თითქო გერმანია არა უგვიანეს ნახევარ წლისა შესწყვეტს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას,— „ან სულელური ჭორია, ან თავხედური წამოროშვა"-ო, და შემდეგ დასძენს: „გერმანია არ მიიღებს მონაწილეობას ევროპიულ ქაოსის არც მომზადებასა და არც გაძლიერებაში"-ო. გერმანია სასიცოცხლოდ დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების შენარჩუნებით, როგორც ეკონომიური, ისე საგარეო პოლიტიკის მოსაზრებებით. და ის ჩემბერლენს არ გაჰყვება.

ინგლისის მთავრობა განსაკუთრებით საფრანგეთს „ეარშიყება" ამ ბოლო დროს და ცდილობს მის ჩაბმას ანტისაბჭოთა ბლოკში. მაგრამ როგორც ბრიან-ჩემბერლენის შეხვედრა, ისე საფრანგეთის პრესის უკანასკნელი განცხადებები მოწმობენ. საფრანგეთის მთავრობა ჩემბერლენის გეგმების წინააღმდეგია და რომ ის ინარჩუნებს თავის დამოუკიდებელ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ, რომელთან ურთიერთობაში არ არის მოსალოდნელი რამე ცვლილება წინ გაუარესების მიმართულებით. ეს გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში საფრანგეთ-ინგლისის ინტერესთა გადაულახავ წინააღმდეგობას.

თვით ფაშისტური იტალიაც, რომელიც ინგლისის ერთგული მოკავშირეა, თავდაჭერილობას იჩენს: საქმე ის არის, რომ იტალია დაინტერესებულია ჩვენთან ეკონომიურ ურთიერთობის გაფართოვებით. გარდა ამისა, მასში ეჭვებს იწვევს ინგლისის საფრანგეთთან დაახლოვების ცდა, რომელიც მხოლოდ იტალიის ხარჯზე შეიძლება გატარდეს.

ჩემბერლენის ყველა ეს ცდა შეურიგებელ ძალების შერიგებისა გვიჩვენებს ინგლისის საერთაშორისო მდგომარეობის მერყეობას, იმას, რომ ის ჩიხში მოექცეულია, რომლიდან ამაოდ ლამობს თავის დაძვრენას. ყოველ შემთხვევაში, ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის განხორციელება მეტად ძნელი საქმე ხდება.

⁂

ხსენებულ წინააღმდეგობებმა მკაფიოდ იჩინეს თავი ჟენევის ეკონომიურ კონფერენციაზეც. ეს კონფერენცია განვლილ კვირაში დაიხურა, დაიხურა ისე, რომ გარდა ცალიერი ლაყბობისა, არაფერი გაუკეთებია. ჯერ კიდევ კონფერენციის გახსნამდე მის მომწვევ სახელმწიფოთა მთავრობებმა მას თითქმის ყოველგვარი ღირებულება დაუკარგეს განცხადებით, რომ ეს კონფერენცია მხოლოდ კერძო, არაოფიციალური თათბირია და მისი გადაწყვეტილებები არავისათვის არ იქნება სავალდებულო. ამაში მოსჩანდა კაპიტალისტურ ქვეყნების შეუთანხმებლობა.

მაგრამ ჩვენი თვალსაზრისით კონფერენციას მაინც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა. პირველ ყოვლისა, ეს მდგომარეობს იმაში, რომ ერთხელ კიდევ თვალსაჩინო გახდა თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში მსოფლიოს ეკონომიურ გაჯანსაღების და სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი სამეურნეო თანამშრომლობის ცოტად თუ ბევრად მიღწევის შესაძლებლობა. ეს ხელს შეუწყობს რეფორმისტების მიერ მშრომელ მასებში გავრცელებულ ილიუზიებს ამ შესაძლებლობის შესახებ.

კონფერენციის მეორე, უფრო საგულისხმო მნიშვნელობა ისაა, რომ საბჭოთა კავშირს საშუალება მიეცა სოციალისტურ სისტემის მიღწევების საქვეყნოდ გამოაშკარავებისა და იმ გზების დასახვისათვის, რომლებიც მსოფლიოს გამოიყვანენ კაპიტალიზმით შექმნილ კრიზისისაგან.

საბჭოთა დელეგაციის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ეკონომიური კონფერენცია იძულებული იქნა ეცნო ორი ეკონომიური სისტემის თანაარსებობა და მათი თანამშრომლობის საჭიროება. [illegible] კაპიტალისტური წყობილების მხრით ქედის მოდრეკაა სოციალისტურ სისტემის წინაშე. პრაქტიკულად აქედან ერთგვარი ნიადაგი შეიქმნა საქმიან კაპიტალისტურ წრეებთან ჩვენი დაახლოვებისათვის. ამის ნიშნები უკვე ეკონომიურ კონფერენციაზეც თვალსაჩინო შეიქნა.

ზ. კ—ლი.

სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-6 ყრილობა

მერვე სხდომა*)

პროფმუშაობის მორიგი ამოცანები კულტ. დარგში

(ამხ. ჭელიძის მოხსენება)

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ჭელიძის მოხსენება კულტმუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფკავშირების კულტურულ მუშაობას უკანასკნელ ხანებში დიდი მიღწევები აქვს. მაგრამ მიუხედავად ამისა, არის ნაკლიც, რომლის გამოსწორებას ყურადღება უნდა მიექცეს. ამ მხრივ ყრილობამ უნდა შეიმუშავოს საჭირო ღონისძიებები.

მუშა-მოსამსახურეების კულტურული მოთხოვნილებები უკანასკნელ წლებში იზრდება. ამიტომ საჭიროა გამონახული იქნეს მუშაობის ისეთი ფორმები, რომ შესაძლებელი იქნეს გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ჩვენ მუშაობას კულტურულ დარგში ფართო ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ჩვენს მუშაობაში იყო შემთხვევები, როდესაც რიცხვს უფრო მისდევდით და ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით მუშაობის ხარისხს. ეხლა ეს ნაკლი უკვე გამოსწორებული უნდა იქნეს. ამჟამად ჩვენ მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, რიცხვს მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც მას თან ხლდევს კარგი ღირსების მუშაობა.

რას უნდა დავეყრდნოთ ჩვენ კულტურულ მუშაობაში ადგილებზე? უპირველეს ყოვლისა ადგილობრივ კულტურულ ძალებს. ჩვენ მუშაობაში ადგილებზე ჩაბმული უნდა იქნენ მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, მიწის მზომელები და საერთოდ ყველა კულტურული ძალები. ამასთანავე საჭიროა ფიზკულტურელთა ძალების ჩაბმა ამ მუშაობაში.

ჩვენ მუშაობას აქამდე მეტად აფერხებდა თანხების ნაკლებობა და სათანადო შენობების უქონლობა. საჭიროა რომ სამშენებლო გეგმებში გათვალისწინებულ იქნეს პროფკავშირებისათვის მოედნების მიცემა სტადიონების მოსაწყობად, მიწის ნაკვეთების მიცემა შენობების ასაგებად და სხვ. ადგილობრივ აღმასკომებმა უნდა გამონახონ თანხები, რომ მონაწილეობა მიიღონ კულტურულ დაწესებულებების შენობების მშენებლობაში.

ჩვენს მუშაობაში აღსანიშნავია ერთი გარემოება. კომუნალური მეურნეობის განყოფილებები დიდ თანხებს ახდევინებენ პროფკავშირებს შენობების დაქირავებაში და საერთოთ კომუნალური სამსახურის გაწევაში. ეს არანორმალური მდგომარეობაა. თითქმის არავითარი განსხვავება არ არსებობს პროფკავშირებისათვის კერძო მოვაჭრეებთან შედარებით. ამ მხრივ გადადგმული უნდა იქნას საჭირო ნაბიჯები.

კულტურულ მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს რადიოს. ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს რადიო-გადაცემის შინაარსს, რისთვისაც უნდა დაინიშნოს სპეციალური დღეები და საათები რადიო-გადაცემისათვის პროფესიონალურ საკითხებზე. გაუმჯობესებულ უნდა იქნეს რადიო-ლექციებისა და მოხსენებების ღირსება და საერთო გადაცემათა სამხატვრო ნაწილი. ამასთან ერთად პროფკავშირებმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ რადიო-წრეების დაარსებას კლუბებსა და წითელ კუთხეებში და პოპულარული რადიო-ლიტერატურის გავრცელებას.

ამჟამად მუშათა კლუბების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს საკლუბო-სამხატვრო მუშაობის ღირსების გაუმჯობესება, რასაც გვიკარნახებს მასების კულტურული საჭიროება-მოთხოვნილებათა შეუჩერებელი ზრდა. ამ ამოცანის განსახორციელებლად საჭიროა სამხატვრო წრეების მუშაობაში შემოღებულ იქნეს მტკიცე გეგმები და მათ მუშაობას მიეცეს პროგრამული ხასიათი.

ამავე დროს სამხატვრო წრეების მუშაობაში სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს იმ ხიმაზინჯეს, რომელიც გამოიხატება წრეების წევრთა მიერ გასამრჯელოს მოთხოვნაში გამოსვლებისათვის.

პროფკავშირებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ პროფესიონალ მსახიობთა კოლექტივების სხვადასხვა გამოსვლებისა და დადგმების იდეოლოგიურ მხარეს. პროფესიონალ მსახიობთა დადგმებზე სისტემატიური თვალყურის სადევნებლად ყველა საკავშირთაშორისო ორგანოებთან უნდა დაარსდეს სამხატვრო კომისიები. ამ კომისიების ნებართვის გარეშე დაშვებული არ უნდა იქნეს არც ერთი გამოსვლა.

კულტურული მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლად საჭიროა თანხების გაძლიერება და ზედმეტი ხარჯების შემცირება. ამ მიზნით აუცილებელია მტკიცე სახარჯთაღრიცხვო და საკვარტალო სისტემაზე გადასვლა და ხარჯთაღრიცხვების შესრულების საკვარტალო და ნახევარწლიანი შემოწმება პროფორგანოების მიერ.

მაქსიმალურად შემცირებული უნდა იქნეს ხარჯები კულტ - დაწესებულებათა პერსონალის შესანახავად და უნდა გატარდეს მკაცრი მომჭირნეობა კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში. ამ მიმართულებით საჭიროა სარევიზიო კომისიების მუშაობის გაჯანსაღება და გაძლიერება.

სატარიფო-საეკონომიო მუშაობის მორიგი ამოცანები

(ამხ. მარიამიძის მოხსენება)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარებასა და ზრდასთან ერთად პარალელურად იზრდებოდა შრომის ხელფასი და უმჯობესდებოდა მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა. ამ მხრივ უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩვენს მუშაობას ახასიათებს მნიშვნელოვანი მიღწევები. გაიზარდა შრომის ხელფასი, კერძოდ კი ჩამორჩენილი ჯგუფების და კატეგორიების ხელფასი.

შრომის ხელფასის ზრდასთან ერთად წარმოების თითქმის ყველა დარგში ჩვენ გვაქვს შრომის ნაყოფიერების პროპორციული ზრდა, რაც არა თუ არ ჩამორჩება შრომის ხელფასის ზრდას, არამედ ზოგიერთ წარმოებაში კიდევაც უსწრებს მას.

პროფკავშირებმა ისევე, როგორც წინედ, შრომის ხელფასის ზრდა უნდა დაუკავშირონ სახალხო მეურნეობის ზრდის განვითარებას. შრომის ხელფასის ზრდა უმთავრესად უნდა მიმდინარეობდეს მისი რეალური მნიშვნელობის ზრდის და ფართო სამომხმარებლო საგნებზე ფასების დაკლების გზით.

ხელფასის მხრივ ჩამორჩენილ მუშათა ჯგუფების და კატეგორიების წინ წაწევის შესახებ ჩატარებულმა უკანასკნელმა კამპანიამ დადებითი შედეგები მოგვცა, თუმცა კიდევ არიან მშრომელთა ისეთი ჯგუფები, რომელთა ხელფასი ჩამორჩენილია. ამიტომ საჭიროა, რათა მომავალში გატარდეს ხელფასის წინ წაწევის პოლიტიკა იმ დაწესებულებებში, სადაც სხვა დასხვა ჯგუფებს შორის არა ნორმალური განსხვავებაა ხელფასში.

შრომის ხელფასის ზრდის დარგში უპირველესად ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების ძირითად დარგების მუშებს და ისეთ წარმოებებს, რომლებშიაც შრომის ხელფასი სხვა წარმოებებთან შედარებით ჩამორჩენილია.

ვინაიდან განათლების და საექიმო-სასანიტარო მუშაკთა, დაბალ საბჭოთა ორგანოების მოსამსახურეთა და აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ზოგიერთ ჯგუფების ხელფასი, მიუხედავად უკანასკნელად გატარებულ მომატებისა, კიდევ ჩამორჩენილია, აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ამ ჯგუფების ხელფასის მომატების მიზნით სათანადო ღონისძიებათა მიღება.

სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ მოსამსახურეთა ხელფასის მოსაწესრიგებლად საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მტკიცე ჯამაგირებზე გადასვლა, ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების გზით. ამიტომ, საჭიროა ამ სისტემის გავრცელება, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ მოსამსახურეებისათვის.

კავშირების ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკაში საკმაო მიღწევებია. ხელშეკრულებათა პროექტების განხილვისა და დამუშავებაში ჩაბმულია მუშათა ფართო მასები.

ხელშეკრულებო მუშაობის მეთოდების გაუმჯობესებასთან ერთად, შემჩნეულია სამეურნეო ორგანოებთან მოლაპარაკების გაჭიანურება მრავალ რიცხოვან კონფლიქტების გამო. ასეთი მდგომარეობა არანორმალურია. ამიტომ საჭიროა მიღებული იქნეს ზომები ხელშეკრულებათა დადების დასაჩქარებლად და ჩამოსაყალიბებლად. კავშირებმა წესად უნდა შემოიღონ შემდეგი: დაიწყონ მოლაპარაკება იმ დროს, რომ ძველი ხელშეკრულების გათავებას ახალი შევიდეს ძალაში. კოლექტიური ხელშეკრულება დადებულ უნდა იქნეს ერთი წლის ვადით. იმ ანგარიშით, რომ ხელშეკრულების დასრულება საკალენდარო წლის ბოლოს შეუფარდდეს.

ხელოსნებთან მომუშავე შეგირდებისა და შინა-მოსამსახურეებთათვის შრომის ხელშეკრულების დადების დროს ხშირია შემთხვევა, როცა კავშირი აიძულებს დამქირავებელს სხვა დასხვა მოთხოვნილებათა მიღებას და არ უწევს სათანადო ანგარიშს მის მატერიალურ მდგომარეობას. კავშირებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ამ კატეგორიების განსაკუთრებულ შრომის პირობებს და სიფრთხილით მოეპყრონ მათი შრომის მოწყობის საკითხებს.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ კავშირები უნდა სცდილობდნენ საკონცესიო წარმოებაში ჩაბმულ მუშების შრომის პირობების თანდათანობით გაუმჯობესებას. კერძოდ, ასეთ წარმოებებში ხელფასის მომატება უნდა ხდებოდეს არა უგვიანეს იმ დროის განმავლობისა, როგორც ეს მომატება ხდება სახელმწიფო დაწესებულება-წარმოებებში. აგრეთვე მომატების რაოდენობა არ უნდა იყოს უფრო მცირე, ვიდრე სათანადო სახელმწიფო წარმოების დარგში.

შემდეგ, მომხსენებელი შეეხო კავშირების საეკონომიო მუშაობას, საწარმოო და ეკონომიურ თათბირებს, საკონფლიქტო მუშაობას და დასასრულ შეჩერდა უმუშევრობაზე.

გასული წლის განმავლობაში ისე, როგორც წინა წლებში, მუშა-ხელის ზრდასთან ერთად იზრდებოდა უმუშევრობაც.

ახალ წარმოებათა აშენება და არსებულთა განვითარება, რასაც ამჟამად აქვს ადგილი საქართველოში, იძლევა უმუშევართა რიცხვის შემცირების შესაძლებლობას. მაგრამ ვინაიდან უმუშევართა უმრავლესობას წარმოადგენენ არა კვალიფიციურ შრომის პირნი, კავშირებმა უახლოვეს მიზნად უნდა დაისახონ სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად უმუშევართა სათანადო რიცხვის მომზადება და ამგვარად მათი შრომის გამოყენება.

უმუშევრობასთან საბრძოლველად საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების გამომუშავება. აუცილებელია დაქირავების დროს უპირატესობა მიეცეს კავშირის წევრებს და სასტიკი ბრძოლა იქნეს წარმოებული ზედმეტი მუშაობის წინააღმდეგ.

უნდა გაძლიერდეს აგრეთვე საზოგადოებრივი სამუშაოების და შრომის კოლექტივების მოწყობა უმუშევართათვის.

დასასრულ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უმუშევრობას ახალგაზრდათა შორის.

უკანასკნელი სხდომა

გუშინ დილით ყრილობის სხდომა არ შემდგარა. მუშაობდენ სექციები. საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა და მიიღო რეზოლიუციები ყველა მოხსენებების გამო, რის შემდეგაც მოსმენილ იქნა ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება სამანდატო კომისიის მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 845 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 175 სათათბირო ხმით.

სამანდატო კომისიის მოხსენებით ამოიწურა ყრილობის დღის წესრიგი. დახურვის წინ ყრილობას სიტყვით მიმართა ამხ. გ. ჟურულაშვილმა.

ამხ. გ. ჟურულაშვილის სიტყვა

— ამხანაგებო, ყრილობის დღის წესრიგი ამოწურულია. ჩვენი მუშაობის დღის წესრიგში იდგა მეტად საჭირბოროტო საკითხები. თითქმის ექვსი დღე ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხების გადასაწყვეტად. ყრილობაზე გაცხოველებული მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა იყო იმის შესახებ, თუ როგორ მივუდგეთ ამ საკითხების გადაჭრას მუშათა კლასის სასარგებლოდ.

ჩვენ მიერ მიღებულ დადგენილებებს უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოს პროფმოძრაობის განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის. ჩვენი მუშაობა მთელი კვირის განმავლობაში მომასწავებელია იმის, რომ პროფკავშირების მუშაობა კიდევ უფრო გაიზრდება და გაცხოველდება მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

ეხლა თვითეული ჩვენგანის მოვალეობაა მივიღოთ ყოველგვარი ზომები და არ დავიშუროთ ძალღონე, რომ ცხოვრებაში გავატაროთ ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებები.

ამ დადგენილებების განხორციელება უფრო წინ წასწევს საქართველოს მუშათა კლასს, რომელიც ჩაბმულია სოციალისტურ აღმშენებლობაში, რომელიც აშენებს ახალ ცხოვრებას და თვითონვე სჭედს თავის ბედს. მომავალი ჩვენი მუშაობა მიმართული უნდა იქნეს სწორედ ყრილობის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენს მომავალ მუშაობას!

გაუმარჯოს საქართველოს მუშათა კლასს! (ტაში).

არჩევნები

დასასრულ, ყრილობამ აირჩია ახალი პროფსაბჭოს პლენუმი, სარევიზიო კომისია, სოც. დაზღვევის რესპუბლიკანურ კომიტეტის შემადგენლობა და ამ კომიტეტის სარევიზიო კომისია.

პროფსაბჭოს პლენუმის წევრები.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის წევრებად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

გ. ჟურულაშვილი, ფანცხავა, ჭელიძე, თოდრია, იაკუბოვი ქიქინაძე, ავაქოვი, ჩხეიძე, მდივანი, მორჩილაძე, ხომასურიძე, მარკმანი, გოდაბრელიძე, მხითაროვი, ელბაქიანი, გოგინაშვილი, ხუტულაშვილი ჯავაირა, ხვედელიძე, ფურცელაძე, გაფრინდაშვილი, არაქელოვი, მაჩაიძე, გოზალოვი, ანტროპოვი, მენაბდიშვილი, დემეტრაშვილი, სალდაძე, ბოლქვაძე, ჯიჯაძე, აბდულაძე, ტერ-სტეპანოვი, ალლაძე, შიშინაშვილი, ბოკუსაძე, მიქაძე, გეგენავა, პოლოსოვი, ჭეიშვილი, პროფ. ახვლედიანი, ავეტისოვი, გურული, გუსეინ-ზადე, ჩიხლაძე, კაჯარაშვილი, თოხაძე, არჩვაძე, მატინიანი, ანთიძე, სტეფანოვი, ჩიხლაძე, ნიკიტინი, გრიქუროვი, არეშიძე, ფირალიშვილი, კომახიძე, ჯაფარიძე, მარიამიძე, თავდგირიძე, გიორგობიანი, ბულგაკოვი, ქუონია, ათოევი, ღლონტი, თურქია, ზუაძე, აბულაძე, კაკნაძე, კუნქულია, ენუქიძე, ტურაბოვი, სულავა, ბეჟანოვი, ზაკოვოლდინი, ჭელიძე, ყიფიანი, ამაშუყელი, გვარამაძე, გოგობერიძე, ვაჭარაძე, ჩაჩუა, კოკოსაძე, კალაძე, ქლენტი, თავართქილაძე, ლაბაძე, სუკოიანი, ბიგვავა, ჭოლოკუა, პისკუნოვი, ვარნაზოვი, ჩარკაზია, ცხომარია, გოგორიშვილი, კაკაბაძე, ზენდუქიძე, შოვლოხოვი, ხაჩიძე, სოფიანიდი, ნადირაძე, დორბინდოტოვი, საბაძე, ხარაბაძე, ბრელიძე, წითელაძე, დარჩია, ცირეკიძე, ოჩიგავა, ნონიკაშვილი, ნესტოროვი, გრიგორიანი, მაკარევიჩი, ვაშაძე და ნარჩემაშვილი.

კ ა ნ დ ი დ ა ტ ე ბ ი:

მელიქოვი, კაკაბაძე, მაჭარაშვილი, ჩარკვიანი, ბოჭორიშვილი, ბაირამოვი, იოსელიანი, ჯავახიშვილი, შესტოვი, პატარიძე, ცხოვრებაშვილი, მამულოვი, დოლიძე, სტეფანოვი, გეგეშიძე, ტაბიძე, ამიროვი, უნიკოვი, ლაშქარაშვილი, ახობაძე, ნოზაძე, ბეჟანიშვილი, ფრუიძე, აზნიანიძე, სვანიძე, მოჩაროვი და ბარნაბიშვილი.

სარევიზიო კომისია:

ორჯონიკიძე, ფანცულაია, პრეობრაჟენსკი, აკოფოვი და მიკირტუმოვი.

კ ა ნ დ ი დ ა ტ ე ბ ი:

დონგუზაშვილი და ქაჯაია.

სოცდაზღვევის რესპუბლიკანური კომიტეტი:

მორჩილაძე, ჭელიძე, თუშიშვილი, სიტნიკოვი, მაშკევიჩი, გოცირიძე, ცომაია, ელბაქიანი, არეშიძე, მხარეულაშვილი, ჩერქეზიშვილი, ნარჩემაშვილი, ლაშქარაშვილი, დევდარიანი, ოგანოვი, ხელაია, ავანოვი, ბაირამოვი, ორმოცაძე, ოგანეზოვი, ხვედელიძე, ფირალოვი, ნალბანდოვი, ბენია, ცხოიძე, აბულაძე, ლეჟავა, გაუტაშვილი, ციციშვილი, ჯაში და ხუტულაშვილი ჯავაირა.

კ ა ნ დ ი დ ა ტ ე ბ ი:

გორგიაშვილი, ხოშტარია, ჯიჯაძე, ტომარაძე, დვარიანოვა, თალაკვაძე და დოდაშვილი.

სარევიზიო კომისია:

ათოევი, ბაიანდუროვი, გოლდმანი, ფერიაშვილი და შვარცმანი.

კ ა ნ დ ი დ ა ტ ე ბ ი:

ხახაშვილი, ცურინოვი და ობრაზცოვი.

არჩევნების შემდეგ ყრილობა დაიხურა.

პროფსაბჭოს პლენუმის პირველი სხდომა

გუშინ საღამოსვე შესდგა ახლად არჩეულ პროფსაბჭოს პლენუმის პირველი სხდომა, რომელზედაც არჩეულ იქნა პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმი:

პრეზიდიუმის წევრებათ არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

გ. ჟურულაშვილი, მაჩაიძე, ფანცხავა, ჭელიძე, ფირალოვი, ხვედელიძე, მარიამიძე, ათოევი, ავეტისოვი, ალლაძე, ნიკიტინი, სულავა, ელბაქიანი, თოდრია, მიქაძე, ხუტულაშვილი ჯავაირა, გვარამაძე, ხომასურიძე, მორჩილაძე, ანთიძე და ხარაბაძე.

კ ა ნ დ ი დ ა ტ ე ბ ი:

ჯიჯაძე, ჯაფარიძე, გოზალოვი, ჩალხაძე და გრიქუროვი.

პლენუმმა საქართველოს შრომის სახალხო კომისრად დაამტკიცა ამხ. სილ. თოდრია.

შრომის კომისარის მოადგილეთ პლენუმმა წამოაყენა ამხ. ი. ჭელიძე.

ამასთანავე პლენუმმა დაადგინა პლენუმის სესიები მოწვეული იქნეს სამ თვეში ერთხელ.

პრეზიდიუმის პირველი სხდომა

პლენუმის სხდომის შემდეგ შესდგა პროფსაბჭოს ახალი პრეზიდიუმის პირველი სხდომა, რომელზედაც პროფსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. გ. ჟურულაშვილი, პროფსაბჭოს მდივნად—ამხ. ბ. მაჩაიძე.

მუშაობა პრეზიდიუმის წევრებს შორის განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: საორგანიზაციო განყოფილების გამგეთ არჩეულია ამხ. ფანცხავა; სატარიფო-საეკონომიო განყოფილების გამგეთ—ამხ. ხვედელიძე და კულტურულ განყოფილების გამგეთ—ამხ. ფირალიშვილი.

---

*) ამხ. ი. ჭელიძის და მარიამიძის მოხსენებები ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოთავსდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში.

პარტიული ცხოვრება

საყურადღებო მაგალითი

საქ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ ამას წინად გაარჩია ამხ. კონსტანტინე ცინცაძის საქმე.

ეს საქმე აღსანიშნავია, რადგან იძლევა პროვინციაში მომუშავე ზოგიერთი ადმინისტრატორების შეგნებული თუ შეუგნებელი თავგასულობის და თავისი მდგომარეობით სარგებლობის ნათელ ნიმუშს.

ლანჩხუთის თემის (ოზურგეთის მაზრა) აღმასკომის თავმჯდომარემ (ამ თანამდებობაზე ის დღეს აღარ არის) კ. ცინცაძემ დაიწყო ყოყოჩობა და „მაგრათ“ სიარული.

განსაზღვრული უფლებებით აღჭურვილი (ასე ჰქონდა მას თავისი თავი წარმოდგენილი) პროვინციელი ადმინისტრატორი ერთი კალმის მოსმით აუქმებს სასამართლოს დადგენილებას ებრალიძე-იმნაიშვილის სადავო მიწის შესახებ და სცვლის მას თავისი შეხედულების თანახმად. უმართებულოთ ტუქსავს, უყვირის, ემუქრება და აპატიმრებს მილიციონერებს. პარტიის წევრებს ზოგს მაღლიდან დაყურებს, ზოგს „მოწყალების თვალით“ უცქერის, როგორც „დიდი კაცი“, ზოგს აბუჩად იგდებს და სხვ. ამას გარდა აღმოჩნდა, რომ მან საკუთარი აგურის სახლიც აიშენა.

რა თქმა უნდა, პარტია თავის წევრს სოფლად არ უკრძალავს, რომ მას ჰქონდეს საკუთარი საცხოვრებელი ბინა და, თუ არა აქვს, აიშენოს, ან ძველი თუ თავზე ენგრევა და სრულიად გამოუსადეგარია, შეაკეთოს, ერთი სიტყვით არ უკრძალავს იქონიოს ასეთი ბინა თავისი ოჯახისათვის და არა საექსპლოატაციო მიზნით, (გაქირავება, იჯარით გაცემა და სხვ.). მაგრამ სოფლის კომუნისტმა აქაც უნდა დაიცვას ზომიერება, არ უნდა გადააჭარბოს და არ მისცეს ქონებას ფუფუნების ხასიათი, ვინაიდან ეს დასცემს მის ავტორიტეტს ადგილობრივ მცხოვრებლებში, მით უმეტეს, თუ ის თანამდებობის პირია. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ამხ. კ. ცინცაძემ სწორედ მაშინ გადაწყვიტა ახალი საცხოვრებელი ბინის აგება, როცა იგი თემის აღმასკომის თავმჯდომარედ იქნა არჩეული. გადაჭარბებული წარმოდგენა შთაინერგა თავის თავზე. უკვე დამტკიცებულია, რომ აქ მან პირდაპირ გამოიყენა თავისი მდგომარეობა: პირადი თხოვნითა და შუამდგომლობით იგი ახერხებს სრულიად უსასყიდლოდ სახლის ასაშენებლად ეგრედწოდებულ ყურუ დიდის ტყიდან ხის მასალების მიღებას.

მაგრამ მარტო მასალების უსასყიდლოდ მიღებით არ კმაყოფილდება ის. ტყიდან მასალები მას უსასყიდლოდვე გამოაქვს სახელმწიფო ტრანსპორტით და შემდეგ ისევ უსასყიდლოდ ამზადებს ამ მასალებს აღმასკომის სატყეო სახერხ ქარხანაში, ლანჩხუთში. მაგრამ ამხ. ცინცაძე ხის სახლს აღარ აშენებს, იგი იწყებს აგურის სახლის შენებას, ხის მასალების მხოლოდ ერთ ნაწილს ახმარს მას, დანარჩენს ვალებში აძლევს კოოპერაციას და მით ისტუმრებს იქ თავის დავალიანებას.

ამავე დროს იგი სათანადო ორგანოდან იღებს ნებართვას ავანსის გატანის შესახებ აღმასკომიდან და გააქვს 450 მანეთამდე.

ამხ. ცინცაძე იღებს აგრეთვე სხვა ვალებსაც და ყველა ამასთან ერთად სახლის აშენებაზე უსასყიდლოდ ამუშავებს ზოგიერთ მეზობლებს (ნათესავებს—როგორც მან განაცხადა). ამხ. ცინცაძის ყველა ზემოჩამოთვლილ საქმეებს ბოლოს ყურადღება მიაქცია მაზრის უმაღლესმა ორგანოებმა. ყველა ამას შედეგად მოჰყვა ცინცაძის მოხსნა თანამდებობიდან, პარტიის რიგებიდან დროებით გაძევება საქმის სასამართლოში გარჩევამდე და საქმის გადაცემა პროკურატურაზე.

ვინ არის ამხ. ცინცაძე? ის არის პარტიის ძველი წევრი; უსწავლელი გლეხი, სოფლის მუშა, რევოლიუციონური ბოლშევიკური ოჯახიდან გამოსული. მას არა ერთხელ უგემია ჯერ ნიკოლოზისა და შემდეგ ნ. ჟორდანიას მთავრობის სუსხი, იარაღით ხელში ებრძოდა მათ, იჯდა ციხეებში. 1919 წელში გურიაში ბოლშევიკური გამოსვლების დროს სხვებთან ერთად პირველ რიგში იდგა და ბოლოს მთაში გახიზნულს წყალმა და ღვრემ ნაწილი ცალი მკლავი კინაღამ შეახმა, მაგრამ უკან არ დაუხევია. 1924 წელში, მენშევიკების გამოსვლების დროსაც გააფრთხებული ებრძოდა მოწინააღმდეგეებს. ერთი სიტყვით, მას აქვს კარგი რევოლიუციონური წარსული, შესწევს საკმაო გაბედულობა და სიმტკიცე მოწინააღმდეგებთან ბრძოლის დროს.

მაშ რატომ შეცდა, რატომ გაგულდიდდა ასეთი წარსულის მქონე რევოლიუციონერი? როგორც ზევით ვსთქვი, ცინცაძე უსწავლელი გლეხია, რომელიც სოფელში სცხოვრობს და სოფლის ცხოვრების უარყოფით მხარეებთან არა აქვს გაწყვეტილი კავშირი. მეორე მიზეზი (და მე ვფიქრობ, რომ ეს უმთავრესია) არის ის, რომ ჩვენ დროზე არ მოუწოდებთ წესრიგისაკენ ამხანაგებს, არ ვაძლევთ შენიშვნას, არ ვაფრთხილებთ და თუ ვინმე ამას შეეცდება, ხელად თავს იჩენს „გამოქომაგება“ მეორესაგან, „მხარის დაჭერა“ და სხვ. ეს არის დათვური სამსახური და მას ბოლო უნდა მოეღოს, რომ ვიხსნათ ამხანაგები წაფორხილებისა და ხანდისხან მთლად დაღუპვისაგანაც.

ყველა ამ ჩამოთვლილ დანაშაულებისათვის ამხ. ცინცაძე ღირსი იქნებოდა პარტიიდან გარიცხვისა, მაგრამ (ასე ამბობს საკონტროლო კომისიის ოქმი), მიიღო რა მხედველობაში მისი რევოლიუციონურ წარსული, მის სოციალური მდგომარეობა, სახლის საშენებელი ხე-ტყის მასალების და სესხის სახით ფულის გატანის ნაწილობრივი ნებართვის მიღება, აგრეთვე მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ამხ. ცინცაძე რვა თვის განმავლობაში პარტიის გარეშე იმყოფება. რითაც ის საკმაოდ დაისაჯა, საკონტროლო კომისიამ შესაძლებლად სცნო მისი პარტიაში დატოვება საყვედურის გამოცხადებით და გაფრთხილებით, რომ თუ ამხ. ცინცაძე კიდევ, ამის შემდეგ, შემჩნეული იქნება მსგავსი საქციელისა და მოქმედების ჩადენაში, იგი თვით თავს დააყენებს პარტიის გარეშე. ამასთან საკონტროლო კომისიამ სწორად სცნო და დაადასტურა მისი ყოველგვარი თანამდებობიდან მოხსნა.

ეს საქმე სხვათა შორის ერთ რამეს გვეუბნება. გათამამების უფლება არ უნდა მივსცეთ არც ერთ ამხანაგს ჩვენს რიგებში ვინც და რა თანამდებობაზეც არ უნდა იყოს იგი. წესრიგისაკენ დროზე მოწოდება, დროზე გაფრთხილება და რჩევა-დარიგების მიცემა ააცილებს ცუდ გზას პარტიის წევრებს, რომლებსაც წინააღმდეგობათა სავსე პირობებში უხდებათ ცხოვრება და მუშაობა.

მენშევიკურ პარტიაში აურებელი ვაჭრები და სპეკულიანტები იყვნენ, მაგრამ ლენინის პარტია ამნაირებს არ აჭაჭანებს თავის რიგებში. მენშევიკური პარტიის წევრები ქონებას იძენდენ; ითვისებდნენ, ფლანგავდენ და სახლებსაც იშენებდენ თავისი ბატონობის დროს. იმავე ლანჩხუთში თვითონ მენშევიკების ყოფ. მთავრობის თავმჯდომარე ჟორდანიამ ააგო სახლი, გააშენა ბაღი, სადაც იმუშავა ხალხმა მაშინ, როდესაც ის მთავრობის თავმჯდომარე და „სოციალისტი“ იყო და ფაქტიურად სოფელთანაც ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ ლენინის პარტია არამც თუ მთავრობის თავმჯდომარეს, არამედ უბრალო უსწავლელ გლეხს ამხ. კონსტანტინე ცინცაძეს, რომელსაც კავშირი არ გაუწყვეტია სოფელთან, არ მისცემს ნებას კომუნისტისათვის მიუღებელ პირობებში აიშენოს თავისი საცხოვრებელი ბინაც კი.

კომუნისტური პარტიის წევრობა არის გმირობა და ჩვენ ყველამ ხელი უნდა შეუწყოთ ერთმანეთს, რომ ყველანი ვიყოთ ღირსეული წევრები ლენინის პარტიისა.

ა. დ—ძე.

სტაჟგავლილ კანდიდატების შესახებ

თბილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიკომის პლენუმმა თავისი ყურადღება შეაჩერა ერთ არასასურველ მოვლენაზე, რომელზედაც არა ერთხელ დაწერილა ჩვენს გაზეთებში და რომელიც ხშირად ყოფილა პარტიული თათბირების და კრებების მსჯელობის საგანი. ესაა სტაჟგავლილ კანდიდატების სიმრავლე პარტუჯრედებში, რაიც მნიშვნელოვნათ აფერხებს პარტიის ნორმალური ზრდის საქმეს და ორგანიზაციულ მუშაობას.

რას მიეწერება სტაჟგავლილ კანდიდატების სიმრავლე ჩვენს უჯრედებში? პირველყოვლისა ამის მიზეზია რაიონულ და სამაზრო ორგანოების უყურადღებობა პარტიაში გადარიცხვის საკითხისადმი. მიმღებ კომისიების სხდომები სისტემატიურათ თავის დროზე ვერ იმართება, მაღლა მდგომი პარტორგანიზაციები არ ახდენენ იმის შესახებ შემოწმებას, როგორია პარტიის წევრების და კანდიდატების შეფარდება უჯრედებში და აქედან სათანადო პრაქტიკულ დასკვნებს არ აკეთებენ. გარდა ამისა ძალიან ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა კანდიდატი დამტკიცებულია პარტიის წევრათ, მაგრამ პარტბილეთის გამოწერას თვეები და ზოგჯერ წლებიც კი უნდება.

არანაკლები წვლილი უდევს კანდიდატთა „გადაბერებაში“ თვით ქვედა საფეხურის ორგანიზაციებს—პარტუჯრედებს. მათ მუშაობაში ძნელი გასარჩევია კანდიდატი პარტიის წევრისაგან. ბიურო იმავე უფლებებს ანიჭებს კანდიდატს, რასაც პარტიის წევრს. ამიტომ კანდიდატები მაინცა და მაინც თავს არ იტკივებენ პარტიაში გადარიცხვაზე ზრუნვით. ის თავს სრულუფლებიან წევრათ გრძნობს და მდგომარეობაც ისეთია უჯრედში, რომ ამ სულისკვეთებას პრაქტიკული გამართლება ეძლევა.

ამრიგად, რომ ჩვენ ბოლო მოვუღოთ სტაჟგავლილ კანდიდატების სიმრავლეს, საჭიროა ზემდგომ პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ღონისძიებები მიიღონ, რათა პარტიაში მიღების საქმეები არ ჭიანურდებოდეს დაუსრულებლივ. ამავე დროს უჯრედებმა სასტიკათ უნდა დაიცვან პარტიული წესდება, საჭიროა მათ შექმნან არა მარტო ფორმალური, არამედ პრაქტიკული განსხვავება პარტიის წევრთა და კანდიდატებს შორის და ამით ეს უკანასკნელნი დააინტერესონ მათი პარტიაში გადარიცხვის დაჩქარებით.

რ. ბ—ი.

საბჭ. ყრილობების დადგენილებათა დამუშავება

საქართველოს კომპარტიის (ბ) საოლქო და სამაზრო კომიტეტების სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებებს

უჯრედების უახლოეს ღია სხდომებზე დამუშავებულ უნდა იქნას საქართველოს, ამიერ-კავ. ს. ფ. ს. რ. და ს. ს. ს. რ. კავშირის ყრილობების საკითხები.

დამუშავება უნდა გაიყოს ორ პერიოდად:

1) მოხსენება 3 ყრილობის შედეგების შესახებ და

2) რეზოლიუციების დეტალური დამუშავება.

დასამუშავებლად ქალაქში უნდა იქნას აღებული:

1) საერთაშორისო და შინაური საკითხები,

2) სამეურნეო საკითხები.

საერთაშორისო მდგომარეობის განხილვის დროს ამხ. რიკოვის, ორახელაშვილის, ელიავას მოხსენებების მიხედვით, უნდა შეეხონ აგრეთვე ეხლანდელ მომენტს—არკოსზე თავდასხმის, ურთიერთობის შეწყვეტის მუქარის კონსერვატორების მხრივ, მშვიდობიანობის შეურყეველი პოლიტიკას საბჭოთა მთავრობის მხრივ. შინაური მდგომარეობის განხილვის დროს განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას: ეროვნული მშვიდობიანობის განმტკიცებას, საქართველოს, ამ.-კავკასიის ს. ფ. ს. რ. და ს. ს. ს. რ. კავშირის მოსახლე ერების სოლიდარობის და თანამშრომლობის გაძლიერებას, ინტელიგენციის პოზიციას საბჭოთა ხელისუფლებისადმი (ტეხნიკური, მეცნიერული ძალები და მწერლები. იხ. იაშვილის, ნუცუბიძის, კეკელიძის, კლდიაშვილის, შანშიაშვილის და სხ. გამოსვლები საქართველოს და ამიერ-კავკასიის ყრილობებზე) და მენშევიკების მხრივ მზადებას, რომ მუხანათურად მახვილი ჩასცენ ზურგში საქართველოს მუშებსა და გლეხებს იმ შემთხვევაში, თუ მოხდა მდგომარეობის გართულება კაპიტალისტურ მსოფლიოსთან.

სამეურნეო მდგომარეობის განხილვის დროს მოკლედ უნდა იქნას აღნიშნული ჩვენი მიღწევები კოოპერაციის, ვაჭრობის, ბიუჯეტის და კრედიტის, ტრანსპორტის დარგში, სპეციალურად უნდა იქნას განხილული სრ. საკავშირო და საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და პერსპექტივები.

საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის დამუშავება სოფლის უჯრედებისათვის ისევე უნდა მოხდეს, როგორც ქალაქად, სამეურნეო საკითხის განხილვის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო მეურნეობას სრ. საკავშირო და საქართველოს მასშტაბით.

სამეურნეო მდგომარეობის განხილვა უნდა დაუკავშირდეს პარტიის კამპანიას ფასების დაკლებისათვის და გამორკვეულ უნდა იქნეს, თუ რა გაკეთდა კონკრეტულად ამა თუ იმ რაიონში პარტიისა და უმაღლეს საბჭოთა ორგანოების დირექტივების შესრულებისათვის ფასე- [illegible] დარგში. გარდა ამისა, სასოფ- [illegible] მოხსენებისა და [illegible] აკეთებს კონკრეტულად ეს თუ ის უჯრედი და ცალკე კომუნისტები სამეურნეო აღდგენისა და კოოპერაციი კავშირებისათვის, აგრეთვე, სასოფლო დების სასოფლო-სამეურნეო მუშაობის შე ბის განხილვის დროს დასახულ უნდა იქნას კრეტული ღონისძიებანი—როგორც სა დო, ისე მაღლა მდგომ პარტორგანოების (თემკომები, რაიკომები, სამაზრო კომიტე საოლქო კომიტეტები). დამუშავებამ ყრილ დადგენილებებისა სასოფლო მეურნეობის სახებ პარტორგანიზაციის პრაქტიკულ მუშა უნდა მისცეს იმპულსი იმისათვის, რომ გა ერდეს მონაწილეობის მიღება სასოფლო მე ნეობის აღორძინებაში და სასოფლო მეურ ბის საკითხების შესწავლაში.

საანგარიშო მოხსენება ყრილობების შე უნდა გააკეთონ მომზადებულმა ამხანაგ რომელთაც წინასწარ სათანადო ახსნა-გა ტება უნდა ჰქონდეთ მიღებული და იმ ამ გეგმა, რომელნიც გაგზავნილი არიან სა სამაზრო ცენტრებიდან, ხოლო რეზოლიუც დამუშავება შესაძლოა სათანადო რეზოლ ების წაკითხვისა და კომენტარიების გზით.

აუცილებლად უნდა შეგროვდეს მას უჯრედების, ცალკე პარტიულების და კ შირის ეხლანდელი მუშაობის შესახებ ს ლო მეურნეობის აღდგენის დარგში სახითაც ჩამოყალიბდა ეს მასალები ამ საკ უჯრედში განხილვის დროს) და პრაქტ წინადადებების შემდგომი მუშაობის შესახ

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას ა ტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

მ ა ს ა ლ ე ბ ი

სრ. საქართველოს საბჭოთა ყრილობა

„კომუნისტი“: საქართველოს მთავრობის ანგარიში—ამხ. ელიავას მოხსენება (31 მარტი, №71; 1 აპრილი, №72, 2 აპრილი, № 73; 3 აპრილი, № 74) ამხ. ელიავას საბოლოო სიტყვა (1 აპრილი, № 72), ჩვენი მრეწველობის ზრდა და წარმატებანი—ამხ. ავაქოვის მოხსენება (2 აპრილი, № 73).

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობა

„კომუნისტი“: ყრილობის გახსნა. ამხ. ცხაკაიას სიტყვა და ამხ. რუხტაკის მოხსენება (6 აპრილი, № 76); მთავრობის ანგარიში—ამხ. ორახელაშვილის მოხსენება (7 აპრილი, № 77); ამხ. ორახელაშვილის საბოლოო სიტყვა (8 აპრილი, № 78); ამხ. ელიავას მოხსენება (8 აპრილი, № 78); ამხ. ჩხენკელის მოხსენება სასოფლო სამეურნეო კრედიტის შესახებ (9 აპრილი, № 79); ამხ. ჰუსეინოვის მოხსენება ბიუჯეტის შესახებ (9 აპრილი, № 79).

სრ. საკავშირო საბჭოთა ყრილობა

„კომუნისტი“: მთავრობის მოხსენება—ამხ. რიკოვის მოხსენება (21 აპრილი, № 89, 92); კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო. ორახელაშვილის და მიქოიანის სიტ აპრილი, № 90); ამხ.

მრეწველობის შესახებ ახალი კულ-
რიკოვის საბოლოო სი მხატვრობისა და
ამხ. კალინინის მოხს სურვილია, აკადე-
მეტი დაჯერებით

საბჭოთა კავშირის ს ლობა

„პრავდა“: ამხ. რიკოვის მოხ აპრილი, № 89); კამათი ამხ. რიკოვის მოხ გარშემო (21 აპრილი, № 90; 22 აპრილი, № 92); ამხ. კუიბიშევის მოხსენება (23 აპრილი, № 92); ამხ. რიკოვის საბოლოო სიტყვა (27 აპრილი, № 93); ამხ. კუიბიშევის საბოლოო სიტყვა (27 აპრილი, № 94); ამხ. კალინინის საბოლოო სიტყვა (29 აპრილი, № 95); ყრილობის დადგენილებანი მრეწველობის განვითარების მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ (29 აპრილი, № 95); ქვეყნის თავდაცვა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის მდგომარეობა—ამხ. როშილოვის მოხსენება (30 აპრილი, №

პარტგანათლება ჩვენში

(ნორიოს თ., სადგ. ვაზიანი)

ნორიოს პარტიის სათემო კომიტეტმა სად. ვაზიანის კომუჯრედთან ჩამოაყალიბა მოძრავი პოლიტსკოლა. ხელმძღვანელი გადმოგზავნილია თბილისის კომიტეტიდან. მეცადინეობა სკოლაში დაიწყო 22 აპრილიდან. მსმენელთა შემადგენლობა უმთავრესად მუშურია. მუშების მომზადების დონე ძალზედ დაბალია, რაც ხელს უშლის საქმეს, მით უმეტეს მე-2 საფეხურის პოლიტსკოლის პროგრამით ხელმძღვანელობის დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ მუშების ცოდნა და საერთოდ მათი მდგომარეობა — გათვითცნობიერების მხრივ სრულებით არ განირჩევა გლეხობისაგან. თითქმის ყველა მუშა დაკავშირებულია ისევ სოფელთან; თვითეულს აქვს განსაზღვრული მიწის ნაჭერი, ნახევარი ნორმა და სამსახურის შემდეგ თავისუფალ დროს მიწის მეურნეობაში მუშაობას ანდომებენ. გა რებით უქმე-დასასვენებელ დღეებში ლი მიეშურება თავის მეურნეობისაკენ გათ ადგილობრივი მუშა ნახევრათ საჭიროა აქედანვე ცოდნის მიხედვ ჩეულ იქნეს სწავლების სათანადო ბი.

ჯერ - ჯერობით ჩატარებულია 7 მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინ მსმენელები ჯერ - ჯერობით წიგნს ნებენ დამოუკიდებლათ. გარდა ამისა აქტიური ნაწილი, რომელიც საუკეთე ვისებდა საუბრებს, წავიდა საზაფხულო ლებში.

ხელმძღვანელმა უნდა გადალახოს ეს მდგომარე. მით უმეტეს მსმენელთა სწავლისადმი ინტერესი დიდია.

ნ. კეხიჯვრ

ნორჩი და საქმიანი უჯრედი

(გურია).

ლაშეს კომუჯრედი ახლო წარსულში დაარსდა. ის აერთიანებს 13 პარტიის წევრს და 10 პარტკანდიდატს; უნდა აღინიშნოს, რომ კომუჯრედის მუშაობა განსაკუთრებით ბოლო ხანებში გამოცოცხლდა და საქმიანიცაა. უჯრედი მუშაობს თავისი სამუშაო გეგმის მიხედვით, რომელიც თემკომის მიერ დამტკიცებულია. არსებობს კომკავშირის უჯრედი, სადაც კომუჯრედის მიერ გამოყოფილი და მიმაგრებულია პასუხისმგებელი ამხანაგი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მათ. არის გამოყოფილი ქალთა შორის მომუშავეც, არსებობს რემესლის და ავიაქიმის უჯრედები.

უნდა ითქვას, რომ მთავარი ყურადღება უჯრედის მუშაობისა გადატანილია უპარტიო ღარიბ გლეხობის შორის. ეწყობა ღია კრებები უპარტიო ღარიბი გლეხებისა საშვალო გლეხობასთან, კომკავშირთან და კომუჯრედის წევრებთან ერთად, ირჩევა მათთვის საინტერესო საკითხები, კეთდება მოხსენებები ნებაყოფლობითი ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა, ორგანიზაციის მნიშვნ და მდგომარეობის შესახებ. ღი დღის წესრიგი, დამუშავებული რედის მიერ, ერთი კვირით ადრე ბა თვალსაჩინო ადგილას გა მიზნით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პასუხის საღამოების მოწყობა, ინიშნება კომუჯრედის მიერ სათა მომზადებული ამხანაგი, რომელი ლა კითხვებზე ამომწურავ და ახს მარტებითი პასუხს აძლევს გლეხ

უნდა ითქვას, რომ კომუჯრედ ტორიტეტი უპარტიო ღარიბ გლ ში იზრდება, ღარიბებს გლეხო წილს შემოაქვთ უჯრედში გან ბი პარტიაში მიღების (დასასვენებლად)
მოწმობს იმის [illegible] დახურული ბინის
კომკავშირის მხარეები შეთავსებულია მთე-
ხობის ხარჯზე მზის ვანების მიღების
იმედი უნდ ლიანობასთან.
ში კომუჯრ მოწყობილი, რომ შეიძლებო-
ხელმძღვა რუნება, რათა მზე მთელი დღის
განმტკიც ა აწვდიდეს სხივებს ავადმყოფს.
კიდევ უფრო შორს წავიდენ. იქ,
ბე ხნის წინათ მოახდინეს საგარაკო

ზაჰესი

I

ვიწყებ ხალისით ქებათა-ქებას,
თქვენც, მეგობრებო, გაშალეთ გული,
რომ ჩემი ლექსის უხვ-აფეთქებამ
მოგცესთ იმედი და სიხარული.
იქნებ გგონიათ, თხერ პოეტის
სიმებიც მართლა ძაფისგან იყოს,
და ეს მგრძნობელი გულის რტოები
დახავსებული საჭურჭლე თიხა!
აგრე რომ იყოს, მაშინ ბეწვია
გრძნობაც და გულიც ნაპარტახალი
და მეც დღეს ალბად უნდა მეძია
ჰანგი მტკიცე და გული ახალი...
მაგრამ მერწმუნეთ, უკუღმართ დროში
ისე არ იყო გულის ტკივილი,
როგორც ამ ლექსის ყოველ სტრიქონში
ცეცხლის სტვენა და გრძნობას კივილი...
ვისურვოთ, ჩვენში არ ყოფილიყოს
არავითარი გრძნობები მტრული
და ღვინის ნაცვლად, ანთებულიყოს
ლექსით ყოველი მშრომელის გული.
მაშინ თვით სისხლი შემოქმედების,
ამოდუღდება მჩქეფარ რუსავით
და—პოეზიის მაღალი მთები
აღარ დაგვრჩება დაუქუსლავი.
უკუღმართობაც რომ აღიმართოს
ეხლა ვით ჯადო დაუნახველი,
მას ერთი ლექსი ეყოფა მხოლოდ,
რომ მყის გაჰფანტოს შავი ნაღველი.
მე ეხლა ვმღერი და ჩემს სიმღერას
თქვენც ააყოლეთ ხმების წკრიალი,
რომ ამ ქებითი ლექსების ზგერამ
გაათბოს გული თხერ-ტიალი.
ვიმღეროთ ძმებო მზაფრავი სევდა
და, დაიფაროს ტკბილი ალერსით.
ხომ ხედავთ ლექსსაც ხალისით სჭედავს
ზაჰესის ცეცხლი უმხურვალესი.

* * *

იდიდე ზაჰეს! ფოლადის გულზე
ვეღარ გიკბენენ სალამოები,
და როცა ბორკილს აიწყვეტ უცებ,
ჩემს ოთახშიაც მზეს შემოიხიბენ;
თუმცა შენთვის მანდ უბედურ პოეტს
ერთი ქვაც კი არ მომიტანია,
მაგრამ მე გიწერ სამაგიეროდ
ლექსს წელ-მაგარს და მაღალ ტანიანს.

II

თუ აქ უძველეს წარმართულ დროში
იდგა არმაზი—ციზუმის მტერი,
ბატონი ავი და მოსისხარი
უწყრებოდა შინაყმებს ცემით,—
სამაგიეროდ წინ-სვლის დღეებმა
გახსნიდეს გზები უსპეტაკესი
და ძველ დროების შესაჯიბრებლად
ჩვენმა ეპოქამ დასდგა ზაჰესი.
იდიდე ზაჰეს! ჩვენ გვიხარია,
რომ აღიმართე კლდესავით უცებ
და მტკვარს ავ-რისხვა ნიაღვარიანს
გაბოროტებულ ჭიდილში უძლებ.
ეხლა ზეცამაც რომ დაიჩემოს
დარტყმა მეხისა ლოდების მწველი,
შენ მაინც მტკიცედ იქნები ჩემო,
როგორც უდრეკი და უძლეველი.
და თუ უეცრად დაშრება მტკვარი,
ცა ავ-გვალვებით შემოგაწვება—
ჯავშნით გულ-მკერდს ბასრი ლახვარით
და ჩვენს საკუთარ სისხლს მოგაწოვებთ.
მაგრამ ძვირფასო, მტკვარის ტკბილ დუდუნს
მჯერა აჟღვები ხმა-ატკბილებით
და აბოლდები, თითქო შენც თუთუნს
სწევდე გულხარბად თუჯის მილები
რა იქნებოდა, რომ ამაყ თბილისს
გვერდში არ ედგე რკინის თალებით
და არ გვმოსავდეს ამაყად შლილი
შრომის და ბრძოლის ბაირაღები!
მაშინ ეს გული და ეს ქვეყანა
არ იქნებოდნენ წინსვლის მაყრები,
და მეც თხერი ერთი პოეტი,
სთქვი, რა ჯანდაბით ვიამაყებდი"!
იდიდე ზაჰეს! ფოლადის გული
უნდა აივსოს სიკეთით ისე,
რომ ჩვენ ცხოვრებას ღრმად ჩაეჭდოს
შვება, სიცოცხლე და სიხალისე.

III

დიდება ქართლო! ეგ შენი მიწა
მაინც კარგია დაულაბავი,
მაგრამ ეს გულში რა ჩამოგიწვა
მტკვრის და არაგვის გადამულაპავი?
უბედურება ხომ არ გეწვია,
თუ ეს თვით ბედის მოვარდნა არის?!
მხნედ იყურება ფხვიერი მიწა,
დინამიტებით გადანათხარი,
არ გიხარია? მე კი, ძვირფასო
ვხედავ, შენს თვალში ცეცხლები შკვესავს
და ჩემი გულის ღმობიერ პასუხს
ესმის ბრაზიან გრიგალის კვნესა...
მაგრამ რა ვუყოთ, ყოველმა ხანამ
იცის მსხვერპლი და სისხლის ღვარები...
და საქართველოც ბედნიერია
ზაჰესის ცეცხლის აელვარებით.
დიდება ზაჰესსახლა, რომ ყვირის
შენს მიდამოში ქვა და კირია,
მე მჯერა, ასე გულშემზარავად
თვით დაჭრილს ლომსაც არ უყვირი...
ეხლა, რომ ცეცხლი ედება ქალებს
გზებს ანათებს და დრკება მთანია,
მე მჯერა მტკიცედ, ასეთი ცეცხლი
თვით პრომეთეს არ მოუტანია.
ისევ მტკიცეა ეს ჯებირები
მკლავით, გალავნით და საძირებით
და ნიაღვარმა ტურბინებს ფხიანს
გული ოდნავად ვერ შეურხია,
რადგან ცეცხლებში დაუშრეტელი
არის ჯებირთა მკვრივი კედელი..,
და ჰა, ზაჰესის ელვარე გული
თბილისზე მოდის გააფთრებული.

IV

გაქებ ალგზნებით და ჩემი სიმიც
გულში ელვარე გრძნობებს ალაგებს
და მეც გიცქერი დაუდეგარი,
როგორც პოეტი და მოქალაქე.
არა მგონია ამ ჩემ სიმღერას
აკლდეს გრძნობა და წვის მადანია,
თორემ, უგრძნობი ლექსების ზგერა
დასაქოლი და გასატანია.
ვიმღერი ზაჰეს, არა იმიტომ,
რომ დაადუღე ქვა და კირია,
და არც იმიტომ, რომ ახალშობილს
ბავშს ალერსი და ნანა სჭირია,—
არამედ გიმღერ: ძველ მკრთალ ცხოვრებას
წინ გაისროლი ღონივრად ისე,
რომ ყდა, ფოლადის ტანსაბურველით
გამოეცალოს ქვეყანას მყისვე.
მე ვუმღერ წინსვლას და გაქანებას,
მე ვუმღერ ქებას მაჯას ძარღვიანს,
რომელმაც მცხეთის ქვიანი მიწა
ვასერა წერაქვით და გაარღვია...
და თუ ამ შრომამ მკლავი-ფოლადი
დაღალა ოდნავ, დასწვა კანია,—
გული ძგერს მაინც ძალუმად, თითქო
ჯაჭვ—აწყვეტილი ამირანია.
იდიდე ზაჰეს! ეხლა რომ გიწერ
ქებითი ლექსს და ვადიდებ შრომას—
წავლენ დღენი და გული სამიწე
ამოსწვავს ცეცხლით წარსულის წყრომას,
რადგან თბილისის კრიალა ცაზე,
სად ეხლა ფრინავს გვრიტი და გნოლი —
მენი მთვარდნის შემდეგ ამ ეთერს
შემურავს შავად ქარხნების ბოლი.
ესეც არ იყოს, ავყია მტკვარი,
ეხლა რომ სჩივის ცივი დუდუნით,
რაც რომ გადახდა სულ შენით არი
ხელ—გაჭრილი და მკერდ—გაგუდული...
და ამან ეხლა ვით დაივიწყოს
ესოდენ ავი საქმე გრძნეული,
როცა ერთი დღის განმავლობაში
გყავდა ხტომაქში გამომწყვდეული.

V

დიდება ზაჰეს! საქართველოში
შენ აამღერე ქვა და ლოდია...
და ახალ ყოფის ერთგულ მედროშედ
ახლა ესენიც მტკიცედ მოდიან.
მჯერა, რომ გესმის ჩემი ქებანი,
ისე, როგორც მე შენი ყვირილი
და მოხეთქილი ხალხის ვნებანი
შენშიაც უნდა გამოიღვაროს;
რადგან ეპოქა ლახტის და ხმალის
წარსულისაკენ იცვლის ნაბიჯებს
და მის მაგივრად ელექტრონს ძალი
შემოქმედების მოედანს იჭერს.
წყვდიადო, გული რად არ გიტირის?
გელევა დღენი შავბნელი ღამევ!
შენ მიდიხარ და ჩვენც გეთხოვებით,
უკანასკნელად იმღერე რამე!
გისმენ გულდასმით, ვფიცავ პოეტის
ახელს და ხმახაც, განცდების წამებს,
თუ შეგიძლია გაათბო გული,
თუ შეგიძლია იმღერო რამე!
მაგრამ მე ვხედავ ამიერიდან,
შენი სულის თქმა განწირულია,
რადგან სინათლე არ მოერიდა
და ჩაჰკლა შავი ძალა სრულიად.
რით განუგეშო ჩემო კუთილო,
შენთვის ქებაც კი დამიშურია
და ეს იმიტომ, რომ ჩემს ქვეყანას
მეტი ქმედობის ძალა სწყურია.
თუმცა დარდები გულს სევდას უშენს
არ გვშიშობ მაინც იმედიანი,
რადგან ზაჰესის ელვარე გულში
მე საქართველოს ვხედავ მზიანად.
იდიდე ზაჰეს! ეხლა გრიგალიც,
რომ ამოვარდეს ქვის გამკრეთელი,
მე მჯერა, ისევ იქნება მტკიცედ
შენი წიბო და შენი კედელი...
და თუ მოიჭრა მძლე ნიაღვარი
და შეებრძოლა გვირაბს კირიანს,
შენ დაიყვირებ ისე ძლიერად,
როგორც არავის არ უყვირია,—
და თუ აივსე ტკბილი ალერსით
და ჩვენც მივიღეთ დაიმედება—
შენ აამღერებ უმხურვალესად
ბრძოლას, წინსვლას და შემოქმედებას.
იდიდე ზაჰეს! დამწველ გრაგანად
უნდა ავარდეს შენი ალერსი,
და, ამ ჩემ ლექსმაც უთხრას ქვეყანას,
რომ საქართველომ დადგა ზაჰესი!

იონა ვაკელი

1927
ქ. თბილისი

გავლით სოფლისაკენ

„ჩვენისთანა ბედნიერი ბე-დნი-ერიი
„ვანა სადმე არის ერი, არის ეერი!

— მართლაც რომ ბედნიერი ხალხი ვართ, ვერ უყურებთ რამდენი მთვრალი კაცი დაბარბაცობს ამ დილა-უთენია ქუჩებში?

— ყველაფერი კარგი, მაგრამ, მართლაც, სად ასწრებს ეს ხალხი ამ დილაზე ასე უზომოთ დათრობას?

— შენგან არ მიკვირს, აქ ზესტაფონია, ყოველ ფეხის გადადგმაზე სამიკიტნოებია.

— არ კეტავენ ღამ-ღამობით იმ დასაწვავებს?

— როგორ არა! დარაბის წინა კარებს მიჰკეტავენ, მაგრამ ეზოს კარი მთელი ღამე ღიაა. ან, სამიკიტნო რომ არ იყოს, ისე ვერ დათვრებიან?!—ღვინო ყველგანაა, ყველას აქვს. რა ღირს თბილისში ბორჯომის წყალი ბოთლი?

— კარგათ ვერ გეტყვი, მგონი ექვსი შაური.

— აქ კი თავ-ღვინოს კვარტის ჩარექას აბაზათ რამდენიც გინდა იმდენს იშოვი.

მე და ჩემი გამყოლი ზესტაფონის ბაზრისაკენ მივეჩქარებით.

„ჩვენისთანა ბედნ-ი-ე-რი
* * * * * * ე-რ-ი

შორიდან მოაქვს ხმა დილის ნოტიო ჰაერს ნაწყვეტ-ნაწყვეტი.

ჩამოიარა რამდენიმე ახალგაზრდამ, ხელიხელ გადახვეულნი მიდიან. ეტყობათ ტყუილა არც მათ დაჰკარგიათ წუხანდელი ღამე, მიპორტმანობენ, მღერიან:

„ვაჰ, შენ ჩემო მაზრათ,
„ხან ალმა, ხან დალმათ“.

მღერიან, თითქოს რაღაც მოვალეობას იხდიდენ. სპირტ ნარევი ღვინო (სხვანაირ ღვინოს ეხლა ზესტაფონში ველარ იშოვი) დილის ჰაერზე მაგრათ ჰკიდებს ხელს ამ ყმაწვილებს, და ბორძიკ-ბორძიკით მიატორტმანებს წინ.

— გესმის რას მღერიან? მაზრა გადმოიტანეს ისევ ზესტაფონში; ეს, მგონი, მეოთხეჯერ გადაიტანეს და გადმოიტანეს, აი იმის შესახებ გამოუთქვამთ ეს სიმღერა. „სიმონიკა გოცაძის“ კილოზე აუწყვიათ.

— ახლა მგონი საბოლოოთ გადაწყდა ეს საკითხი. აღარ გაარუყევენ მაზრას აქედან...

— ვინ იცის, ვნახოთ. მოიცა, მოიცა ყური დაუგდე. ფილაცას გვარს უმატებენ სიმღერის ბოლოში.

— დაანებე კაცო თავი, რას დაეძებ, მაგობთას მოიცალე, რაც უნდათ ის მიაყოლონ.

— კი, მაგრამ მაინც მეინტერესება.

გადავიარეთ რკინის გზის ლიანდაგზე გადატარებულ ხიდზე და შეუდექით ზევითკენ გზას.

— რა კარგი სახლია, ვისია ეს სახლი?

— ეს სახლი ჩვენმა გოცაძემ ააშენა.

— რომელმა, ექიმ გოცაძემ ხომ არა?

— ჰო, იმან. გაკეთდა კაცი და ეს არის. ექიმი კარგია, მაგრამ ტყავს აძრობს გლეხებს.

— მერე თქვენ, რას უყურებთ? აგრე უნდა?

— კი არ უნდა, ძმავ, მაგრამ რას უზამ? სახელი გაუვარდა, კარგი ექიმიაო და ხალხი ბუზივით ეხვევა. მეძვირეა უსაშველო. ფეხებზე ჰკიდია ღარიბი და მდიდარი. ერთი გაყურებია ნეტავი, რავა ევაჭრება მიმსვლელებს. ჯერ ფულის საქმეს გამოჰკითხავს, მერე წამალს გამოუწერს. ამას წინათ მე ჩემი თვალით ვნახე. სოფ- [illegible] ღედაბერი ჩამოსულიყო, [illegible] შვილის-შვი- [illegible] ლის ხალხის შეწუხებისათვის; კვნესით ამოიოხრა ნუ გადამახდევინებო, ობოლიაო. შენ არ მომიკვდე, უარით გაისტუმრა.

— მე თუ უფულოთ ვსინჯე ავადმყოფები, დროზე არ გამოვიბრუნებ რაც ჩემს სწავლაში ფული მაქვს დახარჯულიო.

— სხვა ექიმები არა გყავთ?

— როგორ არა, ორიც გვყავს, მაგრამ რათ გინდა, წევარ მეძებრებით უნდა ხდიო, რომ სადმე მიაგნო. სადმე სამიკიტნოში თუ წაადგები თავზე. ამას წინად დათვრენ, ასტეხეს ისეთი ალიაქოთი, რომ ორივეს ექვს-ექვსი თვე ციხე გადაუწყვიტეს.

—ამ გოცაძეს, მართლაც, რომ კარგი სახლი აუშენებია.

— შენ შიგნი შედი და ნახე, გარედან რას შეატყობ.

ოჰე რა ბატონო, მაგ გოცაძეს რომ საქმე დღემართა

— მაგეც თვრება თუ?

— თვრება კი არა! ღვინოში შაურს არ დახარჯავს. გაგიგონია? არა, მაგ კი, არა, სახლს რომ აშენებდა, მაშინ დაემართა ერთი საარაკო საქმე. მოუვიდა, თურმე, სოფლიდან ვიღაც გლეხი, ავადმყოფი ჩამოეყვანა ურემზე დაწოლილი, რის ვაივაგლახით ჩამოუღწევია ამ ფხეკებზე. გასინჯა გოცაძემ ავადმყოფი და რეცეპტი გამოუწერა.

— უფულოთ?

— უფულოდ, აბა! ფულიც გადაახდევინა და ყველაფერი. ახლა იმას არ იკითხავ ამ გლეხს რა დაემართა: გაარბენინა საწყალმა აფთიაქში, ხომ წრის ოფლი სდის, უნდა ჩქარა დაამზადებინოს წამალი. ურემზე დაწოლილი ავადმყოფის მიტოვება ხუმრობა ხომ არ არის? შეარბენია თურმე აფთიაქში ეს ქაღალდი, მისცა იმას, ვისაც აფთიაქში დახვდა. ეს კაცი — აფთიაქის მოსამსახურე იქნება და, ალბათ, კითხულობს, თურმე, ამ ქაღალდს და იცინის, კვდება სიცილით.

გლეხმა ჯერ ვერ გაიგო რაში იყო საქმე, მერე გული მოუვიდა?

— შე მამაცხონებულო, რაღა ჩემი უბედურების დროს აგიტყდა მაგ სიცილი, ურემზე დაგდებული ავადმყოფი მყავს მიტოვებული, მიქენი სიკეთე გამიმზადე დროით წამალიო.

— რა გაგიმზადო ადამიანო?

— მოექცა ჩემ მტერსა და ავს მხარი, რაცა თუ რა გამიმზადო, წამალი!

აფთიაქის მოსამსახურემ, როგორც იქნა სიცილი შეიკავა.

— რომელი წამალი, ბატონო?

— რომელი და რომელიც მანდ სწერია. მე რომ წამალის სახელები ვიცოდე მაგ ჩემ ამომგდებ გოცაძესაც არ ჩაუვარდებოდი ხელში. სული ამომწვადა მაგ შეჩვენებულმა პირიდან.

— თქვენ, შენი ჭირიმე კითხვა იცით?

— რა დროს წერა - კითხვაა, მე ჩემო ძმაო ცეცხლი მეკიდება.

— არა, დასტურ, თუ იცი მეთქი,

— ქართული ვიცი ცოტ-ცოტაო.

— თუ იცი, აი თითონ წაიკითხე.

გადმოუწოდა გლეხს მოტანილი ქაღალდი.

— „გა...მო...მიგზავნე სა..მოცი::: ცალი აგური: გა...მო...ატანე ამის მო...:მტანს“ ამოიკითხა გლეხმა ექიმის მოცემულ ქაღალდში.

— ვაი, ბერაო, სად არის პატრონი, თორემ მაგას კი უნდა აჩვენო ეხლა ვირის აბანო, საწყა- [illegible] გაბოროტებულმა გლეხმა და ისევ ექიმისაკენ გაექანა.

ასეთი ამბავი დაემართა მაგ გოცაძეს დაბოლავა ჩემმა გამყოლმა.

— რა უქენით მერე?

— რას უზამ, ადამიანო, მაგ რომ არ გვყავდეს, ჩვენს უცოდვილესი ძაღლი არ იქნება. სხვა ექიმებს აქ კაცი არ მიეკარება.

გავიარეთ ზესტაფონის რკინის ხიდზე. 1896 წლის წყალდიდობამ ნახევარი ხიდი მოიტაცა, მასუკან ეს ერთი ნაწილი ხის იყო, მეორე რკინის, ეხლა ხის ნაწილი მოუშლიათ და რკინის ნაწილი მოუშენებიათ.

— ეს კი საშვილიშვილო საქმე გაკეთდა, ამბობს ჩემი ნაცნობი.

— მეორე ხის ხიდი რომ გქონდათ, იმის საქმე როგორ არის?

— წაიღო წყალმა. თავის დროზე ყურადღების მიმქცევი არავინ გამოჩნდა, თორემ კიდევ გაძლებდა ერთ ხანს. ოცდა ერთში ჯებირს წყალმა პირი ჩამოანგრია. რომ მაშინვე მიშველებოდა ვინმე და ის ჯებირი შეეკეთებინა, ახლაც იქვე იქნებოდა ის ხიდი, მაგრამ მაშინ მაგისთვის ვერავინ მოიცალა, წყალიც თან და თან გაუჯდა ჯებირს და იმდენი ჰქნა, რომ მთლად ჩამოანგრია ქვიტკირი. ხიდი დარჩა თავდაუმაგრებელი და პირველ წყალდიდობამ ის გადააწვინა გვერდზე და გზას გაუყენა.

— ეხლა რას აპირობთ, ხომ არ ფიქრობთ ახალის აგებას?

— ოლონდაც, მაგრამ, ხომ იცი, ჭამა ქონებაზე ჰკიდია. სად არის მაგის ასაშენებელი ფული.

ჩამოვეყევით დაბლა. ისევ სადგურს მოვადექით. ზესტაფონის სადგური ამ რამდენიმე წლის წინათ ფარებს მგავდა, სახურავ დაზიანებული უსუფთაო.

სულ სხვანაირად გამოიყურება ახლა ის.

სახურავი ახალი დაუდგამთ, დარბაზშიაც წესრიგი დაუმყარებიათ. ცოტა ზერელეთ მაინც გადაუფხეკიათ ტალახი და მწვირე. საერთო მაგიდაზე წამოუდგამთ ძველი დროიდან შემორჩენილი «Курение за общим столом воспрещается».

— არ მესიამოვნა. ძველი დრო გამახსენა ამ ქაღალდმა ძველი მართლ წერით შედგენილმა.

ჩამოვჯექი. ჩემი ნაცნობი ხელიდან გამისხლტდა. შემპირდა ჩქარა მოვალო. ვაკვირდები, ხალხს, შემომსვლელს, გამსვლელს — ვერავის ვცნობ. ან კი რა გასაკვირალია — 20 წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც მე იშვიათად თუ დავადგამ აქ ფეხს თითო-ოროლა დღით, ისიც ამ უკანასკნელ წლებში...

20 წელიწადი...

— ძველი გამახსენდა...

იანვრის დამდეგი იყო.

აქ მაშინ ჩვენ ვიყავით ბატონიც და პატრონიც — ვიყავით, მაგრამ ჩვენი აქ ყოფნის ვადაც ილეოდა. ტელეფონი, რკინისგზის ტელეფონი ბრაზიანი ძაღლივით იღრინებოდა.

— ადექი კაცო, მიდი მაგ დასაწვავთან?

— რა ცეცხლი წაეკიდა? რა ამბავია?

— ალბათ ბელაგორიდან გვიძახიან.

— არა, ბელაგორში უკვე ალიხანოვის ჯარია. ძირულა ექნება. არვის აღარ უნდა ტელეფონთან მისვლა. კარგი ამბავი არ მოგვივა, ვიცით. ბოლოს ერთმა ჩვენთაგანმა თავს ძალა დაატანა, მივიდა.

— ვინ ხარ? ტელეფონიდან ყრუთ ისმის ხმა, სიტყვებს ვერ ვარჩევ.

— ეს გახლავთ შტაბი, წითელ რაზმელების. ტელეფონიდან ნაკვეთ - ნაკვეთად მოდის ჩახლეჩილი ხმა.

— Хорошо, мы еще встретимся, мы начали, а это еще не конец. Посмотрим!

გამობრუნდა. არც კი გვეკითხება ვილით ვინც იქნებოდა.

— იგინება, მუქარას გვითვლის, ვიღაც დამთვრალი თხერია. აფიცრებია ალბათ.

— ნელა კი მოდიან. შიშის ქარები მაინც მაგრათ აქვთ გამდგარი გვერდებში.

იშლება ჩვენი წითელი რაზმი. იშლება ისე, რომ არც კი შეხვედრია ხეირიანათ მტერს. ძნელია ამ ხალხის დაჯერება დარწმუნება, რომ ამ ჟამათ, ამ პირობებში უმჯობესია ბრძოლის შეჩერება. თავის მოფარება — ძალების დაგროვება, ახალი იერიშებისათვის მზადება...

გამახსენდა კიდევ სხვაც...

... შემოდგომის ნელი, მყუდრო საღამო იყო. მიდამოს თითქოს ნაცრის ფერი თალხები ჩაეცვა. ჩვენი ვაგონი საბარგო ვაგონთან იყო მიბმული მატარებლის თავში. წყნარათ, ფეხ-აკრეფით შემოცოცდა მატარებელი სადგურში... გაჩერდა

нельзя подходить к окну!

ჩვენ ვაგონთან ზანტათ გაიარა ბარგის დამტვირთველმა მუშამ, შემდეგ ხელით საგორებელი ბარგის საზიდი გაატარეს ჩვენ წინ, მუშები აწვებოდენ.

— მიაწევი ბარემლა, რას უყურებ, ტუსაღები არ გინახავს, თუ როგორ არის შენი საქმე, მიაძახა უკანამ წინას.

— რა გაჩქარებს, ვინ იცის, იქნებ ვინმე არის აქაური.

— აქაურია, თუ იქაური სულ ერთია, ისე კარგათ ყავთ ჩაკეტილი, რომ მაგათ აქაური ჰაერს აღარ ანახვებენ.

ჩაიარა ჩვენმა მატარებელმა.

ბევრგან გაჩერდა, ჩვენ გვტოვებდა, ის გზას განაგრძობდა. შემდეგ კიდევ გამოგვივლიდა, წაგვიყვანდა, დაგვტოვებდა, ის კიდევ გზას განაგრძობდა.

რა ვიცი რამდენი იყო გაჩერება და ხელახალი მოგზაურობა. მგზავრებიც სხვადასხვა ვიყავით, მატარებელიც სხვადასხვა, მაგრამ ჩვენც და ისიც თითქოს უცვლელი დავრჩით. იგივე ფანჯრები, ხიშტებიანი მცველები, რუხ ხალათები და სევდით სავსე თვალები...

— შენ ალბათ ამდენი ხნის მოლოდინით გული დაგელია, შემომეხმაურა ჩემი ნაცნობი.

— არა უშავს რა. ძველი ამბები გამახსენდა.

— ოლონდაც გაგახსენდებოდა. მე მაშინ ბავშვი ვიყავი, თქვენ რომ აქ სროლა და ბრძოლა გქონდათ. ძლივს მახსოვს — სიზმარივით.

— კაი ხანი გავიდა მას უკან. ის ერთი წუება ხალხი თითქმის აღარც არის. ზოგი დაბერდა, ისე რომ ეხლა ველარც კი იცნობ, ზოგი ციხეებში მოკვდა.

გავიარეთ. ვნახეთ გედევან ჩუბინიძის (ერთ დრ.ს. შავიქვის მწარმოებელი იყო, „მილიონერიაო“, ამბობდენ მაშინ ზესტაფონლები) ეკლესიის ნანგრევები.

ეს ეკლესია კი დაანგრიეთ, მაგრამ ეს ქვა მაინც გამოგეყენებიათ რამეში.

— თეატრი ააშენეთ?

— ავაშენეთ კიარა! ამასწინათ ერთი წუება ამხანაგების წყალობით ისეთი საჯაყი საქმე დაგვემართა, რომ მაგ თეატრის საკითხი სანახევროთ დამარხულია.

— რა იყო, რა დაგემართათ?

— ის დ
მა ისეთი
რუსთაველ
ასეთ გვ
ვი საქმ
— მაშ
ბათ ხოლ
— რა
რი რაღა
— დღ
ცამ მემ
ლიარდზ
და. იმავ
გადმოკი
ი იყო მ
— აქ ბილიარ
— დიახ, ბილიარდ
თელმა ჯვარმა“ მოაწყო.

გავყევი რკინის გზას. სადგურის მოშორე რკ. გზაზე საურმე გზა გადადის.

პატრა საყარაულო არის. საშინელი ღრიანცელი მოისმოდა

„ჩამოიარე შენ ჩემ საფლავზე
„იქვე მახლობლად ჩამოჯდე ქვაზე
„და გადმომძახე...

— თქვე ოჯახ ქორებო, რაღა ახლა დათ ეს ღვინის სმა. მატარებელი გამოსულია, ცოდაობა არაფერი მოხდეს. გზა მაინც დაკეტეთ მიატატანა გზის ოსტატმა.

— მაგის დარდი ნუ გაქვს, გამოეხმაურა შ ლარა დარაჯი, გამოვიდა სადარაჯოდან გზის გადასაღობავი ურდულების ჩამოშობას უდგა.

— რა ხალხი ხართ მაინც რომ ვერ გავიგე) ასე გაუსხლეტლათ ეს ღვინის სმა შეიძლება?

— ჰე ჩემო ამხანაგო და მეზობელო, ღვინო სასმელათ გაუჩენიათ

— კი, მაგრამ დრო და ზომა არ უნდა?

— რისი დრო, რასი ზომა, „იმერეთი“ მაინც აღარ ყიდულობს ამ ჩვენ ღვინოს და ისევ ჩვენ ქე მაინც დავლიოთ. ღობიოს და ჭადის ღვინო თუ ქე მაინც არ დავაყოლეთ, ისე ციება არ მოგვკლავს?!

გაუყევი რკინის გზის გასწვრივ.

სოფლიდან ახალგაზრდა ქალიშვილი მოდიან, ზოგს რაღაცა საშინაო ფეხსაცმელი ეცვა, ზოგი ფეხშიშველა მოდიოდა.

— გაიანე, გოგო, ეგერ ამ შპალებზე დავჯდეთ და ჩევიცვათ ბარემლა ესაა ქე მივედით ამ ზესტაფონში.

არა დაიკო, პატარა გევიწიოთ რა ამ სილაზე ამ მაღალ ქუსლებიან ისე მოვიქცევ, რომ სულ აღარ ივარგებს. შორებით ვიყავი, მოფარებულში ვიღა გოები იქვე ჩაუჯდენ და დაიწყეს ფეხების ჩაცმა.

— ვერიჩქა ეს შენი ურაგანის პუდრ ცი, ერთს მივის-მოვისვამ ამ სახეზე.

— კი დაია, მარა ბევრი არ იხმარო მეც აღარ დამრჩება, ახალი ნაყიდი მაქვ

— არა, დაია, არა, ერთ ფიორას გა სახეზე.

— შე წაწყმენდილო, რა ჩუ ვინც შემოგხედავს ეხლა მაგ კანჭებ ბი, აბა რა იქნება.

ჩაიცვეს, პუდრი მოიცხეს და შეუდგ ტაფონის ქუჩებისაკენ.

მე ქვეით გავსწიე.

პ. მ. საყვარელი

(დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ბის მიცემა პასუხისგებაში

, 28 მაისი. პასუხისგებაში იქნა მი ქუთაისის მცხოვრები ფედო ძე, რომელმაც თავისი აქიმობით ნი მიაყენა ქალაქის მცხოვრებლებს პირა სოფლების გლეხებს. (ადს).

ისი, 28 მაისი. უკანასკნელ დროს შე დ გამოცოცხლდა ქიმიურ თავდაცვის ხე წყობ საზოგადოების ქუთაისის სამაზ- ყოფილების მუშაობა. უკანასკნელ ორი განმავლობაში წევრთა რიცხვი გაიზარ- 3 კაცით და მოეწყო 4 ახალი უჯრედი. უჯრედებში ეწყობა ქიმიურ თავდაცვის შეწყობ საზოგადოების კუთხეები. სა- სამაზრო განყოფილებამ გახსნა სამი ბი: ტყიბულში, სამტრედიაში და ივნისს ჩატარებულ იქნება საჩვენებე- ერო და ქიმიური ომი, რისთვისაც სწარ- მოსამზადებელი მუშაობა. (ადს).

მბულიარული ავტომიმოსვლა

ი, 27 მაისი „ზაკავტოპრომტორგმა“ ნი შუა დაიწყო რეგულიარული ლა. მგზავრობა ქუთაისიდან ომან- ო, 10 მანეთი. ქუთაისსა და ზაღდათს ამბილი დღეში ორჯერ დადის. ასი ქუთაისიდან ბაღდადამდე ნ; ქუთაისიდან ხონამდე—2 მან.; დან წყალტუბომდე—1 მან. და —20 კაპ.. ქუთაისიდან წყალტუ- გადის დღეში სამჯერ. მოეწყო, ამოსვლა ხონსა და სამტრედიას შო- რობის ფასი—1 მან. და 50 კაპ. (ადს).

სეტყვა

გორი, 28 მაისი. გორის მაზრის მთელ რიგ სოფლებში მოვიდა სეტყვა, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზიანა ნათესები, ვენახი და ბოსტნები.

მაზრაში ამ ბოლო დროს ხშირია წვიმები და სეტყვა. (ადს).

ქიმიურ თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოება ადგილებზე

გორი, 28 მაისი. 5 ივნისს გორში ქიმიურ თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოების სამაზრო განყოფილება ჩაატარებს საჩვენებელ საჰაერო და ქიმიურ ომს.

გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვა

გორი, 28 მაისი. 27 მაისიდან გორის მაზრაში დაიწყო გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვა. აღრიცხვა, რომელსაც აწარმოებს 24 გადამწერი, დამთავრდება ერთი თვის განმავლობაში. (ადს).

კულტურულ ფრონტზე

ხონი, 27 მაისი. სამაზრო კომიტეტის მიერ მოწყობილმა ორმა პოლიტსკოლამ მოახდინა მსმენელების გამოშვება. კურსები დაასრულა 60 კაცმა. კურსების დასრულების შემდეგ, მსმენელებმა თვითგანვითარებისა და, აგრეთვე, კურსებზე მიღებულ ცოდნის გაღრმავების მიზნით, მოაწყვეს წრეები.

გამოუშვა მსმენელები, აგრეთვე, წერა-კითხვა უცოდინარობის სალიკვიდაციო 6 სკოლამ. კურსები დაასრულა 108 კაცმა; მათგან 81 კაცი და 27 ქალი (ადს).

მუშაობა გამოცოცხლდა

(წითელქალაქის თემი, გორის მაზრა).

ახალ საბჭოს არჩევის შემდეგ წითელქალაქის თემის სათავეში ჩაუდგნენ სათანადოთ მომზადებული და გამოცდილი ამხანაგები, რომელთა ენერგიული და დაუღალავ მუშაობის წყალობით თემის ყველა დარგის მუშაობას გამოცოცხლება დაეტყო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თემის ყველა დაწესებულებები კონტაქტით მუშაობენ. ყველა დაწყებული საქმე სრულდება. განსაკუთრებით განათლების დარგში. შეძლების დაგვარათ იდგმის წარმოდგენები, ეწყობა საღამო-ლექციები და სხვა.

უმთავრესი ისაა, რომ ამ თემში არც ერთ თემაღმასკომის თავმჯდომარეს არ უზრუნია აღმასკომიდან სულ ერთ ვერსით დაშორებულ სოფელ ჩოხეთიდან წყაროს გამოყვანაზე, მიუხედავათ გლეხობის მრავალჯერ თხოვნისა. დღეს ეს საქმე მოგვარებულია.

ამ თემის აწეწილ-დაწეწილ საქმეებს მაგარი ხელი სჭირდა და მართლაც ბევრი გაუღიმა.

კარგი იქნება, თუ გაქცეულ ექიმის მაგიერათ მოიწვევთ სხვა ექიმს, და წითელქალაქისათვის ცალკე აგრონომს მოიწვევდეთ.

ქოხელი.

აბრეშუმის თესლი რიგდება

ქ. ხონის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ მიიღო რამოდენიმე ათასი კოლოფი აბრეშუმის თესლი—ხონისა და მის რაიონისათვის. თესლთან ერთად ამხანაგობა უფასოთ არიგებს ლიტერატურას ჭიის მოვლისა და საერთოდ მეაბრეშუმეობის შესახებ, ხოლო თესლს კი ნისიათ, კოლოფს 2 მ. 50 კ. მოსახლეობის მთელი 100 პროცენტი დაეწაფა თესლს და თვითეულს სურს მიიღოს 2 კოლოფი. ასეთი არაჩვეულებრივი ინტერესი მეაბრეშუმეობისადმი გამოწვეულია ძაფ-სადები ფაბრიკის გაშენებით.

იფა.

წერილებიდან

აბრეშუმის თესლის დარიგება. (ხონის რაიონი, ქუთ. მ.). წელს ხონსა და მის რაიონში გუბისა და ღანირ - ქუტირის თემებთან ერთად დარიგდა 8.300 კოლოფი აბრეშუმის თესლი. გასულ წელთან შედარებით წელს მეაბრეშუმეობა 38 პროცენტით გადიდდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ წელს მეაბრეშუმეობას ცუდი ამინდი დაუდგა. კარგი ამინდები რომ იყვეს ახლა აბრეშუმის ჭია მეორე კანში უნდა იყვეს გამოსული, ახლა კი აბრეშუმის თესლის 15 პროც. არც კია გამოსული. გამოსული ჭია კი სანახევროთ, იხოცება. თუ ასეთი წვიმები გაგრძელდა აბრეშუმი 70 პროცენტით მაინც დაზიანდება.

იფა.

ვენახების მდგომარეობა. (ხონი, ქუთ. მ.). განუწყვეტელმა წვიმებმა ძლიერ დააზიანა ვენახები: გაუჩნდა ობი, სიწითლე და სხვ. დიდი მოთხოვნილებაა შაბიამანსა და გოგირდზე, რომლის მიწოდების საქმე აღებული აქვს სას.-სამეურნეო ბანკს და რომელსაც სრულიად არ მოეპოვება ჯერ - ჯერობით ეს წამალი. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება შაბიამან-გოგირდის მისაწოდებლად გლეხობისათვის.

ი.

ამინდი. (ხონი, ქუთ. მ.). განუწყვეტელი წვიმების შემდეგ 22 მაისიდან კარგი ამინდები დაიკავა. თუ ასეთი ამინდები იქნება მოსალოდნელია ნათესების და სხვ. მდგომარეობა გამოკეთდეს.

უ.

— **გასაგებია.** სადგურ წყნორის წყალის და სახერხი ქარხნის მუშა-მოსამსახურენი არა ერთ ხელ სჩიოდენ და სწერდენ კედლის გაზეთში სასმელ წყლის უქონლობაზე. წყალი კი ყოველდღე მოაქვთ ცისტერნებით სადგურ გურჯაანიდან. მაშ რაშია საქმე? წყალი მოაქვთ სწორედ იმ დროს, როცა მუშები ქარხნებში მუშაობენ. სანამ მუშები მუშაობას მორჩებოდენ წყალი უკვე დატაცებულია.

ეს ამბავი გრძელდება კარგა ხანია, მაგრამ არც სადგურის უფროსი და არც გზის ოსტატი ამას ყურადღებას არ აქცევს, ეს გასაგებია: ისინი წყალს არ სვამენ კახეთში რადგან „კახურიც“ ბლომადაა?! ც

მუშა.

კოოპერაციის მოანგარიშეთა კურსები. (ქ. ზუგდიდი). 15 აპრილს ზუგდიდში გაიხსნა სენაკ-ზუგდიდის მაზრ. კოოპერატივების მოანგარიშეთა კურს-ყრილობა, რომელმაც გასტანა ექვსი დღე. კურსანტები გაეცნენ შემდეგს: კოოპერაციის მნიშვნელობას საბჭოთა რესპუბლიკებში, ანგარიშის წარმოებას, საქმეთა წარმოებას და სხ. კურსანტებმა ხალისითა და ენერგიით ეკიდებოდენ მეცადინეობას.

მ. კაჭარავა.

მილიცია თავის ადგილზეა. (საგარეჯო, თბილისის მაზ.). საგარეჯოში ძლიერ გახშირებული იყო ქურდობა, ყაჩაღობა, ქალის გატაცება და სხ. მაგრამ ადგილობრივი მილიციის ენერგიული მუშაობით ეს ორი წელიწადია სოფელმა მოისვენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მილიციის უფროსის თავდადებული მუშაობა. ის ორი თემის მილიციას ხელმძღვანელობს, სოფლის ყველა ორგანიზაციებში აქტიურად მუშაობს და თავის მოვალეობას სათანადოთ ასრულებს. გლეხობა მას აფასებს—და ასეთი ამხანაგი ღირსიც არის გლეხური მადლობის.

რისხვიშვილი.

წერილები

კარგი მუშაკი

(ხრესილი, ქუთაისის მაზრა).

ლის მარტიდან ხრესილის რაიონის სა- ქტში მსახურობს ექიმი ქალი მარიამ ამ ხნის განმავლობაში ამხ. მარიამ- შესახებ, და საყვარელი დაიმ ურთიერ დაღალვა. დაქრის ის და ს დან სოფელში, დღე ჯვალით. ხშირად ნახავთ ზამ- ლეთტული, ფეხზე წაღებით ჯახს, სასოება წართმეულ ებაში მისცემს, თვალზე მამ- ლს შეუშრობს. სწორედ იშვიათია ასეთი ექიმი.

მდე მარიამს 43 სოფელი ჰქონდა ული. შემდეგ კი მას მიემატა ორი სა- ქტი. სოფლებს გარდა მას აქვს დაკის- რკინის გზის ტყიბულის შტოს მუშა- ურების ექიმობაც.

ერ მოღლილია მისი სუსტი ორგანიზმი ბული შრომით, მაგრამ ის ამით არ შე ა და თავისი საყვარელი საქმე არ მიუ მიუხედავად იმისა, რომ მარიამი წვრი ის პატრონია, ის მაინც არ იშურებს ს მოვალეობის სიმძიმეს.

ცოთ ექიმ მარიამ გრიპკოვას დღეგრ- ჩვენი სოფლის საკეთილდღეოთ.

ტყალ-ვარდი.

ექიმი მარიამ გრიპკოვა

ახალციხის მაზრის შემსწავლელი საზოგადოება

ებს ახალციხის მაზრის შემსწავლე- ოება, რომლის მიზანია შეისწავ- ო, გეოგრაფია - ეთნოგრაფიულად, ად და ეკონომიურად. პირველი ება მოხდა ა. წ. მარტში. არჩია კომისია, რომელსაც დავალე- სამუშაო გეგმის შედგენა, წევრთა ბა და დამფუძნებელი კრების მოწვე- წლის განმავლობაში მუშაობს და იკ- ებს მაზრას ლენინგრადის გეოლოგიუ- ზოგადოების თავმჯდომარე ინჟ. - გეო- ბორის ფეოდორის ძე მეფერი, რომე- მავალ ივნისს - ივლისში კიდევ მოვა ავებს კიდეც თავის სამუშაოს ჩვენს მას დარჩა გამოუკვლეველი მხოლოდ და ლებისის თემები მტკვრის ხეობა- ერი თან ადგენს გეოლოგიურ რუკასაც; წინ წაიკითხა ლექცია თავის ნამუ- ადგილობრივი ინტელიგენციის თხოვ შეჰპირდა, რომ იგი კიდევ წაიკი- ის მაზრაში მუშაობის დამთავრე- ბ.

მეფერთან ერთად მისი მეუღლე სპეცი ეთნოგრაფი, ლენინგრადის ისტორია - ეთნოგრაფიული საზოგადოების წევრი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ჩვენში ეთნოგრაფიულ მუშაობას აწარმოებდა, სწავლობდა ჩვენი ხალხის ზნე - ჩვეულებებს, ადათებს დ სხვ.

თუ უცხო სტუმარ - მეცნიერნი ეცნობოდენ და სწავლობდენ ჩვენს მხარის ავან - ჩავანს, მაშ ადგილობრივ ძალები უფრო მეტად უნდა დაინტერესდენ მის შესწავლით.

ჩვენში ჰავა და ნიადაგი კარგია, მაგრამ რადგანაც მუშაობა ისევ ძველი მამაპაპური სისტემით სწარმოებს, ამიტომაც ჩვენი მეურნე გლეხები ვერ არიან ეკონომიურად მოღონიერებულნი.

ჩვენი საზოგადოება შესძლებს დიდი სარგებლობის მოტანას ახალციხის მაზრისათვის, თუ გულმოდგინეთ მოკიდებს ხელს საქმეს.

ვუსურვებ ახალციხის მხარის შემსწავლელ საზოგადოებას ენერგიულ მუშაობას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

მუხსი კონსტ. გვარამაძე.

სოფელს გაურბიან

(ზაღდათის თემი, ქუთ. მ.).

ის თემი ეკონომიურათ ძლიერია, მხო- უზხაროთ უნდა ითქვას, რომ კულტუ- კი სუსტი. თუ ვინმემ პატარა ცოდნა სოფელს გაურბის და თბილისისაკენ ვინც რჩება—განსაკუთრებით მასწა- ა—რომლებიც მთავარ ძალებს წარმო- ოფლათ კულტურულ საზოგადო- ებაში, თითო ოროლას გამოკლებით ლია ძველი ჩინოვნიკური სულით.

საზოგადოებრივ კულტურულ მუშა- ქვს ქოხ-სამკითხველო, მაგრამ არ არსებობს მის ირგვლივ არავითარი წრეები, არ გვაქვს თეატრი, თუმცა ახლად არჩეულ თემაღმასკომის თავმჯდომარე ენერგიულ ზომებს ღებულობს მის ასაგებათ. ვერც მაზრა გვიწევს ხელმძღვანელობას, სამი თვეა ტეხნიკის გამოგზავნას გვპირდებიან და ვერ ვეღირსეთ.

ფართო ასპარეზი გაშლილი აქვს ღვინის სმას, ცრუმორწმუნეობას, ექიმბაშობას, მევახშეობას, სეკლესიო დღეობის გადახდის, კაცის კვლას და სხ.

„ზაღდათელი“.

საჯულთა ინსტიტუტი და მისი მნიშვნელობა

რე კამპანიის გამო

ის გამწვავე მელიც კონსერ ლის - საბჭოთა ლეთ სა- ციალურად ჩამოყ ომ ქ. მთავრობის წინად ართვე- ჯამ ხმების უმრავლ დიდი ვენთან დამოკიდებ მსა- შუბლმაგარნი, არჩეუ- როს პროვოკაცი საჯუ- საბჭოთა კავშირის ზნეობ- ბდენ, რათა საბჭოთ ველს გადაედგა ასეთ მსავ- ზანი იყო ურთიერთ თლო მისი შედეგებისათვი რებში ის ჩვენზე მოხვევა მსა- სოფლის ფართე მ ზე. ბჭოთა მთავრობა ს შე- არ წამოეგო. და ებს და თვის, თუ ვინც მონაწილე- მიიღებს ოთ მსაჯულთა კრე- : 1) სახალხო სასამართლოს მნიშ- ა რევოლიუციონური კანონიერე- ტარებაში; 2) სახალხო მსაჯულ- ლებები და ვალდებულებანი; 3) რა ხასიათის საუბარი უნდა იქნეს ული სახალხო მსაჯულთა შო- როგორ უნდა ჩააბარონ ანგარი- ის ამომრჩევლებს სახალხო მსა- მა და სხვ.

რია სახალხო სასამართლოს მნი- ბა რევოლიუციონური კანონიე- ტარებაში?

ზიურ სახელმწიფოებში კა- ეცემენ თანახმად კაპიტალისტე- ერესებისა და შეხედულებისა, ებში სასამართლო ცხოვრებ- ებს იმ კანონებს, რომელიც შემუ ლია და გამოცემული ბურჟუაზი- თავრობის მიერ.

ში და კერძოთ საქართველოში ვეროპის დროს იყო გამოცემუ- ულებისათვის და კაპიტალი- ვის ხელსაყრელი კანონები. მო- დ იყო მემამულე, ან-და ბურ- წარმომადგენელი, რომელიც ავისი კლასის ინტერესებს. მა- ქის და სოფლის მუშას არა თუ ევდენ საქმის გარჩევაში მონა- მისაღებად, არამედ მაშინ მუშა და გლეხი ვერც კი გაბედავდა გულში გაფიქრებას, რომ მას რაიმე რჩევა-დარიგებისათვის მიემართა მეფის მთავრობის მოსამართლისათვის. შეძლებულები თავიანთი საქმის წარმოებას აკისრებდენ ეგრედ წოდებულ ნაფიც ვექილებს, ღარიბი ნაწილი საზოგადოებისა, როგორც წესი, ჰკარგავდა საქმეს მეფის სასამართლოში. ამიტომ მეფის მთავრობის დროს სამართლიანადაც ხშირად გაიგონებდით ასეთ თქმულებას: „С сильным не борись, с богатым не судись“.

მაგრამ დაჰბერა ოქტომბრის რევოლიუციამ, გააცამტვერა მეფის მთავრობა და ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო მემამულეების და კაპიტალისტების სასამართლოს. სახელმწიფო ძალაუფლებას.დაეპატრონა მუშები და გლეხები, რომლებმაც კაპიტალისტებს ჩამოართვა ფაბრიკები, ქარხნები და მემამულეებს მიწა, მუშების და გლეხების მთავრობამ შექმნა პროლეტარული სასამართლო, რომელსაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა რევოლიუციონური კანონიერების გატარებისათვის. მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად ქალაქის და სოფლის მუშები არიან.

პროლეტარული სასამართლო მოწოდებულია იდგეს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე.

პროლეტარულმა სასამართლომ უნდა აწარმოოს ულმობელი ბრძოლა: კონტრრევოლიუციონურ დანაშაულთა, თანამდებობრივი დანაშაულთა (როგორიც არის: მექრთამეობა, გაფლანგვა, მითვისება და სხვ.), მკვლელობის, სამეურნეო დარგის დანაშაულთა, ქურდობის და სხვ. წინააღმდეგ, ე. ი. იმ დანაშაულებათა წინააღმდეგ, რომელიც ერთგვარ საფრთხეს წარმოადგენს მუშათა და გლეხთა ფართე მასებისათვის.

როგორი ვალდებულებები და უფლებები აქვს მინიჭებული სახალხო მსაჯულებს ამ ბრძოლაში,—ამაზე შემდეგ.

მ. ბედია.

თეზისები მოხსენებისათვის

ოთა ხელისუფლებამ წინანდელი მრა- ვანი, სხვადასხვა სტრუქტურის სა ობის მაგიერ დაარსა ერთი მთლიანი სასამართლო, ერთი სახელმძღვანელო (უზენაესი სასამართლო).

ტარულმა რევოლიუციამ წამოაყე- ლოზუნგი — მოსამართლეების დ მშრომელთა მიერ მშრომელ- ხ და გაატარა ეს ლოზუნგი მთელ ს ორგანიზაციაში, ამავე დროს ეს მიანიჭა თანასწორი უფლება რო- სამართლეთა არჩევის დროს, ისე სა- ლო მოვალეობის აღსრულების მხრი-

3. მართლმსაჯულების საქმეში პროლეტარიატის და ღარიბეხი გლეხობის ფართო მასების ჩასაბმელად შემოღებულია მუდმივ და დროებით სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა სასამართლოში, ამასთან სახ. მსაჯულთა სიების შედგენა დაკისრებული აქვთ მუშების ორგანიზაციებს, პროფესიონალურ კავშირებს და სხვ.

4. სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი საჭიროა იმისათვის, რომ მთლიანი სახალხო სასამართლო იყოს ცხოველი, ნამდვილი გამომხატველი სამართლის იმ შეგნებისა, რომლითაც გამსჭვალულია მშრომელთა მასა.

5. მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ისეთი სასამართლო, რომელიც ყოველთვის, ყოველ პირობებში დაიცავს მშრომელთა ინტერესებს. ჩვენთვის საჭიროა ჩვენი კლასიური, მუშურ-გლეხური სამართლიანობა და ამიტომაც უნდა გვქონდეს ისეთი სასამართლო, რომელიც მტკიცე დარაჯად უდგას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართ.

6. საჭიროა მშრომელთა მასიური მონაწილეობა საქმეების განხილვაში, რადგანაც უამისოდ შეუძლებელი იქნება სამართლის შეგნების გაღრმავება - განმტკიცება მოსახლეობის პოლიტიკურად ჩამორჩენილ ფენებში და მათთვის ახალი, საბჭოთა, სამართლის გაცნობა. მაგრამ ამავე დროს სასამართლოს ავტორიტეტის გასაძლიერებლად და სასამართლოს მეშვეობით მოსახლეობის პოლიტიკურად აღსაზრდელად უნდა ხდებოდეს თანდათანობითი ჩაბმა, მშრომელთა მასებისა მართლმსაჯულების საქმეში.

7. სამხედრო სხდომებზე მონაწილეობის მისაღებად მიწვეული სახალხო მსაჯული არ უნდა სთვლიდეს ამას მძიმე, უსიამოვნო მოვალეობად, რომელიც უნდა როგორმე და საჩქაროთ მოიშოროს თავიდან. ის სახალხო მსაჯული, რომელიც ასე ფიქრობს, აშკარავებს თავის უაქტივობას და გულგრილობას რაც არ შეეფერება საბჭოთა მოქალაქის ღირსებას.

სახალხო მსაჯული ისეთივე სრულუფლებიანი მოსამართლეა, როგორც თვით სახ. მოსამართლე. მან უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა საქმის განხილვაში, ყოველი ღონე იხმაროს საქმის ნამდვილი, ჭეშმარიტი არსის გამოსარკვევად. ამავე დროს საქმის ამა თუ იმ მასალის შეფასების დროს გამოიჩინოს სრული დამოუკიდებლობა. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება სასამართლოს სათანადო სიმაღლეზე დაყენება, მხოლოდ მაშინ დარწმუნდება მშრომელი ხალხი, რომ სასამართლო მართლაც საიმედო ხელშია.

8. სახ. მსაჯულის მოვალეობის აღსრულებას საბჭოთა სახელმწიფოში დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან სასამართლო არის კლასობრივი პოლიტიკის იარაღი, რომლის დანიშნულებაა საბჭოთა წესწყობილების განმტკიცება და მშრომელთა ინტერესების დაცვა. სახალხო მსაჯულთ, მთელი იმ ხნის განმავლობაში, როცა მსაჯულად იქნებიან, წასვლა-მოსვლისათვის საჭირო დროს ჩათვლით,— ენახებათ თავის მუშაობის ადგილზე სამუშაო ხელფასი. იმ პირს, ვინც სოფლად მუშაობით ან შინახულობით ირჩენს თავს, ეძლევა დღიური მაზრის აღმასკომის თანხებიდან ადგილობრივად არსებული სამუშაო ხელფასის მიხედვით.

9) კანონის მიზანია ჩაუნერგოს მშრომელთა ფართო მასას საბჭოთა კლასიური მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შეგნება და ამისათვის იგი დაბეჯითებით მოუწოდებს მშრომელთ მიიღონ აქტიური მონაწილეობა საბჭოთა კლასიური სასამართლოს განმტკიცების საქმეში. სახალხო მსაჯულს ავადმყოფობაც კი არ ანთავისუფლებს თავის სასამართლო მოვალეობისგან, იგი განთავისუფლდება მხოლოდ დროებით, მორჩენამდე ,მისი რიგი კი გადაიტანება სიის ბოლოს, რაც ეცნობება მას სახალხო მოსამართლის მიერ.

10) საბჭოთა სასამართლო არის სკოლა, საიდანაც სახალხო მსაჯულთა საშუალებით ვრცელდება ფართო მასაში საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემული კანონები, ჩვენი სასამართლო წარმოადგენს იმავე დროს ტრიბუნას რომლის საშუალებით სწარმოებს აგიტაცია საბჭოთა წესწყობილებისათვის.

11) ვინაიდან სახალხო მსაჯულად გამოწვეულ, ხშირად შორიდან მოსულ, გლეხს მეტად უძნელდება ბინის შოვნა, აღმასკომმა უნდა უშოვნოს ბინა და აღმოუჩინოს მას საერთოდ ყოველივე დახმარება, სესიის დამთავრებისას კი მისცეს მას შესაფერი გასამრჯელო.

ფასების დაკლებისათვის

ფასების გადამსინჯავი კომისია

პროფკავშირთა საბჭოსთან ამჟამად მოწყობილია თბილისის კოოპერატ. და სახელმწიფო სავაჭრ. ფასების დაკლების გამოკვლევის კომისიები. სულ ქალაქი დაყოფილია ოთხ უბნათ. თვითეულ საუბნო კომისიას მინდობილი აქვს მოახდინოს ფასების გადასინჯვა განსაზღვრულ სავაჭრო პუნქტებში. კომისიებში სამუშაოთ გამოყოფილი არიან სხვადასხვა დაწესებულებათა და წარმოებათა წარმომადგენლები.

კომისიების თავმჯდომარეებათ დანიშნული არიან პროფკავშირთა წარმომადგენლები— ამხ. ნ. ღლონტი, ლ. ენუქიძე, ავეტისოვი და უსტინოვი.

კომისიების ძირითადი ამოცანაა ჩაატაროს 1-ლ ივნისამდე ყველა სახელმწ.-კოოპერატიულ სავაჭროებში ფასების დაკლების კამპანიის შედეგების შემოწმება. მეორეს მხრივ კომისია გამოიკვლევს, თუ რამდენათ სწორად და თავის დროზე შეასრულეს სავაჭრო დაწესებულებებმა საცალო ფასების დაკლების შესახებ გამოცემული დირექტივები და ან ჰქონდა თუ არა სადმე გადახრებს ამ მხრივ ადგილი.

ამჟამად ქალაქში მიმდინარეობს ფასების დაკლების კამპანიის მსვლელობის მასიური გამოკვლევები. გამოკვლევებში ფართო მონაწილეობას ღებულობენ მუშა-მოსამსახურეთა და მომხმარებელთა მასები. მასიურ გამოკვლევებს ხელმძღვანელობს პროფკავშირთა საბჭო.

ამ დღეებში ფასების გადამსინჯავი საუბნო კომისიები გამოყოფენ სხვადასხვა ქვეკომისიებს და 24 მაისიდან ზოგიერთი კომისიები უკვე შეუდგებიან პრაქტიკულ მუშაობას.

მუშკოოპმა ეს საქმეც უნდა მოაგვაროს

ნისია დიდათ უწყობს ხელს მუშა - მოსამსახურეს.

ჯამაგირიდან ჯამაგირამდე ხელზე ფული ყოველთვის არა აქვთ, ამიტომ საჭიროა სინოვაგის ნისიით შეძენა. მუშკოოპებმა ამ გარემოებას ანგარიში გაუწიეს და ზოგიერთ საქონელზე კრედიტი გაუხსნეს მუშა - მოსამსახურეებს. მაგრამ სამწუხაროა ის არის, რომ მუშა - მოსამსახურე აქამდე ვერ ეღირსა მუშკოოპიდან ყველასათვის ისეთი საჭირო საზრდოს ნისიათ მიღებას, როგორიც არის მაგალითად რძე და რძის პროდუქტები.

ასეთი მდგომარეობა ძალაუნებურად აიძულებს მუშა - მოსამსახურეთ ზურგი აქციონ მუშკოოპს და მიმართონ ისევ კერძო ვაჭრებს, რომელნიც უფრო ძვირად ჰყიდიან რძეს, მაგრამ ნისიათ მაინც იძლევიან.

ამრიგათ მუშა - მოსამსახურეთა ოფლით მონაგარი ფული კერძო ვაჭრებს უნდა ჩაუვარდეს ხელში.

თუ მუშკოოპი გაუწევს ამას ანგარიშს და მუშა - მოსამსახურეთ მისცემს საშუალებას ჯამაგირიდან ჯამაგირამდე რძე ნისიად აიღონ (კეფირის გაყიდვის წესით, რა თქმა უნდა, შინ მიტანით და არა მაღაზიიდან), ამით ის თვითონაც ბევრს მოიგებს და მუშა - მოსამსახურესაც დიდ სამსახურს გაუწევს.

იმედია ამ საკითხს მუშკოოპი მიაქცევს სათანადო ყურადღებას და ახლო მომავალში მუშა - მოსამსახურეს მისცემს შეძლებას რძე კოოპერატივიდან იყიდის ნისიათ. ამით ჩვენ დიდათ შეუწყობთ ხელს რძეზე და რძის პროდუქტებზე ფასების მნიშვნელოვნად დაკლებას.

ზ. ბ-ა.

შერჩევითი სას.-სამ.

აღწერა

მიმდინარე წლის ივნისის თვეში საქ. სტატ. ცენტ. სამართველო ახდენს გაზაფხულის 10 პროც. შერჩევითი სას.-სამ. აღწერას. აღწერა ისახავს მიზნათ გამოარკვიოს: სოფლის მოსახლეობა და მისი მეურნე შემადგენლობა, მიწად სარგებლობა, თითეული სას.-სამეურნეო კულტურის სივრცე, საქონლის რაოდენობა, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო ინვენტარი. ამას გარდა აღწერის პროგრამაში შეტანილია კითხვები, რომელიც არკვევენ: მოსახლეობის გასვლას სარეწავზე, მუშა ხელის დაქირავებას, გლეხის უზრუნველყოფას სახნავი ინვენტარით და მუშა საქონლით და სხვადასხვა სახმარი მიწების იჯარის პირობებს. ყოველივე ეს მოგვცემს წარმოდგენას ჩვენი სოფლის თითეულ მეურნეობის დარგის მდგომარეობის შესახებ და გამოააშკარავებს ყოველივე ცვლილებებს სოფლის მეურნეობაში შედარებით გასულ წლებთან.

ამ ძირითადი ელემენტების აღრიცხვასთან ერთად წარმოებს აგრეთვე დაკითხვა სასოფლო სამეურნეო კულტურების 1926 წლის პროდუქციის შესახებ და შემდეგ თითეულ სოფელში გამორკვეული იქნება სას.-სამ. კულტურების საშუალო მოსავლიანობა, დესეტინაზე დათესილი თესლის რაოდენობა, მეწველი საქონლის საშუალო წველა და სხვ.

ეს მეორე ოპერაცია არა ნაკლები მნიშვნელობის არის სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესის გამოსარკვევად. ძირითადი ელემენტების გამოსარკვევად დაკითხული იქნება რესპუბლიკის ყველა მეურნეობათა 10 პროც., ე. ი. 42814 მეურნეობა.

1926 წლის პროდუქციის შესახებ კი 3,3 პრ., ე. ი. 19.126 მეურნეობა.

დასაკითხი მეურნეობები შერჩეული იქნებიან ყველა სოფლებში მექანიკური წესით. პირველ შემთხვევაში დაკითხული იქნება ყოველი მე-10 მეურნეობა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ყოველი მე-3-მე.

ყველა ეს ოპერაციები გატარებული იქნება ყველა სოფლებში და ქალაქთა ტიპის დასახლებულ ადგილებში.

თათბირი ადგილობრივ

მრეწველობის შესახებ

ამ დღეებში შესდგა ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისიის თათბირი, რომლის მიზანიც იყო ადგილობრივი მნიშვნელობის სამრეწველო ხასიათის წამოწყებათა მშენებლობის საკითხის განხილვა.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა ს. მ. უ. ს. ახალშენებათა კომიტეტის უფროსის მოადგილე ინჟ. ვაწაძე.

თათბირმა გამოიტანა შემდეგი დადგენილებები: კირის ქარხანა აგებულ იქნას უსათუოდ მიმდინარე წლის დამლევამდე. ქარხნის ასაგებ ადგილათ დამტკიცებულია სოფ. მოწამეთი (ქუთაისის ახლო). აგებულ იქნეს აგრეთვე მიმდინარე წლის განმავლობაში ორი აგურის ქარხანა—ერთი სოფ. ნოსირში (სენაკის მაზრა) და მეორე —შორაპნის მაზრაში.

ქალ. ზუგდიდში აგებულ იქნას სარჩევი ქარხანა. დამტკიცებულია ქარხნის ასაგები ხარჯთაღრიცხვა 30.000 მანეთის რაოდენობით და პროექტი.

თათბირის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს აგრეთვე გორის მაზრაში ერთი ხილის საშრობი ქარხნის აგება.

ხე-ტყის ექსპორტი

ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა სატყეო მრეწველობის ტრესტს შეუკვეთა 4.000 ცალი წიფლის ფიცარი საზღვარ-გარედ გასატანად. ფიცარი დამზადებულ უნდა იქნეს 4 ხარისხათ. 1-ლ ხარისხში შევა ისეთი მასალა, რომელიც საზღვარ-გარედ ძნელი საშოვნია.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ცნობით უცხოეთის ბაზრებზე ძალიან დიდი მოთხოვნილებაა სატყეო მასალაზე საზოგადოთ და კერძოთ ფირფიცარზე. ყოველწლიურად შესაძლებელია გასაღდეს 250.000 ცალამდე საუკეთესო ხარისხის ფირფიცარი, რის დამზადებაც ადვილათ შეუძლია სატყეო მრეწველობის ტრესტს.

პოლიტ-განათლების საქმე სამხრეთ-ოსეთში

ერთიანი პოლიტ-განათლების სისტემის დასაწყისშივე ოლქკომის მიერ მთავარი ყურადღება მიექცა წარსულ სამოსწავლო წლის გამოცდილებათა აღნუსხვას. წინათ შემჩნეული იყო ხელმძღვანელთა კადრის სისუსტე, წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის დაგვიანებით ჩატარება და შესაფერისი ლიტერატურის უქონლობა. წელს ოლქკომი სამოსწავლო სეზონის დასაწყისშივე შეუდგა მუშაობის სამზადისს. ორგანიზაციებს დაეგზავნა შესაფერისი დირექტივები პოლიტ-სკოლებისათვის ხელმძღვანელთა საუკეთესო კადრის შერჩევის შესახებ.

წინასწარი ვარაუდით პოლიტ-განათლების ქსელში უნდა მოხვედრილიყო კ.-კავშირელთა 90 პროცენტი. სკოლების დიდი რიცხვი მოითხოვდა ხელმძღვანელთა სათანადო რაოდენობას, მით უმეტეს თემებში, სადაც აქტივი ძალზე სუსტია. ამას გარდა არ იყო ლიტერატურა ოსურ ენაზე, რაც მოითხოვდა ქსელის შემცირებას და ასეც მოხდა.

სამოსწავლო პროგრამა ლიტერატურის უქონლობის გამო შეცვლილი იქნა. ამისათვის დასაწყისში, ვიდრე გამოვიდოდა ოსურ ენაზე პოლიტიკური ბროშიურებით და სხვა.არა ოსურ ენაზე ნაწერ ლიტერატურით.ამგვარი მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ორგანიზაციებს დაურიგდათ ოსურ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელო ხასიათის წიგნი—„პოლიტ-ცოდნა“.

სამოსწავლო პროგრამა ჯერ არ არის დამთავრებული, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის 100 პროც. თუ არა 85 პროც. გატარებული იქნება სამოსწავლო სეზონის დამთავრების შემდგომ. ოლქკომის მიერ მეთოდიურ საკითხების გარჩევის მიზნით ადგილებზე ეწყობა რაიონული თათბირები. საანგარიშო პერიოდში ოლქში ჩატარდა ერთი თათბირი. მთელ რიგ მიღწევებთან ერთად უნდა აღინიშნოს ნაწილობრივ ხელმძღვანელთა მოუმზადებლობა. გამოკვლევამ, რომელიც ჩაატარა ოლქკომმა, ნათელჰყო, რომ მთელს ოლქში წელს პოლიტ-განათლების სისტემა ნორმალურად მიმდინარეობს.

ვ.

წითელ ჯარში

წითელი ჯარის ნაწილები ბანაკად

№ ქართ. მსრ. ლეგიონი

შემოდგომაზე გამოწვეულ წითელარმიელებს პირველად უხდებათ წრეულს ბანაკად გასვლა. რათა ახალწვეულნი სრულიად მოუმზადებელნი არ შეხვედროდენ საზაფხულო სწავლებას, ბანაკად გასვლამდის მათთან ტარდებოდა საუბრები საბანაკო ცხოვრების პირობების შესახებ და საზაფხულო მეცადინეობაზე; ამით ახალ წვეულებს მიეცათ საშუალება ჰქონოდათ დაახლოებითი წარმოდგენა ბანაკობაზე.

გაიდგა თუ არა ბანაკათ ჩვენი ნაწილი, მაშინვე შეუდგა სწავლების საზაფხულო პროგრამის განხორციელებას. პირველმა მანევრებმა დაამტკიცეს, რომ ახალწვეულ წითელარმიელებს სავსებით შეუთვისებიათ ზამთარში განვლილი საგნები სამხედრო დარგიდან. ყოველივე განკარგულებას ასრულებდენ დროულათ და სწორად.

კარგი ცოდნა გამოიჩინეს ახალწვეულებმა ტაქტიკურ მეცადინეობის დროს, როდესაც ჩვენი ნაწილი გაეშურა შეტევაზე გადმოსულ „მტრის“ დასახვედრათ.

სამხედრო მეცადინეობასთან ერთად ნაწილი ემზადება სამუშაოდ სოფლად. ბანაკად გასვლამდის, საზამთრო ბინაზე, დამზადებულ იყო სოფლად მუშაობისათვის ყველა საჭირო მასალა. წითელ-არმიელებს აუხსნეს და განუმარტეს, თუ რა ხასიათის მუშაობის წარმოება მოუხდებათ მათ გლეხობაში.

მთავარი ყურადღება ჩვენი ნაწილის მიერ მიქცეულ იქნება გლეხობაში სამხედრო ცოდნის გავრცელებას. განზრახულია სამხედრო კუთხეების დაარსება რამოდენიმე სოფელში, რისთვისაც ნაწილს დამზადებული აქვს ყველა საჭირო მასალა, როგორიც არის პლაკატები. ლიტერატურა და სამხედრო ხასიათის ხელსაწყოები.

—ია.

არტილერია ბანაკად

კარგი სანახავია არტილერიის ბანაკი. ვებერთელა მინდორი დაფარულია თეთრი კარვებით, რომელთა შორის მრისხანედ გამოიყურებიან ზარბაზნები.

გათენდება თუ არა, არტილერისტები იწყებენ მუშაობას. სამუშაო ბანაკად ბევრია. ზარბაზნებს ესაჭიროება კარგი მოვლა, არა ნაკლები მოვლა უნდა ცხენს.

მეცადინეობა ბანაკად დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს. გაისმის მეთაურთა განკარგულება, რომელსაც წითელარმიელნი ასრულებენ სწრაფად და ხალისით. მეცადინეობის წარმატებით მსვლელობას ხელს უწყობს თვით წითელარმიელთა ხალისიანობა და შემდეგ ის გარემოება, რომ ზამთრის განმავლობაში სპეციალური საგნები კარგათ იყო შეთვისებული წითელარმიელთა მიერ.

საბანაკო მეცადინეობამ ნათლად დაანახვა წითელარმიელებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზამთრო სწავლებას ამა თუ იმ საგნის შეთვისებისა და პრაქტიკაზე გამოყენებისათვის.

წრეულს ჩვენ არტილერისტებს უხდებათ ყოფნა რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანის არტილერისტებთან ერთად. ეს გარემოება საშუალებას აძლევს მათ ახლო გაეცნონ მოძმე რესპუბლიკების წითელარმიელთ.

ყოველ საღამოს, დასვენების დროს, ყველა ეროვნების არმიელნი იყრიან თავს ერთად, საუბრობენ და ეცნობიან ურთიერთ მუშაობას.

არტილერისტები კმაყოფილნი არიან საბანაკო ცხოვრებით და გამოსთქვამენ იმედს, რომ წარმატებით შეითვისებენ ყოველივე საგნებს, რომელიც საჭირონი არიან ბრძოლის დროს.

ა—ილ.

ახალი ძალები

ქართული ჯარის ტერიტორიალური ნაწილები შეუდგენ 1904 წელში დაბადებულ ახალგაზრდების სამხედრო და პოლიტიკურ მზადებას. ამ ახალგაზრდებს პირველად უხდებათ ყაზარმაში მოსვლა. სამი თვის სწავლების შემდეგ ისინი დაუბრუნდებიან ისევ თავის ჩვეულებრივ სამუშაოს მორიგ ტერიტორიალურ შეკრებამდე.

ყველა ახალგაზრდა, ვისაც კი ეხებოდა სამსახურის გავლა, გამოცხადდა შეკრებაზე თავის დროზე. დეზერტირობის და სწავლების აცილების ცდას თითქმის არსად არ ჰქონია ადგილი. ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ სავსებით შეიგნო თავისი მოვალეობა მუშურ-გლეხური წითელი არმიისადმი.

ახალგაზრდობას აქვს სურვილი შეისწავლოს სამხედრო საქმე და ამითი შეუწყოს ხელი საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას.

სამწყობრო და პოლიტიკურ მეცადინეობა ახალწვეულებთან ნორმალურად მიმდინარეობს. ნაწილების მიერ წინასწარ მიღებული იყო ყოველივე ზომები, რომ მეცადინეობა არ შეფერხებულიყო, ვინაიდან სწავლების დრო ძალიან მცირეა. სამი თვის განმავლობაში შეთვისებულ უნდა იქნეს მრავალი საგანი სამხედრო და პოლიტიკურ დარგში. ახალწვეულებმა უნდა შეისწავლონ ბრძოლის წესები, რომ შეეძლოთ თავისუფლად მოქმედება ბრძოლის დროს. აგრეთვე მათ უნდა გაიარონ პოლიტმეცადინეობის განსაზღვრული კურსი. ყველა ეს კი მოითხოვს ენერგიულ მუშაობას, როგორც მეთაურთა, ისე წითელარმიელთა მხრივ. თვითონ ახალი ცვალებადელი წითელარმიელნი დიდის ხალისით ჩაებენ მუშაობაში. მხოლოდ ათი დღეა, რაც [illegible] ყაზარმაში და მოკლე ხნის განმავლობაში სავსებით შეითვისეს ყაზარმის ცხოვრების წესრიგი.

არა ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ცვალებადელნი პოლიტიკურ და საერთო საგანმანათლებლო საქმეს.

აი რას იწერება ცვალებადი წითელარმიელი სოფ. სართიჭალიდან (გარე-კახეთი): „გასულ წელთან შედარებით ახალწვეული ცვალებადელები მეტი სიმხიარულით არიან შეკრებილნი. ეს დამტკიცდა აშკარად, რადგან არ დარჩენილა არც ერთი ცვალებადელი, რომ დანიშნულ დროზე არ გამოცხადებულიყო თავის ნაწილში, ყველა ხალისით ეშურებოდა თავის ნაწილისაკენ, რომ სხვებთან ერთად ჩაებეს სამხედრო და პოლიტ - საგანმანათლებლო მუშაობაში, რათა შემდეგში ყოველ მხრივ მომზადებული შეხვდეს მუშური ხელისუფლების დაცვას საჭირო დროს“.

ცვალებადელი წითელარმიელი ვ. სულთანიშვილი სწერს;

„ჩვენი ამოცანაა სამი თვის განმავლობაში შევისწავლოთ სამხედრო საქმე, გავეცნოთ მის ტეხნიკას, რათა ყოველ მოსალოდნელ საფრთხის დროს ვიყოთ მზად საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად“.

1904 წელში დაბადებულ ცვალებად წითელარმიელებს სახით მზადდება წითელი არმიის ძალები, რომელიც ყოველთვის მზად იქნება იარაღით ხელში გამოიდეს მშრომელთა დასაცავად, ამასთანავე ერთად მათი სახით სამი თვის შემდეგ სოფელს შეემატება ახალი კულტურული ძალა, რომელიც შეიტანს გლეხობაში მისთვის საჭირო ცოდნას.

ჩ. ხ.

მუშათა ცხოვრება

ამოცანას შეასრულებენ

ამხ. სტალინის სახელობის მთავარი სახელოსნო საწარმოო ამოცანას ასრულებს ფრიად დამაკმაყოფილებლად. წარსულ წელში სახელოსნოს ამკრეფ საამქრომ გამოუშვა რემონტიდან 62 ორთქლმავალი ტენდერებით, ამ რიგად საშუალოდ გათვალისწინებული გეგმა შესრულებულია 114 პროცენტით.

საქვაბო საამქრომ რემონტიდან გამოუშვა 61 ორთქლმავალის ქვაბები და 19 მუდმივი, რაც შეადგენს თვიური ამოცანის 117 პროცენტს.

სარონოდო საამქრომ სამგზავრო ფარეხში კაპიტალური რემონტიდან გამოუშვა 72 რონოდა სხვადასხვა ტიპის. საქონლის ფარეხში 447 რონოდა და საკონვენციო 869. პროგრამები თვიურად საშუალოდ სრულდება 109 პროცენტით, შესრულების მხრივ ჩამორჩენა უნდა აღინიშნოს თებერვალში, ამ თვეში მხოლოდ ნავარაუდევის 49 პროცენტი იქნა შესრულებული. მიზეზი იყო, ქარი, წვიმა და თოვლი, ცუდი ამინდები ძლიერ აბრკოლებდა მუშაობას. შენობის დამთავრებამ რამოდენიმეთ ხელი შეუწყო მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას ზამთრის პერიოდში.

არ ჩამორჩა დანარჩენი საამქროებიც: სამჭედლოში შესრულებული იქნა გეგმა 131 პროცენტით, სახარატოში 113 პროცენტით და ჩამოსასხმელში—133 პროცენტით.

ამოცანათა ასეთი შესრულება უმთავრესად აიხსნება მუშების წარმოებისადმი შეგნებული მოპყრობით და შრომის რაციონალიზაციის ზოგიერთ ფორმების შემოღებით.

მიმდინარე წელში საორთქმავლო-ამკრეფ საამქროს მიცემული აქვს ამოცანა კაპიტალური რემონტიდან გამოუშვას 60 ორთქლმავალი. საქვაბომ უნდა გამოუშვას 66 ქვაბი და ტენდერი, 12 მუდმივი და 72 ტენდერის ქვაბი. სარონოდო საამქრომ უნდა გაუკეთოს კაპიტალური რემონტი 89 სამგზავრო რონოდას, საშუალო 37, გარდა ამისა შეკეთებულ უნდა იქნეს 2160 საქონლის და 120 იზოტერმული.

ამ რიგად საქონლის ფარეხი ყოველდღიურად უნდა იძლეოდეს 7-8 რონოდას.

სტალინის სახელოსნოს მუშები შესძლებენ დაკისრებულ ამოცანების შესრულებას.

ა. ს.

რამოდენიმე წინადადება

„ზაკპოგრუზ“-ის სააქციონერო საზოგადოების აქციონერთა კრებაზე, რომელიც მოხდა რვა მაისს გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მთავარ სახელოსნოს მუშა ამხ. კაჩატკოვი.

„ზაკპოგრუზ“-ის ეკონომიური მდგომარეობა ამჟამად სახარბიელო არ არის. ის განიცდის ეკონომიურ კრიზისს. როგორ შეუძლია „ზაკპოგრუზ“-ს დააღწიოს თავი ამ მდგომარეობიდან? საჭიროა შემცირებულ იქნეს ის უთავბოლო ხარჯები, რომელსაც ის ეწევა. საქ. განყოფილების სამმართველო, რომელიც მოთავსებულია სართიანის ქუჩაზე, უნდა იქნეს გადატანილი და შეერთებული ცენტრალურ გამგეობასთან, ამით „ზაკპოგრუზი“ დიდ მომჭირნეობას გასწევს.

საჭიროა აგრეთვე სისტემა მუშაობისა იქნეს შეცვლილი. საქართველოს ხაზზედ უბნები იქნეს აღდგენილი ისე, როგორც ეს იყო წინეთ. ყოველ წლიურად ახალი სისტემით მუშაობის შემოღება (რეორგანიზაცია) ჩვენს დარგს დიდ მატერიალურ ზარალს აძლევს. საქ. განყოფილებას მიზნათ აქვს გასახული თბილისის უბნის გაუქმება. თბილისის უბნის გაუქმება კი ყოვლად დაუშვებელია. ამ უბანთან არის მიმაგრებული 550 მუშა-მოსამსახურე.

მუშების სურვილია თბილისის უბანი დარჩეს ისე, როგორც არის.

იმედი გვაქვს, ამხ. კაჩატკოვი ყველა ამ საკითხებს სათანადო ყურადღებას მიაქცევს.

მუშა-მტვირთველი.

თავდაცვა - ავიაქიმი“-ს რიგებში

ამიერ - კავკასიის და საქართველოს სასოფლო სამეურნეო ბანკებთან დაარსდა თავდაცვა-ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოების უჯრედები. საზოგადოებაში თანამშრომლები ბლომად ეწერებიან.

ამ დღეებში ა.-კ. სასოფ. - სამ. ბანკი გადავიდა ახალ ბინაზე და ავეჯის იქ გადასატანად გამგეობის მიერ გადადებული იყო საჭირო თანხა. თანამშრომლებმა ავეჯის გადაზიდვა მიიღეს თავის თავზე და ამისათვის გადადებული თანხა გადარიცხეს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ფონდში.

ტ.

პროფკავშირები

სამკურნალო მშენებლობა

მიმდინარე წელში ა.-კ. რკ. გზის ჯანმრთელობის სამმართველოს სამკურნალო მშენებლობის მიზნით გაეცა 300.000 მანეთი. აღნიშნული თანხის გასანაწილებლათ უბნებს შორის, საგზაო კომიტეტში შესდგა თათბირი. თანხა განაწილებული იქნა შემდეგ ნაირად:

ლენინაკანის უბანს ამბულატორიის და საავადმყოფოს გათბობის მოსაწყობათ და სამრეცხაოს ასაგებათ მიეცა 55.000 მანეთი; თბილისის უბანს აფთიაქის შენობის ასაგებათ მიეცა 30.000 მანეთი; ამას გარდა თბილისის უბანში დამთავრდება ფსიქო ტეხნიკური ლაბორატორიის და სამეანო-ვინეკოლოგიურ განყოფილების მოწყობა და გაფართოებულ იქნება თბილისის რკ. გზის საავადმყოფო, რომელთანაც მოეწყობა გარდაცვალებულთა განყოფილება. ყველა ჩამოთვლილ სამუშაოებისათვის გადაიდო 65.000 მანეთი.

ბაქოს უბანს ამბულატორიის, პროზექტურის და სამრეცხაოს მოსაწყობათ მიეცა 100.000 მანეთი. განჯის უბანს ამბულატორიის ასაგებათ მიეცა 20.000 მანეთი. დანარჩენ უბნებს 30.000 მანეთი.

თათბირმა მიმართა სალიანდაგო სამსახურს დაჩქარებით შეუდგეს პროექტების დამუშავებას შენობების ასაგებათ.

აღმშენებელთა შრომის ბაზრის მოწესრიგება

აღმშენებელთა კავშირის ც. გამგეობის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა შრომის ბირჟასთან არსებულ აღმშენებელთა სექციის გაძლიერების გზით და ადგილზე სათანადო ორგანიზაციების მოწყობით მოაწესრიგოს საქართველოში აღმშენებელთა შრომის ბაზარი.

თბილისის საშუამავლო ბიუროსთან არსებულ სექციის გაძლიერებასთან ერთად საქართველოს სხვადასხვა უბნებში მოეწყობა საშუამავლო ბიუროები. კავშირის ც. გამგეობის განზრახული აქვს ასეთი ბიუროები მოაწყოს ქ. ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში და ჭიათურაში; ხოლო საკორესპონდენტო პუნქტები დაარსდება სიღნაღში, ახალციხეში და ხაშურში. აღნიშნული მუშაობის ჩასატარებლად გადადებულია 4.050 მანეთი.

საიდან მოდიან უმუშევრები

ქალ. თბილისში 2.345 უმუშევრიდან მათი ჩამოსვლის შესახებ ცნობა მიღებულია 2.298 კაცისაგან. აქედან ქალ. თბილისში უმუშევრად დარჩენილია 1728, თბილისის მაზრის რაიონებიდან ჩამოსულია 57 კაცი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან 310, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან—203.

პროფმუშაობის ქრონიკა

— **აღმშენებელთა კავშირის 1-ლი საუბნო კომიტეტის მოწყობა.** აღმშენებელთა კავშირის ც. გამგეობამ გადასწყვიტა ამ ახლო მომავალში ჩაატაროს თბილისის 1-ლი საუბნო კომიტეტის ლიკვიდაცია, რადგან აღნიშნული საუბნო კომიტეტი იძლევა დეფიციტს.

— **დურგლების კავშირში.** აღმშენებელთა კავშირის ც. გამგეობის პრეზიდიუმმა დაადგინა შრომის ნად „ელდენი“-ში მომუშავე დურგლები ჩარიცხულ იქნან კავშირის წევრებად.

— **4—5 ათასი მანეთი.** აღმშენებელთა კავშირის ც. გამგეობის პრეზიდიუმმა კავშირის ცენტრ. კომიტეტის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა უმუშევართა ფონდის გასაძლიერებლად მიეცეს 4—5 ათას მანეთამდე.

— **რადიო-მიმღები აპარატები.** ფეიქართა კავშირის ც. გამგეობამ მოსკოვში შეუკვეთა 5 რადიო-მიმღები აპარატი პროვინციის ფაბკომებისათვის.

— **ფეიქართა კავშირის ც. გამგეობამ** აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის დირექტორის თანამდებობაზე წამოაყენა მუშა ბაზღაძე,—რომელიც დამტკიცებულია უკვე ამ თანამდებობაზე და შეუდგა მოვალეობის ასრულებას.

— **კონფერენციაზე მივლინება.** ფეიქართა კავშირის ც. გამგეობამ მოსკოვში საფეიქრო მრეწველობის ინჟინერთა საკავშირო კონფერენციაზე მიავლინა ინჟინერ-ტეხნიკურ სექციის თავმჯდომარე ამხ. გ. ფხალაძე.

— **დასასვენებელ სახლებში.** ფეიქართა ც. გამგეობამ გადასწყვიტა შეიძინოს ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან 44 ადგილი წაღვერისა და ბორჯომის დასასვენებელ სახლებში.

— **მუშაობის პირობების გამოკვლევა.** ხაშურის საუბნო კომიტეტი შეუდგა მუშა ქალთა მუშაობის პირობების გამოკვლევას მთელს უბანში.

მუშათა გამოგონება

ა.-კ. სახკომსაბჭოს სახლის აგების სამუშაოზე, რუსთაველის გამზირი № 36, დადგმულია სრულიად ახალი კონსტრუქციის ელექტრონის ტვირთ-ასაწევი მანქანა (ლებიოდკა), რომლით სარგებლობაც საამშენებლო სამუშაოებზე უნდა ჩაითვალოს უკანასკნელის მეხანიზაციის ერთ-ერთ თვალსაჩინო მიღწევად.

ამ მანქანით, რომელ სიმაღლეზედაც კი იქნება საჭირო, შეიძლება ატანილ იქნეს ტიხობი, აგური და სხვა საამშენებლო მასალა. ყველა საამშენებლო სამუშაოებზე ამ მუშაობას ასრულებენ შავი მუშები, რომელნიც მძიმე ტვირთით ზურგზე იძულებული არიან რეიკა დაკრულ ფიცრებზე ტვირთი აიტანონ მეოთხე, მეხუთე და უფრო მაღალ სართულებზე.

მეხანიკური ტვირთ-ასაწევი მანქანა კი ამ უმადური შრომას თვითონ ეწევა და აღარავითარ საშიშროებას ის არავისათვის არ წარმოადგენს.

მანქანაზე მუშაობს მხოლოდ ერთი მუშა-მემანქანე. მანქანას შეუძლია 8 საათის განმავლობაში აიტანოს 6.000 ფუთი ტვირთი.

ამ, ახალი კონსტრუქციის ტვირთ-ასაწევი მანქანის ავტორი არის ამხ. ნ. იორამაშვილი, ამჟამად კი საამშენებლო საზოგადოება „საშენი“-ს გამგეობის თავმჯდომარე.

ამხ. ნ. იორამაშვილმა ამ ორი თვის წინეთ გამოიგონა აგრეთვე ქვიშას და ხრეშას მექანიკური სარეცხი მანქანა.

თავის გამოგონების შესახებ ამხ. ნ. იორამაშვილმა გაგზავნა სათანადო განცხადება ლენინგრადში, გამოგონებათა ბიუროში პატენტის მისაღებათ, საიდანაც უკვე მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი და ამ ცოტა ხანში ეს მანქანაც დაიწყებს უკვე მუშაობას.

აქამდის ქვიშის და ხრეშის გარეცხვას აწარმოებდენ მუშები. ასეთი გარეცხვა ვერ აღწევს მიზანს, რადგანაც, მაგალითად, ტიხობის სამუშაოსათვის საჭიროა განსაკუთრებით წმინდა გარეცხილი ქვიშა და ხრეში, სრულიად განთავისუფლებულნი მიწის და ლამისაგან, რისი მიღწევაც შეიძლება მხოლოდ ამხ. ნ. იორამაშვილის მიერ გამოგონებული მექანიკური სარეცხი მანქანის საშუალებით.

როგორც ტვირთ-ასაწევ მანქანას, აგრეთვე ქვიშის და ხრეშის სარეცხ მანქანას კიდევ ბევრი უპირატესობები აქვთ, რომელნიც საშუალებას მოგვცემენ სამუშაოების ფართო მასშტაბით წარმოებისას, მათი გაიაფებისას, უფრო სწრაფი შესრულებისას და ყველა ტეხნიკურ მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელ საამშენებლო მასალის დამზადებისას, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით შემდეგში, როდესაც ეს მანქანები თავისი მუშაობით სინამდვილეში რეალურად დაამტკიცებენ თავის სარგებლიანობას და სავსებით გაამართლებენ თავის დანიშნულებას.

ელი.

კვირაში შვიდი დღეა, მაგრამ რომ არ გვყოფნის?!

(ლეჩხუმიდან)

ამ ბოლო ხანებში ისე მოუხშირეს სხდომებს, რომ ვერ გარკვეულხარ კაცი, რომელს უნდა დაესწრო. ერთ მშვენიერ დღეს ასეთი სურათის შემყურე ვიყავი: შემოდის დარაჯი და პასუხისმგებელ ამხანაგთან შემოაქვს უწყება, „დღეს საღამოს 5 საათზე მობრძანდით აღმასკომში, სხდომაზე“. უწყებას ხელი მოაწერეს და დარაჯიც წავიდა.

— გთხოვთ ხელი მოაწეროთ! დღეს 5 საათზე დამზღვევ სალაროში პენსიონერების გადამსინჯავი კომისიის სხდომაა და პროფბიუროს დარაჯმა ჩემბერლენის ნოტის სიგრძე ქაღალდი უჩვენა.

რა ჯანია უნდა მოაწერო ხელი.

— საფინგანში საბიუჯეტო კომისიის სხდომაა და თქვენი დასწრება აუცილებელია, ამბობს მესამე და დარაჯი, თანაც უწყებაზე ხელის მოწერას სთხოვს. დაფიქრებული ამხანაგი მესამე უწყებასაც აწერს ხელს და თანაც გუნებაში (ალბად) ფიქრობს, რომელ სხდომაზე წავიდეს? სამათ ხომ ვერ გაიჭრება.

— განათლების მუშაკთა კავშირის სამაზრო გამგეობის სხდომაა დღეს სრულ ექვს საათზე და თქვენი დასწრება აუცილებელია,—ამბობს დარაჯი.

ბიჭოს, ერთ დღეს, ერთ და იმავე დროს 4 სხდომაა.

რომ მართლაც არ მოსწყდეს ესა თუ ის ამხანაგი თავი პირდაპირ სამუშაოს, საჭიროა სხდომების შემცირება. ეს ერთი. მეორე, ის, რომ ერთ ამხანაგს არ უნდა დავაწვეთ ყველა წვრილმანის გასაკეთებლად, არამედ უნდა წამოვსწიოთ, ახალი აქტივი.

აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს დავალებათა შესრულებას-შემოწმებას. სხდომები უნდა შევამციროთ და მის ნაცვლად მეტი დრო მოვანდომოთ პრაქტიკულ მუშაობას. ვარამი.

დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების მოსპობა

თელავის, ოზურგეთის და ლეჩხუმის დაზღვეულებს მოუსპეს სამკურნალო დახმარება, [illegible] სადმი დავალიანების გამო.

დაზღვეულებმა და მათ ოჯახის წევრთ, რომ ავადმყოფობის დროს ვერ მიიღონ სამკურნალო დახმარება, ეს გარემოება სრულიად მნიშვნელობას დაუკარგავს სოციალურ დაზღვევას. ეს საქმე-კი ეხება ჯანმრთელობის განყოფილებებს.

ამჟამად თბილისში იმყოფებიან თელავის და ოზურგეთის დამზ. კასების თავმჯდომარეები, რომელთაც მიჰმართეს სათანადო ორგანოთ დაზღვეულთა მკურნალობის ე. ი. წამლების განახლების შესახებ.

ეს საკითხი, უნდა სასწრაფოთ მოგვარდეს, ვინაიდან დაზღვეულ ავადმყოფს, რომ მკურნალობა მოესპოს და წამლები არ მიეცეს, ეს იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას დაზღვეულთა შორის.

ვინ.

გამოხმაურება

„კომუნისტი“-ს № 78 მოთავსებულ სათაურით „შინაყმობის მოყვარული“-ს შესახებ აღმასკომის ადმ. განყოფილებამ გვაცნობა, რომ ამ საქმის გამო მომხდარი კვლევა-ძიება განკარგულებისათვის წარედგინა ადმ. საქ. პროკურორის თანაშემწეს.

— **მატარებელი გადარჩა.** სადგ. ველიდან ნავთლუღისკენ გამოვიდა საგზო მატარებელი № 314. ველისა და ნავთლუღს შუა მემანქანის თანაშემწემ ვართანოვმა ლიანდაგზე შენიშნა ვაგონეტკის — ღერძი. ვინაიდან აღმართში 75.000 ფუთიან მატარებლის ერთბაშად გაჩერება სახიფათო იყო, ვართანოვი ჩამოხტა ორთქლმავლიდან, გაეშურა და ხელით გადააგდო ღერძი. მემანქანეებმაც მიიღო ზომები და მატარებელი ფრთხილად გააჩერა. მიუხედავათ სიფრთხილისა, მაინც გადავარდა ერთი რონოდა. ადვილად წარმოსადგენია რა იქნებოდა მატარებელი, რომ ერთბაშათ გაეჩერებიათ. ამხ. ვართანოვის გაბედულმა საქციელმა იხსნა მატარებელი დამსხვრევისაგან.

მუშკორი—შავსოფლელი.

საყურადღებო წვრილმანი

— ჩვენი კოოპერატიული უჯრედი წარსულ წლის ოქტომბერში, ამიერ - კავკასიის რკინისგზების სატყეო განყოფილების მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ არჩეულმა ზაკტპოს კოოპერატიულმა უჯრედმა კოოპერატივის წევრების ხელახალი რეგისტრაცია ჩაატარა. ახლად ჩაეწერენ წევრებად 26 კაცი, ამათგან 12 ქალი.

მთელ შემადგენლობის მუშაობაში ჩაბმას და კოოპერატიულ უჯრედის უფრო ძლიერი ტემპით მუშაობას ხელს უშლიდა შტატების შემცირება, მაგრამ მასის შეგნებული მოპყრობის მეოხებით განყოფილების მოსამსახურეთა 97 პროც. ზაკტპოს წევრებია. წევრები ღებულობენ მოკლევადიან კრედიტს, მაგრამ გრძელვადიან კრედიტის საკითხი, რაღაც მიზეზების გამო, ზაკტპოს და რკინისგზების გამგეობათა შორის დღემდე მოუგვარებელია.

მუშა იჟაური

— **რას მივაწეროთ?** ორთაჭალაში, ტყავ-ტრესტის წარმოებას აქვს საქარხნო სასადილო, რომელიც იჯარით აქვს აღებული ოთხი კაცისაგან შემდგარ კოლექტივს. საშუალო რიცხვი მოსადილეთა 200-მდეა დღეში. წინად უფრო მეტი იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს მუშები თავს ანებებენ სასადილოს. სასადილო არც შუშის და არც წყლის ქირას არ იხდის. პატენტს და გადასახადებს ტყავ-ტრესტი ისტუმრებს. სადილი კი მიუხედავათ ამისა უპუროდ ღირს 40 კაპ. ასეთ ფასებში კერძო ვაჭრებთანაც არის სადილი. არსენალის და რკინის გზის ასეთი სასადილოები ყველა ზემოთაღნიშნულ ხარჯებსაც ფარავენ და უკეთეს კერძსაც 25 კაპ. ჰყიდიან. საჭიროა ტყავ-ტრესტის ადმინისტრაციამ, ფაბრკომმა და ქარხკომმა მიაქციონ ამას სათანადო ყურადღება, გამოჰყონ კომისია, რომელიც გამოარკვევს ამ სასადილოს ნამდვილ მდგომარეობას.

ნაპერწკალი.

— **რატომ არ დაამთავრეს?** ლენინის უბანში ბრიგადირის ქუჩაზე 1923 წელს დაიწყეს ამ ქუჩის ნაწილობრივი შეკეთება, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო, რამოდენიმე თვეა, რაც მუშაობა შეაჩერეს.

დაგებული ქვაფენილები ინგრევა და მეორეთ შესაკეთებელი ხდება, რითაც აღმასკომი ზარალობს.

რატომ არ დაამთავრეს ამ ქუჩის შეკეთება?

პეტრე ხარაძე.

გამოვიდა : იყიდება
ჟურნალი
„სოფლის კომუნისტი“
№ 5

შინაარსი:
1. დ. გვაზავა—საბჭოების მეოთხე საკავშირო ყრილობა მრეწველობის შესახებ.
2. შალ. პაპავა—ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.
3. დ. ორაგველიძე—აგიტაცია-პროპაგანდა სოფლად.
4. გ. ლეშკაშელი—სარევიზიო კომისიები და სათემო ბიუჯეტი.
5. ვ. მაჭავარიანი—კომკავშირის მეორე კონფერენციის შედეგები.
6. აგრ. ი. ქურდიანი—ტეხნიკურ მცენარეთა კულტურა საქართველ.

საერთაშორისო მიმოხილვა:
1. ალ. პაპავა—საერთაშორისო მდგომარეობის საკითხი.

ადგილობრივი ცხოვრება:
1. ს. ლომიძე—სოფლის კომუნისტის ყოფა-ცხოვრების საკითხები.
2. ვ. ხატიაშვილი—უჯრედების ბიუროების გადარჩევა სიღნაღის მაზრაში.
3. ნ. ენუქიძე—სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნები.
4. მ. ბრეგვაძე—საბჭოთა არჩევნების შედეგები შორაპნის მაზრაში.
5. პარ. ფრუიძე—არჩევნები ლეჩხუმის მაზრაში.

ბიბლიოგრაფია:
1. ა. ი.—ნ. ბუხარინი. ჩინეთის რევოლიუციის პრობლემები.
2. დ. გ—ძე.—ფ. მახარაძე. ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების გზები
3. ლ. ო.—სამხედრო ბიბლიოთეკა.
4. ა.—ე.—ა. მიტროპოლევსკი. რისთვის ესაჭიროება მუშებსა და გლეხებს ავიაცია და ქიმია.

ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერთ და
გაიყიდება ყველგან
ნ. 1258

კვირას, 29 მაისს, ახალ მუშათა კლუბის შენობაში შესდგება
საღამო ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის
არსებობის 5-წ. თავის აღსანიშნავად
საღამოს პროგრამა:
1 ამხ. მილეინის მოხსენება: „ჩვენი სექცია 5 წლის განმავლობაში.
2 მბეჭდავთა კავშირის ლურჯხალათიანების წრის—„ვინტიკ“-ის გამოსვლა ახალი პროგრამით.
3. ამხ. მიხ. დანილოვის ლიტერატურული გამოსვლა და სხვ.
საკონცერტო განყოფილებაში დაუკრავს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის სიმებიანი ორკესტრი.
დასაწყისი საღამოს 7 საათზე 2—1

ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა შორის მომუშავე ც. ბ.
სამშაბათს, 31 მაისს, საღ. 5 საათზე, მუშათა სასახლის მცირე დარბაზში
იწვევს
ყოფ. ახ. მარქსისტთა თბილისის აქტივის
გაფართოებულ თათბირს
დღის წესრიგი:
1. პოლიტიკური მოხსენება, 2. ც. ბ. მუშაობის ანგარიში, 3. მიმდინარე საკითხები.
ცენტრალური ბიურო

პატარა ფელეტონი

ბებერი დათვი და წყარო

მთაში, კლდიდან ჩუხჩუხითა
მოიმღერდა წყარო ცივი,
კლდეს აჭკროდა მწვერვალამდის,
მარგალიტის თითქოს მძივი.
იქვე ახლოს, დათვს ბანჯგვლიანს
მოენახა მყუდრო ბინა,
და ის წყარო არსებობის
ულევ წყაროდ გაეჩინა.
საკვებისთვის იმ დათვს წასვლა
თითქმის არსად სჭირდებოდა,
ცივ წყაროსთან განსაზღვრულ დროს
ბუჩქნარებში მიჯდებოდა,
იცოდა, რომ წყლის სასმელად
მოვიდოდა რამ ნადირი,
თათს დაჰკრავდა და იმ ნადირს
იგემებდა დათვის პირი.
დიდხანს იყო ასე იგი
სეირნობდა, სვამდა, ჭამდა,
თავის მშუნაგ მუცლის გარდა
ქვეყანაზე არა სწამდა.
მაგრამ დათვსაც გაუვიდა
ცხოვრების და ყოფნის ვადა,
ის მოხუცდა, დაუძლურდა,
ვერ გავიდა „საძოვრადა".
და საკვები შემოაკლდა,
რადგან თათებს აკლდა ძალა,
სიმშილისგან იმ ბანჯგვლიანს
ზრაქათი გაეცალა.
რა გამწარდა ის ამ ყოფით
მიზეზების იწყო ძებნა,
ველარ მიხვდა, რომ მოხუცდა
და წყაროსთან ჩხუბი შექნა.
უთხრა: „პირი გამშრალი მაქვს,
წელს მიეკრა მთლად მუცელი.
კმარა, რაც შენ თავხედობას
მე ამდენ ხანს გაუძელი.
ამ ყოფაში რომ ჩავარდი,
მხოლოდ შენი არის ბრალი,
ხმაურით და ღრიანცელით
რათ ვარდება შენი წყალი?!.
არ იცი, რომ ნადირს აფრთხობ
დაუდეგარ ხმაურობით?
ალბად განზრახ თუ სჩადიხარ
ამ საქციელს ჩემთან მტრობით!
დღეს ჩვენს შორის უსათუოდ
სისხლი უნდა დაიღვაროს".
სთქვა და ქვები დაუშინა
უგუნურმა დათვმა წყაროს.
გაექანა, დაეტაკა,
ბრაზიანად თათი დასცხო,
კლდეს წააწყდა, წყაროსთან
ვერაფერი ვერ გააწყო.
ბრაზი უფრო მოეკიდა,
კლდისკენ თავით გაექანა,
და დაეცა, სამუდამოდ
მიატოვა ეს ქვეყანა.
ეს ამბავი უცაბედად
მელა-კუდამ დაინახა,
მიცუნცულდა მკვდარ დათვთან და
გესლიანად მიაძახა:
ვაშა, ვაშა ბანჯგვლიანო!
ბარაქალა შენს გონებას.
უძლურ თათით შეეცადე
დათვო წყაროს დამონებას?!.
შენ რომ წახდი, დაუძლურდი
წყაროს დასდე მასში ბრალი?
ასი არის, რაც მოგივა
ჰა, დაგიდგა კიდეც თვალი.

* * *

ამ ბოლო დროს მივანებე
არაკების წერას თავი,
მაგრამ რაღაც თავის თავად
გამახსენდა ეს ამბავი.
არ იკითხავთ რაზე, როგორ?
დეპეშები წავიკითხე,
და ვნახე, რომ ინგლისელებს..
ავარდნიათ თავში სიცხე.
(რა თქმა უნდა სახეში მყავს
არა მუშა ინგლისელი.
ჯონსონს „ვაქებ" ბოლდუინებს,
ძაღლებია ყველა ძველი.)
მე ვხედავ და ისე ვატყობ,
რომ მართლდება აქ ანდაზა,
„შემოდგომამ ეს ბუზები
მეტის-მეტად გააბრაზა".
მოგვისიეს ჩან-ძო-ლინი
პეკინში და შანხაიში,
შეისყიდეს და აყეფეს
თვის გემოზე ჩან-კაი-ში,
ლონდონშიაც „მიაკითხეს"
ჩვენ სავაჭრო ფირმას „არკოსს",
ერთი სიტყვით, ისე რაღა..
დაეძებენ კბილის სარგოს.
ბრაზობენ და დორბლებს შჭრიან,
მერე რატომ? მერე რისთვის?
სურთ კეთილი, ამ ყრუ ბებრებს,
კეთილი სურთ ინგლისისთვის.
ინგლისის კი, ბერი დათვი,—
დაუძლურდა და მოხუცდა,
გაჰქრა უკვე ის დროება,
როს სახელი მისი ჰქუხდა.
ეხლა:—„ძირსო ბრიტანეთის
სამეფო და იმპერია",
ინდოეთში, ჩინეთშიაც
და სხვაგანაც იმღერიან.
ბებერ დათვს კი ჰგონია, რომ
ის რომ კვდება, ის რომ წახდა—
თითქოს ჩვენი ბრალი არის,
თითქოს ასე ჩვენგან გახდა.
და უკბილოდ იღრინება,
და ულონოდ აქნევს თათებს,
სანამ, სანამ... ვინმე ყბაში
არ ასდებს და არ უთაქებს.
შო და, როცა წავიკითხე,
ბოლდუინის განცხადება,
გამახსენდა ბერი დათვის
მთის წყაროსთან დატაკება.
ბოლდუინის ოინები
ვერ შეუწყვეტს დენას წყაროს.
მე ვისურვებ, რომ ამ წყარომ
ის კვლავაც მეტად გააცხაროს.
კვლავაც ვისურვებ: დაეტაკოს
ის დათვსავით შუბლით კლდეზე,
უარი სთქვას თავის ჯაგლაგ
უდღე-ღამო სიცოცხლეზე.

ხოზიკა.

ნავთის გადასაქაჩავი ქარხანა ტუაპსეში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა გროზნოს ნავთის სამმართველოს ნავთის და გაზების გადამმუშავებელ ახალი ქარხნების საამშენებლო კომიტეტის დირექტორი ინჟ. **აკერმანი.**

ინჟენერ აკერმანის ხელმძღვანელობით ამჟამად ტუაპსეში შენდება უდიდესი ნავთის გადასაქაჩავი ქარხანა; ქარხანა წლიურად გადაამუშავებს ას მილიონ ფუთ ნავთის პროდუქტებს.

ამ ქარხნის აგება დაიწყება მიმდინარე წლის პირველი მაისიდან და დამთავრებული იქნება 1928 წლის პირველ ოქტომბერს. ქარხნის აგება დაჯდება 25 მილიონი მანეთი.

ამავე დროს შენდება მძლავრი ნავთსადენი გროზნოსა და ტუაპსეს შორის, რომელიც დაჯდება 30 მილიონი მან.

ინჟენერი აკერმანი დიდი ხანი არ არის, რაც დაბრუნდა ამერიკიდან, სადაც მან შვიდი თვე გაატარა ამერიკის ახალი კონსტრუქციის ნავთის გადასაქაჩავ ქარხნების მუშაობის გასაცნობად. ტუაპსეს ქარხანა შენდება ამერიკის ახალი ტიპის ქარხნების მიხედვით.

ინჟენერ აკერმანის ჩამოსვლის მიზანია შეიძინოს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსაგან სხვადასხვა მანქანები და საქაჩავები, რომლებიც ჩამოტანილი იყო ამიერ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ინჟენერმა აკერმანმა განაცხადა, რომ ტუაპსეს ქარხნის ძირითადი მოწყობილობა ხუთი მილიონი მანეთის ღირებულებით განზრახული იყო შეკვეთა ინგლისურ ფირმა „ვიკერს"-ისათვის, მაგრამ ეხლა ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტის გამო, ეს შეკვეთა გადატანილი იქნება გერმანიაში ან ამერიკაში.

ნაოსნობა რიონზე

ა.-წ. მაისის 25 ამხ. ს. **ჯუღელის** თავმჯდომარეობით შესდგა სპეციალური კომისიის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ნავთსადგურების სამმართველოს უფროსის ამხ. **სპრინჭველის** მოხსენება მდინარე რიონზე ნაოსნობის აღდგენისა და ამ საქმისათვის სააქციო საზოგადოების მოწყობის შესახებ. კომისიამ საჭიროდ სცნო საზოგადოების მოწყობა ს. მ. უ. საბჭოს სატყეო ტრესტის, ფოთის, სენაკის და ქუთაისის აღმასკომების და „ცენტრომდინარის" შემადგენლობით. სასურველად იქნა აღიარებული საზოგადოების წევრად „სოვტორგფლოტი"-ს მიღება. კომისიამ საჭიროდ სცნო ეთხოვოს ა.-კავკასიის სახკომსაბჭოს მისცეს ნება საზ. „ტრანსპორტს", „ზაკავტოპრომტორგს" და „კასპარს" გახდენ ხსენებულ საზოგადოების წევრებად. საზოგადოებას ძირითად თანხათ ექნება არა ნაკლებ 200.000 მანეთისა.

კოოპერატიული გამოფენა

მიმდინარე წლის აგვისტოში სტოკჰოლმში (შვეცია) მოწვეულია საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის მორიგი ყრილობა. ყრილობასთან ერთად იქვე ეწყობა საერთაშორისო კოოპერატიული გამოფენა.

ამ გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებათ ცეკავშირმა დაამზადა სპეციალური დიაგრამები.

გარდა ამ დიაგრამებისა, გამოფენისათვის გაგზავნილია ცეკავშირის ყველა გამოცემები, დაწყებული 1917 წლიდან უკანასკნელ დრომდე.

გამოფენაზე გაგზავნილია ამასთანავე ცეკავშირის ათი წლის საიუბილეო კრებული, შედგენილი ფრანგულ ენაზე.

კრებულში მოთავსებულია ამხ. მ. ტოროშელიძის, ა. ერქომაიშვილის, შ. გოგიბაშვილის, რთა და კანდიდატებს შორის და ამაენმიხაენ კახელაძის და სხვების წერილები.

ცაკის პრეზიდიუმში

შუამდგომლობის დატოვება უშედეგოთ

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა უშედეგოთ დასტოვა თელავის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა კახეთის რკინისგზის სადგურ „შრომა"-ს სახელწოდების შეცვლის შესახებ „კალაურ"-ად.

წარმომადგენლების გამოყოფა

ამიერ-კავკასიის ცაკის მომართვის თანახმად, საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა საქართველოს წარმომადგენლებად ჩეჩნეთისა და საქართველოს შორის საზღვრების გამმიჯნავ კომისიაში დანიშნა **ვასილ ნესტორის ძე ბარბაქაძე** და **ალექსი გიორგის ძე ჯარიაშვილი** (დუშეთის სამაზრო აღმასკომი).

ა.-კ. ვაჭ. სახკომისარიატი

ახლახან დასრულდა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მოწყობა, რომელშიაც ერთიანდება საგარეო და საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების ფუნქციები. ამიერ კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი გადავიდა ახალ ბინაზე—კეცხოველის ქუჩა (ყოფილ ლორის-მელიქოვის) № 5, სადაც მოთავსებულია ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო ბანკი.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ძირითად განყოფილებებს წარმოადგენენ: სამრეწველო-სასაქონლო, სანედლეულო-სასაქონლო, საექსპორტო-საიმპორტო, სტატისტიკურ-ეკონომიური და იურიდიულ-უფლებრივი განყოფილებები. თვითეული ამ განყოფილების მუშაობის ხასიათი სჩანს მათივე სახელწოდებიდან. ისინი შეიცავენ ამიერ-კავკასიის საგარეო და საშინაო ვაჭრობის ყველა მხარეებს; სამრეწველო ნედლეულის დამზადებას მის გასაზიდათ როგორც უცხოეთში, ისე საბჭოთა ბაზრებზე, კონტროლს საქონლის ფასებსა და ღირსებაზე (მაგალ., ბრძოლა ფალსიფიკაციასთან) და სხვა.

გარდა ამისა ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შექმნილია სპეციალური სასტანდარტიზაციო და სამაცივარო განყოფილებები.

შვებულებები

პრაქტიკანტ-სტუდენტებს

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, სახელმწიფო და კერძო სამსახურში მყოფ სტუდენტ - აგრონომებს და სტუდენტ - ინჟენერებს საზაფხულო პრაქტიკულ სამუშაოს შესასრულებლათ ეძლევა შვებულება (მაის - ოქტომბრის პერიოდში) შვებულების ხანგრძლივობა 60 დღეს არ უნდა აღემატებოდეს. შვებულების დროს სტუდენტ - აგრონომებს და სტუდენტ - ინჟენერებს ენახება სამსახურის ადგილი უჯამაგიროთ.

შვებულების მისაღებათ სტუდენტმა წარმოება - დაწესებულებას უნდა წარუდგინონ მოწმობა სასწავლებლიდან, სადაც აღნიშნული იქნება მათი უფლება პრაქტიკულ სამუშაოს შესრულებაზე და მუშაობის ვადა. თუ პრაქტიკანტი სტუდენტი, შვებულების მიღების და მისი ვადის გასვლის შემდეგ არა საპატიო მიზეზის გამო არ გამოცხადდა სამსახურში, უკანასკნელს უფლება ეძლევა სამსახურიდან დაითხოვოს ასეთი სტუდენტი.

ეს დადგენილება ეხება სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სასოფლო - სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტებს, სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საინჟენერო დარგის სტუდენტებს.

ზაჰესი

ზაჰესზე მუშაობა დაიწყო მეორე ტურბინამ. ამგვარად ზაჰესიდან ენერგიის მიწოდება სწარმოებს სამი ტურბინით: პირველი, მესამე და მეორე ტურბინით. (დადგმის რიგის მიხედვით). ენერგიის ნაკლები საჭიროების გამო თბილისში (ზაჰესის ძალოვნებასთან შედარებით) დაგრეთვე ტურბინების ზედმიწევნით და ხანგრძლივი გამოცდის მიზნით, ენერგიის მიწოდება სწარმოებს ტურბინების შეცვლით (რიგ-რიგობით). ყველა ტურბინები მუშაობენ სრულიად უნაკლოდ. და თბილისის გასანათებელი ქსელი მისი მიდამოებითურთ ელდენს ღებულობს მთელი დღე ღამის განმავლობაში შეუჩერებლად.

6 ივნისს საქ. სახ. კომ. საბჭოს მოწვევით თბილისში ჩამოვა საექსპერტიზო კომისია „გეტ"-ისა და „მაშინსტროის" მიერ ზაჰესზე დადგმულ მანქანების და მოწყობილობის შესამოწმებლად.

კომისიის ნეიტრალურ წარმომადგენლად არჩეულია ელექტრო-ტეხნიკის ცნობილი სპეციალისტი პროფ. **სუშკინი.**

საქართველოს ცაკში

ნადების თანხები

საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების თაოსნობით მოწყობილ საქართველოს ინვალიდების ნადების ურთი-ერთ დახმარე სალაროში ჯერ-ჯერობით ჩაწერილია წევრებათ მარტო ათი ნადი. ამ ათ ნადს ამჟამად აქვს სალაროში ურთიერთ დახმარების საქმეზე მოსახმარათ 4.404 მანეთი და 44 კაპიკი.

პენსია ტასო აბაშიძეს

ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ დაადგინა: დამსახურებულ სახალხო არტისტს ტასო აბაშიძეს ამიერიდან პენსია მისცეს იმ განაკვეთით, რა განაკვეთითაც ეძლევათ ეხლა პენსია განათლების სახალხო კომისარიატიდან ცაკის განყოფილებაზე გადმორიცხული პირველი ჯგუფზე მიწერილ საზოგადო მოღვაწეებს.

ქ. თბილისის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი ცნობებით: 1926 წლის პირველ ოქტომბრიდან 1927 წლის პირველ მაისამდე ქალაქ თბილისის და მისი მაზრის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ ომის და შრომის ინვალიდებს, წითელ-არმიელების ოჯახებს და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს პენსიების სახით დაურიგა 22.753 მანეთი, ამ დროის განმავლობაში ერთდროული დახმარების სახით განყოფილებამ მისცა ინვალიდებს და ნივთიერათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს—9.266 მანეთი.

ინვალიდების ნადების გადასინჯვა და გადახალისება

ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებასთან არსებული ინვალიდთა ნადების (არტელების) საბჭომ საქართველოში დაიწყო ინვალიდების ნადების გადასინჯვა და გადახალისება ინვალიდებისათვის მთავრობის მიერ ახლად მიღებულ და დამტკიცებულ კოოპერატიული წესდების მიხედვით. ძველი წესდება, გამომუშავებული ინვალიდთა ნაიების მოსაწყობათ, უკვე გაუქმებულია.

ახალი ქარხნები

წალკის რაიონიდან დაბრუნდა საგანგებო კომისია, რომელიც გაგზავნილი იყო წალკაში რძის ნაწარმოებების გადამამუშავებელ ქარხნების აგების შესაძლებლობის გამოსარკვევად. კომისიაში შედიოდენ ინჟენერები ყორყოლიანი და აგრონომი ავქიანი. კომისიამ დაწვრილებით დაათვალიერა წალკის რაიონი და გამოიტანა დასკვნა, რომ წალკაში შესაძლებელია აშენდეს ორი ქარხანა: ყველის დამამზადებელი და კარაქის სახდელი. ყველის ქარხანა თვიურად დაამზადებს 3000 ფუთ შვეიცარულ ყველს. კარაქის ქარხანა 1.000 ფუთ კარაქს.

კომისიამ თავისი დასკვნა წარუდგინა თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას, რომელიც შეუდგება წინასწარ მუშაობას ქარხნების ასაგებათ.

თათბირი სამეურნეო საკითხებზე შორაპნის მაზრაში

აბრეშუმის ჭიის გამოკვება შორაპნის მაზრაში წელს განუწყვეტელ წვიმების გამო დაგვიანდა. მაზრაში დარიგებულია — 900 კოლოფამდე ჭიის თესლი, რაც გაცილებით ნაკლებია შარშანდელზე. თუთის პლანტაციების სიმცირეც უშლის ხელს ამ საქმეს. მიღებულია ზომები, რომ აგროპუნქტებთან სოფ. ბელაგორსა, ზესტაფონსა, საზანოში დაითესოს თუთის თესლი. შარშან დათესილი თუთის თესლი კარგად ამოვიდა და ერთი წლის ნერგები კარგ მდგომარეობაშია.

ჭიის გამოკვება, თუმცა დაგვიანდა, მაინც წარმატებით მიდის. ზესტაფონში გამართული იყო თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი სასოფლო - სამეურნეო საკითხების შესახებ. თათბირში მონაწილეობას იღებდა მიწსახკომის სასოფლო - სამეურნეო სამმართველოს უფროსი დ. გედევანიშვილი და მეაბრეშუმეობის ინსპექტორი ვ. ნიჟარაძე. გამოტანილი იყო მრავალი რეზოლიუცია სასოფლო სამეურნეო საკითხების შესახებ. ადგილობრივი ხელისუფლება დიდის ყურადღებით მოეკიდა ამ თათბირს. ჭირნახულის მოსავალს შორაპნის მაზრაში კარგი პირი უჩანს. განუწყვეტელმა წვიმამ ხელი შეუშალა ხვნას, რომელიც ჯერ ყველგან როდია გათავებული. ეხლა გამოდარების შემდეგ, ხვნა უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ შორაპნის მაზრის მოსახლეობაში გაიღვიძა ინტერესმა მეხილეობისადმი. ახალი ხეხილის სანერგე გაიმართა სოფ. საზანოში.

ქრონიკა

იტალიის კონსული ამხ. შალვა ელიავასთან

გუშინ 28 მაისს, დღის 12 საათზე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შალვა ელიავამ მიიღო იტალიის გენერალური კონსული თბილისში **ბიანკო მარიო.**

თანხების დაბრუნება

საშინაო კოოპერაციის კავშირის ცნობებით, საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ადგილობრივ საბჭოებს დაუბრუნოს ის თანხები, რომლებიც 1925 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე იქნა გადარიცხული ადგილობრივ საბჭოების მიერ საკავშირო კომუნალურ ბანკში,—კომუნალურ მეურნეობის და საბინაო მშენებლობის ფონდში.

აღნიშნული თანხები ადგილობრივ საბჭოებს დაუბრუნდება კომუნალურ ბანკის აქციების სახით.

წარმოება-ქარხნების აგების შესახებ

შრომის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა ახალი დადგენილება ფაბრიკა-ქარხნების აგების და მათი გადაკეთების წესის შესახებ. ამ დადგენილების ძალით, სამეურნეო-სამრეწველო ორგანიზაციები ვალდებული არიან წარმოებებისათვის ახალი შენობის აგების და მოწყობის გეგმები წარუდგინონ შრომის კომისარიატს და მხოლოდ კომისარიატის დასტურის შემდეგ დაიწყონ შენობების აგება. ასეთივე შეთანხმება უნდა მოხდეს არსებულ წარმოებათა საფუძვლიანად გადაკეთების დროს.

საგადასახადო მუშაკების თათბირი

ამ.-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ნება დართო ამ.-კავკასიის ფინსახკომს, მოიწვიოს მიმდინარე წლის ივნის-აგვისტოში ამიერ-კავკასიის საგადასახადო მუშაკების საოლქო თათბირი იმ ანგარიშით, რომ თათბირის მოსაწვევად საჭირო თანხები დაფარულ იქნეს ამ.-კავკასიის ფინსახკომის 1926-27 წლის ხარჯთაღრიცხვით გადადებულ კრედიტებიდან.

თბილისის აღმასკომში

◆ **ავეჯეულობის ქარხანა** აგებული იქნება დიდუბეში მაუდის ქარხნის მახლობლად.

◆ **წყალსადენი სოფლად.** ზემო-თიანეთში წყალსადენის გასაყვანად აღმასკომმა გადასდო 3.000 მანეთი.

◆ **ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან.** პოლიტგანს მაზრაში ამჟამად აქვს 156 წ.-კ. უცოდინარობის და 30 მცირე-მცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლა.

◆ **რადიო.** აღმასკომმა გადასწყვიტა მაზრის 10 უმთავრეს პუნქტში მოაწყოს მიმღები რადიო-სადგური.

◆ **ვენეროლოგთა საკავშირო ყრილობაზე** ლენინგრადში ჯანმრთელობის განყოფილებამ მიავლინა ექიმი მურადოვი.

სხვადასხვა

◆ **გამოფენა.** 30 მაისიდან 2 ივნისამდე საბავშო ბაღებში გაიხსნება ბავშვთა ნამუშევარის გამოფენა.

◆ **ღვინის ფასი.** წინანდალის რაიონში ვედრო ღვინო ღირს 3 მანეთი. შარშან შემოდგომაზე კი ღირდა 4-5 მან.

◆ **ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტის** ფიზიკურ კაბინეტთან გაიხსნა რადიო-ინსტრუქტორების კურსები.

◆ **სასკოლო აღწერა.** მომავალ სასწავლო წლიდან შეუდგებიან საყოველთაო სასკოლო აღწერას.

კრებები და მოხსენებები

◆ **სამშაბათს, 31 მაისს,** საღამოს 9 საათზე ჯანსახკომის სანგანათლების თეატრის დარბაზში (ევანგულოვის ქ., № 12), მოწვეულია ქალ. თბილისის აფთიაქებში მომუშავეთა საერთო კრება. დღის წესრიგში: 1) მოხსენება ამხ. კ. ანდღულაძისა: „საკავშირო რესპუბლიკების სატარიფო თათბირის შედეგები", 2. მიმდინარე საკითხები.

◆ **ბიბლიოთეკართა კრება.** ორშაბათს, 30 მაისს, საღ. 7 ნახ. საათზე სკოლის გარეშე განათლების სახლში (ჯორჯაძის ქუჩა, № 4. მეორე სართ.), საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტი მართავს მორიგ საჯარო მოხსენებას, რომელზედაც ივ. ციციშვილი წაიკითხავს: „მოსკოვის ბიბლიოთეკები".

◆ **პოლიტკატორღელთა საერთო კრება.** დღეს დილის 10 საათზე საქართველოს პოლიტკატორღელთა საზოგადოების შენობაში შესდგება საზოგადოების წევრების საერთო კრება.

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის შემდეგი ახალი წიგნები: 1) **თედო ბეგიაშვილი**—ქართული სიტყვიერების ისტორია, ნაწ. მე-2, ავტორის წინასიტყვაობითა და შესავალით, წიგნი შეიცავს 232 გვ. ფასი 1 მან. 20 კაპ. 2) **სიმონ ხუნდაძე**—სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტომი 1-ლი, გვერდი 248, ფასი 2 მან. **სევ. თალაკვაძე**—ბრძოლის დიდ გზაზე, (ისტორიული კინო-რომანი) გვ. 248, ფასი 1 მ. 50 კ. **ბიბლიოთეკა: იორდანსკი** —ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები. გვ. 34, ფასი 20 კ., **ზარათოვი**—მომავალი ომები, გვ. 40, ფასი 25 კ. **ბალაგანოვი** როგორ ემზადება ინგლისი ომისათვის, გვ. 34. ფასი 20 კ., **გუს-ვიზიროვი**—როგორ ემზადება ომისათვის საფრანგეთი, გვ. 34, ფასი 20 კ.

ხელოვნება

სამხატვრო-სათეატრო ექსპერიმენტალური სტუდია

რუსთაველის თეატრში 25 მაისიდან დაიწყო მისაღები გამოცდები სამხატვრო სათეატრო ექსპერიმენტალურ სტუდია-სახელოსნოში. გამოცდებზე დაშვებული იყო 71 კაცი, ამათგან მიღებულ იქნა მხოლოდ შვიდი: ანდრონიკაშვილი კირა, მეუნარგია ნინო, ბეჟუაშვილი გიორგი, ბრეგვაძე გიორგი, დარისპანაშვილი გიორგი, გაგნიძე მიხეილ, მგელაძე მიხეილ ხელმეორე გამოცდებზე დაშვებულია ცხრა კაცი, განცხადების მიღება გრძელდება.

„ქართული მწერლობა"

გამოვიდა და იყიდება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თვიური ჟურნალი „ქართული მწერლობის" მორიგი 3-4 ნომერი. შინაარსი: **ოსვალდ შპენგლერ**—პოლიტიკის ფილოსოფია. (თარგმანი გერმანულიდან მოსე გოგიბერიძისა). **ა. ლუნაჩარსკი**—ისევ კლასიკების შესახებ. **მხატ. გ. იაკულოვი**—მხატვრული აზროვნების ბუნების შესახებ. (ხელნაწერიდან თარგმანი ს. შანშიაშვილის). **ქრისტეფორე რაჭველიშვილი**—პოეზიისათვის. **დამსახ. პროფ. ალ. ცაგარელი ჩემი იუბილე.** — ბალადა, თუ როგორ შეაკვდენ ერთი მეორეს ვეფხვი და ვაჟკაცი. **დ. გაჩეჩილაძე**—განთიადამდე. **ნ. ზომლეთელი**—საქართველო. **სიმ. ჩიქოვანი**—გაბაასება საკუთარ ლექსთან. **კ. ჭიჭინაძე**—საღამოები მთაში. **დია ჩიანელი**—ქუთაისი. **ალ. ქუთათელი**—ხონის ბირჟა. **სტ. კოხრეიძე**—უდაბურობა, **ს. წულუკიძე** — გამოუქვეყნებელი კერძო მიწერ - მოწერა და სხვა. ჟურნალი შეიცავს 144 გვერდს და ღირს 60 კაპ.

ქართველი მწერლების სურათები

რედაქციამ მიიღო ევგენი დვალის მიერ გამოცემული მე-12-ე საუკუნის ქართველი მწერლების: **შ. რუსთაველის, გ. ჩახრუხაძის, სარგის თმოგველის, იოვანე შავთელის** და **ყუთლუ არსლან ჯაყელის** ღია ბარათზე დაბეჭდილი სურათები.

◆ **ბეთხოვენის საღამო.** ორშაბათს, 30 მაისს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ბეთხოვენის საღამო სტუდენტთა მონაწილეობით.

— **დისპუტი—მეიერჰოლდის თეატრზე.** დღეს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება დიდი დისპუტი მეიერჰოლდის თეატრზე.

◆ **პლეხანოვის კლუბში** ორშაბათს, 30 მაისს გაიმართება საღამო. ს. ამაღლობელი წაიკითხავს მოხსენებას—„ჩვენი ლიტერატურული სინამდვილე". შემდეგ გაიმართება კონცერტი და წარმოდგენა.

— **პოეტმა რაჟდენ გვეტაძემ** დასწერა ორი ახალი პოემა: „ბარბალე ლია-მარ" და „პოეტი—ცაკის წევრი".

◆ **მოძრავი კინო.** თბ. აღმასკომის პოლიტგანმა მაზრაში გაგზავნა მოძრავი კინო.

◆ **„მეფე ლირი".** ქართული აკადემიური დრამა მომავალი საზონისათვის ზაფხულის განმავლობაში ამზადებს წარმოსადგენად „მეფე ლირს".

◆ **სომეხ მხატვარის შარბაბჩიანის** სურათების გამოფენა მოწყობილი „ჰაიარტუნში", დაიხურა.

◆ **ავლაბრის მუშათა კლუბში** დღეს გაიმართება საბავშვო კონცერტი.

— **საჯარო დისპუტი.** ორშაბათს, 30 მაისს, ხელოვნების სასახლეში გაიმართება საჯარო დისპუტი ჟურნ. „მემარცხენეობის" გამოსვლის გამო.

— **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** ორშაბათს 30 მაისს, საღამოს ექვს საათზე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" ბინაზე შესდგება კომკავშირელ მწერალთა მორიგი ლიტერატურული კრება. დღის წესრიგი: 1) ამხ. კალე ბობოხიძის მოხსენება: „კომკავშირელ მწერალთა პრაქტიკა და მისი მუშაობის პერსპექტივა". 2) ლიტერატურული მასალების განხილვა.

— **ოქტომბრის რევოლიუციის 10 წ.** თავისთვის იწერება რევოლიუციონური კანტატა, რომლის ტექსტს ამუშავებენ შ. დადიანი და ს. შანშიაშვილი.

— **ახალი პიესა.** ს. თალაკვაძემ დასწერა პიესა „ახალი ქლი". ხელოვნების განყოფილებამ ეს პიესა განიხილა და მოიწონა.

— **ახალი ოპერა.** ხელოვნების განყოფილებამ განსახილველად მიიღო ვ. დოლიძის ახალი ოპერა „ცისანა".

— **ქართული ხუროთ-მოძღვრება.** სამხატვრო აკადემიასთან განზრახულია ქართულ ხუროთმოძღვრების საზოგადოების დაარსება.

— **მეიერჰოლდის თეატრი.** დღეს გამოსათხოვარი წარმოდგენაა. იდგმება უკანასკნელად „რევიზორი".

— **აკადემიური დრამა.** გასულ სეზონის განმავლობაში ქართულმა აკადემიურმა დრამამ გამართა 107 წარმოდგენა.

— **თბ. მუშათა თეატრის** რუსული დრამა ამჟამად წარმოდგენებს მართავს ბათომში. ბათომის შემდეგ დასი მიწვეულია გაგრაში. მხოლოდ გაგრიდან თეატრი თბილისში ჩამოვა მომავალ სეზონის სამზადისის სამუშაოდ.

— **ქართული დრამა—მუშათა თეატრში.** უახლოეს მომავალში გამომუშავებული იქნება გეგმა მომავალ ქართულ დრამის სეზონისა მუშათა თეატრში. ხელმძღვანელად განზრახულია კ. მარჯანიშვილის მიწვევა.

სამხატვრო აკადემია და ახალი ყოფა

22 მაისს სამხატვრო აკადემიამ, თავისი არსებობის ხუთი წლის თავი ზეიმით გადაიხადა.

ამ დღეს გაიხსნა აკადემიის ნამუშევართა მრავალფეროვანი გამოფენა. საზოგადოებას საშუალება მიეცა გასცნობოდა აკადემიის მუშაობას და მის მომავალ მიზნებს.

ყველა გრძნობს, რომ მხატვრობის კულტურას ჩვენი ცხოვრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ არც საკვირველია ზეიმის დღეს დიდძალი ხალხის თავმოყრა აკადემიის ნამუშევრებით მორთულ დარბაზში.

გამოფენილ ნამუშევრებიდან ნათლად სჩანს, რომ აკადემიას დიდი მიზნები ჰქონია დასახული; როგორც ფერების წერის, ქანდაკების ხატვის (გრაფიკა) და ხუროთმოძღვრების. ამასთანავე აკადემიასთან პარალელურად დაარსებულია სპეციალური სახელოსნოები: სამულიორიო, ქვის სახელოსნო, სალიტოგრაფიო და საკერამიკო.

გამოფენილ ნამუშევრების შეფასება არ იქნება სამართლიანი, თუ, აკადემიის არსებობაში სამ მომენტს არ გაუწევთ ანგარიშს. პირველი: სამხატვრო აკადემია არის სრულიად ახალი ორგანიზაცია ქართული მხატვრობის ცხოვრებაში, მას არა აქვს წარსულის ტრადიცია, რაც ალბად ძალზე უძნელებს მას მუშაობას და შეცდომების აცილებას. მეორე: მატერიალური უსახსრობა—რის გამოც ბევრი კარგი სურვილები შეუსრულებელი რჩება. მესამე: საზოგადოების ერთგვარი გულგრილობა აკადემიის ცხოვრებისადმი.

ნამუშევრებით დაინტერესებულმა მნახველმა აკადემიის ასეთი მდგომარეობა არ უნდა დაივიწყოს. მაგრამ, ყოველივე პირობების და დაბრკოლებების იქით მაინც მთავარ კითხვად რჩება, როგორ ასრულებს აკადემია დასახულ მიზნებს, ოთხი მთავარი დარგით და სპეციალური სახელოსნოებით.

თუმცა ოთხივე დარგი სულ სხვადასხვა ხასიათის და მიმართულების არის, მაგრამ საბოლოო მიზანი ერთი აქვთ: მხატვრობის კულტურის განვითარება. როდესაც ამ განვითარებას, თუნდაც ხუთი წლის თავზე, ძალიან სუსტად ემჩნევა სიახლე, ბუნებრივია საზოგადოებრივი ეჭვი: იქნებ აკადემია „აკადემიურობას" ვერ გასცდეს და ის ორასი ახალგაზრდა აკადემიიდან რომ მოდის, ჩვენ სოციალურ ყოფასთან არ აღმოჩნდეს შეზრდილი. იბადება შიში „ზედმეტობის".

ახალი ცხოვრების ორგანიზაციის პერიოდში „ზედმეტობა" სიკვდილს უდრის, განსაკუთრებით მხატვარისათვის. ქურუმობის დრო წავიდა, თანადროულ ყოფისათვის საჭიროა ცხოვრებაში გამოსადეგ ოსტატების აღზრდა.

ხელოვნება, რომელიც ვერ შესძლებს აწმყოში განმტკიცებას, ვერას დროს ვერ განმტკიცდება. აწმყოში გამაგრება მოითხოვს, ცხოვრებასთან შეზრდას და არა განყენებას და აბსტრაქციებს.

ბევრი სპეციც - კი უკმაყოფილოა და დაკვირვებით კითხულობს თუ, რას ჰქვია „სიახლე".

მე მგონია პასუხი გამოარკვევს ჯერ ერთი თუ რას უძახით „აკადემიურობას" და მეორე თუ როგორი უნდა იყოს ახალი აკადემიის სიახლე. ამავე დროს ეს იქნება ზოგადი აზრი გამოფენილ სურათების შესახებ.

ცნობილია, რომ მხატვარი არის უმგრძნობესი ნერვი — მშობელი ხალხის და ამავე ხალხის სულიერ ცხოვრების გამომხატველი. ჩვენი სულიერი ცხოვრება კი, ბევრად დასცილდა გადასულ ეპოქის შეხედულებებს და გაგებებს.

რევოლიუციით შექმნილ ახალი სულიერი ცხოვრების გადმოსაცემად სრულიად მიუღებელი და გაუმართლებელია ძველი ეპოქის, განსაკუთრებით ევროპის მხატვრობის, გაცვეთილი და დაშლილი ფორმები, ათასჯერ გადაღებული კოლორიტი და ახალ ეპოქასთან შეუფერებელი სტილი.

მხატვრობის ისე გაგება, რომ ის არის „კეთილშობილი თამაში"—ჩვენს სინამდვილეში მიუღებელია. ცხადია თანამედროვე აკადემიამ ასეთი „თამაში" ახალი სტილით უნდა შესცვალოს.

თანამედროვეობის გაგებით, ახალი სტილი მხატვრობაში ნიშნავს გრძნობების და აზრის ჯანსაღ, მხნე და გახალისებულ ორგანიზაციულობას. ამ ორგანიზაციის კოლორიტად უნდა იქცეს ახალი ეპოქით ნაკარნახევი ყოფის რეალისტური ტრაქტოვკა.

ყოფას მაშინ იგრძნობს თანამედროვე მხატვარი, თუ დროზე გაიგებს რომ იშვა ახალი საზოგადოებრივობა და ის არის წევრი ამ საზოგადოების. ასეთ შემთხვევაში მისი მუშაობა განამტკიცებს ახალი კულტურის შემოქმედებას და შეჰქრება ახალი ყოფის არსებაში.

აქ არის [illegible].

სურათი უნდა გაკეთდეს ხალხისათვის. ასე შექმნილი მხატვრული ფაქტი - რამოდენიმედ ნიშნავს სოციალურ აქტს.

მაყურებელმა უნდა იგრძნოს თუ ძველის ნანგრევებიდან როგორ იქმნება ახალი საგნები და განწყობილებები. ეს იქნება ახალი ხელოვნება. საბოლოო მიზანია: მონუმენტალობა და მომავალი თაობის ფსიქიკის ორგანიზაცია.

შეიძლება აკადემიაში ჯერ-ჯერობით, ასეთი მოთხოვნილებებით შესვლა ნაადრევია, მაგრამ აუცილებელია აკადემიის მუშაობის გეზი აქეთკენ იქნეს მიმართული. ასეთი გეზი ნამუშევრებს არ ემჩნევა.

გამოფენებიდან სჩანს, რომ უსიცოცხლო თეორიულ სწავლიდან ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა აკადემია. საჭირო არის, უშუალო პრაქტიკას მიეცეს უპირატესობა. თანამედროვე სამხატვრო აკადემია უფრო თავისუფალ სამხატვრო სახელოსნოებს უნდა დაემსგავსოს. პრაქტიკულ მუშაობაში გამოჩნდება „თემა" და ფანტაზია, რომელიც მთავარი ძალაა მხატვრული შემოქმედებისათვის.

მხატვრული ოსტატობა, შეერთებული საზოგადოებრივ მიზნებთან, მოგვცემს ისეთ სურათს, რომელიც კარგათ იქნება დამუშავებული ტეხნიკურად (აზრი აკადემიური მუშაობისა) და აშენებული შეგნებული კონსტრუქციით.

შეგნებულ კონსტრუქციით მოცემულ სურათში, მოსჩანს შემომქმედი და არა ფოტოგრაფიულად მიღებულ რეალობის მღებავი.

ყოველივე ზემოთქმული როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოფენილ ნამუშევრებში არ სჩანს, —ან ძალიან მცირეთ მოსჩანს.

აკადემიის მხატვრულ ფაქტებიდან სჩანს, რომ იგი მიდის რეალისტური გზით. ეს კარგია. მაგრამ ასეთი განვითარება მიუღებელი იქნება. თუ თანამედროვე რეალისტ მხატვარს თან არ ახლავს ფორმალური კონსტრუქციის შეგნება. ამის გარეშე ნივთები ტილოზე ისე გაფანტული და უორგანიზაციო იქნება, როგორც ცხოვრებაში. ასეთ მხატვრულ ნაშრომს (სურათს) აზრი ეკარგება და ბევრად ჩამორჩება კარგათ გადაღებულ და შეფერადებულ ფოტოგრაფიას, იმავე მოტივით.

რაც ითქვა ეს არის საფუძველი ახალი კულტურის ნიადაგზე დაწყებულ მხატვრობისა და იმავე დროს მიზანი. ჩვენი სურვილია, აკადემიის წინსვლა ამ მიზნისაკენ მეტი დაჯერებით ხდებოდეს.

ზემოხსენებულ დარგების ნამუშევრები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათი დეტალური განხილვა საგაზეთო წერილს აღემატება. პერსონალური შეფასება კი შეუძლებელია, რადგან ავტორები უმეტეს შემთხვევაში არ სჩანან.

საერთოდ კი, ფერებითი წერის ფაკულტეტის მოწაფეებს ემჩნევა გადაჭარბებული გავლენა ხელმძღვანელი პროფესორების. ამიტომ ძნელია. საკუთარი ძირის მონახვა, ფერებისა და ფორმის შეგრძნობაზე ლაპარაკი.

დიდი მუყაითობით შესრულებულ ქანდაკებებს აკლია ფორმის ახალი გრძნობა.

რამდენად სუსტად არის წარმოდგენილი ხატვის დარგი, იმდენად დამაკმაყოფილებელია და ზოგჯერ მიღწევებსაც ააშკარავებს ხუროთ მოძღვრების დარგი.

წინანდელ გამოფენებთან შედარებით გაუმჯობესება ეტყობა საკერამიკო სახელოსნოს. ეს სრულიად ახალი დარგია და იმავე დროს მეტად მნიშვნელოვანი ქართული სინამდვილი-სჩანან.

მრავლად არის გამოფენილი კერამიკულ მრეწველობის განსავითარებლად ჩანასახი „ცდები". ზოგიერთი ცდა იძლევა დამთავრებულ და მხატვრულ კონსტრუქციით გამართულ უტილიტარულ ნივთს.

ნაკლები მზრუნველობა ეტყობა სალიტოგრაფიო მუშაობას.

სრულიად არა სჩანს დეკორატიული განყოფილება. აგრეთვე ჩვენი სინამდვილისათვის ზედმეტი არ იქნებოდა, რომ აკადემია შესაფერი ყურადღებით მოექცეს მოწაფეების ვარჯიშობას კარიკატურის და სატირის დარგში.

ბენო გორდეზიანი.

ელენე ახვლედიანის სურათების გამოფენა

1 ივნისიდან ქართველ მხატვართა საგამოფენო დარბაზში გაიხსნება პარიზიდან ახლად დაბრუნებული მხატვარი ქალის—**ელენე ახვლედიანის** სურათების გამოფენა. ელენე ახვლედიანმა სამ წელიწადზე მეტი დაჰყო უცხოეთში და ამ ხნის განმავლობაში მან შესძლო თანამედროვე პროგრესიული მხატვრობის კულტურის შეთვისება, რომლითაც აღნიშნულია მისი ახალი ნაშრომები. პირველად იგი თითქმის ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა იტალიაში, სადაც მან შეასრულა „ქართული პეიზაჟი". ამ სურათმა მიიპყრო თანამედროვე მხატვრობის ცნობილი თეორეტიკოსის—პოლსინიაკის ყურადღება, რომელმაც შეიძინა ის. პარიზში ელ. ახვლედიანი მუშაობდა დაახლოვებით 3 წ. განმავლობაში. აქ იგი უშუალოდ დაუახლოვდა იმ დიდ ლაბორატორიას, რომელსაც წარმოადგენს ეხლანდელი პარიზის მხატვრობა განსაკუთრებით თავისი მემარცხენე მიმდინარეობის სახით. აქ მან რამოდენიმეჯერ გამოფინა თავისი პროდუქცია.

ელენე ახვლედიანის ნამუშევრები გამოფენილ იყო ბელგიაშიც. იგი მიწვეული იყო ჰოლანდიაშიაც გამოფენის მოსაწყობათ, სადაც ვერ წავიდა საქართველოში გამომგზავრების გამო.

გამოფენაზე ნაჩვენები იქნება 90-მდე ნამუშევარი, რომელიც მას შეუსრულებია უცხოეთში ყოფნის დროს, მათ შორის ნახევარზე მეტა მოზრდილი ტილოებია.

აღსანიშნავია **ბორის რეინალის** შენიშვნა, რომ ელენე ახვლედიანი მემარცხენე მხატვრობის აკადემიის საუკეთესო მოწაფეა, რაც ავტორს ეს „ცოტა სამწუხაროდ" მიაჩნია.

ბ—ნ.

მეცნიერება და ტეხნიკა

კავკასიონის მკვლევარი

დუგლას ვილიამ ფრეშფილდი

(მისი საქ. გეოგრაფიული საზ-ბის საპატიო წევრათ არჩევის გამო)

კავკასიის მკვლევართა შორის **დუგლას ფრეშფილდს** დამსახურებული აქვს ღირსეულად მაღალი მთიანეთის საუკეთესო მკვლევარის სახელი. საზოგადოების ფართო წრეებში მას იცნობენ, როგორც გამოჩენილ ალპინისტს, მთამსვლელს, რომელმაც პირველად სძლია კავკასიონის ბუმბერაზთ—უმაღლეს მწვერვალებს—იალბუზის და მყინვარისას.

ასვლა იალბუზის და მყინვარის მწვერვალებზე, რომლებიც აზიდულნი არიან ზღვის დონიდან 5629—5043 მეტრამდე, წარმოადგენს ამ ცნობილ ალპინისტის მოგზაურის და მაღალი მთიანეთის მკვლევარის მოღვაწეობის მხოლოდ ერთ-ერთ უფრო თვალსაჩინო მომენტს. იგი არსებითად მკვლევარია განსაკუთრებული ქვეყნის: მაღალი მთიანეთის, მიუდგომელ მთათა მწვერვალების და კლდელრატოების, ყინვარებით და მუდმივი თოვლით მოცული სივრცეების, გაუვალ ხევების და საბედისწერო გადასვლებისა,—საზოგადოდ, დედამიწის ისეთი არესი, ისეთი ქვეყნის, სადაც მოგზაურობა და კვლევა-ძიება ყველას არ ძალუძს, რომლისთვის საჭიროა განსაკუთრებული ჩვევა და ამტანლობა, სპეციალური მომზადება მოგზაურობისათვის, დაკვირვებათათვის და კვლევა-ძიებისათვის,—სტიქიური სულიერი ძალა, რომელიც იტაცებს კაცს უცნობისაკენ, უძლეველისაკენ და მიუღწეველისაკენ, რომ უცნობი სცნოს, უძლეველი სძლიოს და მიუღწეველს მიაღწიოს.

დაახლოვებით ამ სამოცი წლის წინად, 1868 წელს, ახალგაზრდა—23 წლის—დუგლას ფრეშფილდი თავის ამხანაგებთან—ა. **მურთან** და **ტუკერთან** ერთად პირველად მიემგზავრება კავკასიისკენ. ევროპაში ამ დროს იწყებს განვითარებას ალპინიზმი. პირველად არსდება 1857 წელს ინგლისის ალპური კლუბი, ცოტა ხნის შემდეგ, 1862—1863 წელში, სწრაფად აგრეთვე ავსტრიაში, შვეიცარიაში და იტალიაში, შემდეგ 1869 წელს—გერმანიაში და 1874 წელს—საფრანგეთში. არსდება ამასთანავე ალპური კლუბების სპეციალური ჟურნალებიც. ალპინიზმით გატაცების ამ პირველ ხანაში კავკასიონი იზიდავს ინგლისელ მოგზაურებს და ალპინისტებს. დუგლას ფრეშფილდი თავისი ამხანაგებით 1868 წელს ახდენს ასვლებს იალბუზის აღმოსავლეთ მწვერვალზე და მყინვარ-წვერზე. თავის მოგზაურობათა აღწერილობას, როგორც კავკასიაში აგრეთვე სპარსეთში, მცირე აზიაში, პალესტინაში და ეგვიპტეში ის ცალკე წიგნად აქვეყნებს 1869 წელს. „ასვლა მყინვარზე და იალბუზე".

დუგლას ფრეშფილდის შემდეგი მოგზაურობანი კავკასიაში ხვდება ევროპაში ალპინიზმის და მოგზაურობათა გაღვივების ხანას—1880—1890 წ. კავკასიონის შესწავლის ისტორიაში ამ ხანას განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის. ბევრი სახელოვანი მკვლევარი მოგზაური და ალპინისტი, უმთავრესად კი ინგლისელები მიიჟღებიან კავკასიონის მაღალ მიუდგომელ მხარეს და ახდენენ დაკვირვებებს, კვლევა ძიებებს, როგორც მის ბუნებაზე, აგრეთვე ამ განდეგილ მხარის მეზობლად შეხიზნულ ხალხთა ყოფა-ცხოვრებაზე. ამავე ხანაში სწარმოებს რუსეთის ტოპოგრაფიულ განყოფილების დაუღალავ მუშაკთა გაცხოველებული საგეგმო მუშაობა კავკასიონის ყინულოვან უდაბნოსებურ მხარეში. კავკასიონის მკვლევართა რიგს ამკობენ აგრეთვე ცნობილი მეცნიერნი და მოგზაურნი: ჰ. ვულეი, კოკინ, ჰ. ჰოლდერ, კლ. დენტ, ვ. დონკინ, ჰ. ფოქს, მუმერი, კროფურდ, გროვ, ჰ. ვალკერ, ფ. გარდინერ, ჰ. ცურფლუ, უ. ალმერ, ბორის-დე-დეში, ვიტორიო სელლა, სოლი, ბონნეი, სომიერ, რომელთაგან ზოგნი იყვნენ ინგლისის ალპური კლუბის თავმჯდომარენი და ზოგნიც ინგლისის გეოგრაფიული საზოგადოების წევრნი. ზემოაღნიშნულ წელთა განმავლობაში დაძლეულ იყვნენ კავკასიონის თითქმის ყველა უმაღლესი მწვერვალები: იალბუზი, დიხტაუ, შხარა, კოშთან-ტაუ, ჯანღა, მყინვარი, ადიში, მიჟირგი, გესგოლა, თეთნულდი, გიმარა, უუბა, ადაი-ხოხი, და მრავალი სხვანი, რომელთა სიმაღლე 4000 მეტრს აღემატება.

დ. ფრეშფილდის იალბუზზე პირველი ასვლის რამდენიმე წლის შემდეგ, 1875 წ. კრაფურდ გროვი პირველად ადის იალბუზის დასავლეთ მწვერვალზე (5630 მ.) და ბეჭდავს თავის მოგზაურობას სათაურით —„ფროსტი კოკაზუს". („ყინულოვანი კავკასიონი").

კლიმენტ დენტ და ვ. დონკინ 1886 წელს ადიან გესტოლაზე (4860 მ.) დუგლას ფრეშფილდი 1887 წელს მეორედ მოგზაურობს კავკასიონის მხარეში; მას ამ წელს შეუერთდება მორის დედეში, გამოჩენილი უნგრელი ალპინისტი და მკვლევარი, რომელმაც უძღვნა კავკასიონს და კავკასს თავის მოგზაურობათა სამი მშვენიერი წიგნი. შემდეგ წელს ალპინისტები სამ ჯგუფად ესევიან კავკასიონის მწვერვალებს და მის მიუვალ ადგილებს; მუმერი და ჰ. ცურფლიუ სძლევენ დიხტაუს მწვერვალს, (5198 მ.), რომელსაც იალბუზის შემდეგ შხარასთან ერთად მეორე ალაგი უჭირავს თავის სიმაღლით კავკასიონის ბუმბერაზთა შორის; ჰოლდერ, ვულეი და კოკინ ადიან დიხ-ტაუზე, კატუინ-ტაუზე, მიჟირგიზე და სხვებზე და კოკინ ამის გარდა კიდევ—შხარაზე, ჯანღაზე (5050 მ.) და უშბას ჩრდილო წვერზე (4694 მ.) მესამე ჯგუფის მოგზაურთაგან ვილიამ დონკინ, ჰ. ფოქს თავიანთ გამყოლებთან ერთად, კ. შტრეიხთან და ფიშერთან, გაემართნენ კოშთან—ტაუს და დიხ-ტაუს მწვერვალებისკენ და ამათ უფსკრულებში შთაინთქნენ სამუდამოდ უხილავნი, თავგანწირულნი და სახელოვანი მოგზაურნი. შემდეგ წელს დუგლას ფრეშფილდი აწყობს თავის მესამე მოგზაურობას კავკასიონზე გამოჩენილ იტალიელ ალპინისტთან და ფოტოგრაფთან, ვიქტორიო სელლასთან ერთად; ადიან იალბუზზე, ლაილაზე, ბურჯულაზე, ციხვარგაზე, ულუ-აუზ-ბაშზე და სხვა მთათა მწვერვალებზე.

1840 წელს კოკინ, ჰოლდერი და მუმერი ახდენენ ასვლას ადაი-ხოხზე, ბურჯულაზე და ციხვარგაზე; 1891 წ. ჰოლდერი და ტოპოგრაფი?? იორგი ქავთარაძე ახდენენ ასვლას კიდევ ადაიხოხზე.

დუგლას ფრეშფილდმა თავისი სამი მოგზაურობის დროს, 1868, 1887 და 1889 წ. წ., თერთმეტჯერ გადაიარა კავკასიონის მთავარი ქედი რვა გადასავლით; სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედი რვაჯერ გადალახა წინ და უკან შვიდი სხვადასხვა გზით; მან მოიარა მთლად კავკასიონის მაღალი და მიუვალი მხარე იალბუზის და ადაი-ხოხის შორის, ვადიარა მრავალი ყინვარები, რომლებიც ზოგჯერ უფრო მეტს სიძნელეს წარმოადგენდნენ მოგზაურობისათვის, ვიდრე ასვლები ბუმბერაზ მთათა უმაღლეს მწვერვალებზე. 1896 წელს დ. ფრეშფილდმა კავკასიონის მხარის მშვენიერი დახასიათება მოგვცა თავის კლასიკურ შრომაში—„ზი ექსპლორაიშენ ოფზი კოკაზუს", რომელიც გამოიცა ორ დიდ ტომად, ვიტორი სელლას მრავალი ჩინებული ილუსტრაციებით. ავტორმა ეს შრომა ვილიამ ფრედერიკ დონკინის ხსოვნას უძღვნა. ოცდაათმა წელმა განვლო ამ შრომის დაბეჭდვის შემდეგ, მაგრამ იგი დღესაც წარმოადგენს კავკასიონის მთასვლელთათვის მეტად ძვირფას წყაროს და საგანძურს კავკასიონის გასაცნობად. აქ ჩვენ [illegible] მთათა და მწვერვალთა, მრავალ ყინვართა და მაღალ გადასავალთა საუცხოვო ლანდშაფტების და სანახაობათა სრული და დიდებული სურათი კავკასიონის უმაღლესი ცენტრალური ნაწილისა, იალბუზის და მყინვარის მთათა შორის მანძილზე. ეს ჩვენთვის მახლობელი, მაგრამ ამ დრომდე სრულიად უცნობი, მიუდგომელი და ინტერეს მოკლებული ქვეყანა, დ. ფრეშფილდის აღწერილობის და დახასიათების შემდეგ ხდება ჩვენთვის მეტად ნაცნობ, დიდ ინტერეს აღმძვრელ, გზა-გაკვლეულ და საყვარელ ქვეყნად, რომელმაც უკვე გააღვიძა ჩვენში ძლიერი მიმზიდველობა მთასვლელობისადმი.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ დ. ფრეშფილდის მისწრაფება, დაიცვას თავის შრომებში კავკასიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სწორე წერა, შეფარდებული ადგილობრივ გამოთქმასთან, რაზეც მეტად კოშლობდნენ და ამახინჯებდნენ სხვა ავტორთა შრომებში და რუკებში.

კავკასიონის გარდა, დ. ფრეშფილდი დაიარებოდა აგრეთვე ალპებზე, ჰიმალაიზე, მოგზაურობდა სირიაში, მცირე აზიაში და ალჟირში. ადრინდელი მოგზაურობანი ალპებზე მან აღწერა 1875 წელს დაბეჭდილ შრომაში, სათაურით „ზი იტალია ალპს" შემდგომ მოგზაურობას ჰიმალაიზე მან უძღვნა შრომა—„როუნდ კანჩენჯუნგა" გამოცემული 1904 წელში. დ. ფრეშფილდის სამეცნიერო—ლიტერატურული მოღვაწეობა არ განისაზღვრება მხოლოდ ზემოაღნიშნული შრომებით; იგი, ალპინიზმის დამყარებისთანავე ინგლისში, ხდება ალპური კლუბის აქტიური თანამშრომელი, შემდეგ ამ კლუბის ორგანოს ხელმძღვანელი და გამომცემი „ალპაინ ჯურნალ"-ს—1872-1880 წელთა განმავლობაში; ამასთანავე ერთად იგი ბეჭდავს წერილებს და შემდეგ ხდება მახლობელ თანამშრომლად ორ სახელოვან ცნობილ გეოგრაფიულ ჟურნალისა: „პროსიდინგ ოფ ზი როიალ ჯეოგრაფიკალ სოსაიეტი" და „ჯეოგრაფიკალ ჯორნალ".

ინგლისის საზოგადოება, მაღლიერია დ. ფრეშფილდის მოღვაწეობით და შრომებით ირჩევს მას 1898 წელს ალპური კლუბის თავმჯდომარედ და შემდეგ გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო მდივნის თანამდებობაზე. ამ საზოგადოებაში, რომელიც დაარსებულია 1830 წელს და გეოგრაფიულ საზოგადოებათა შორის უძველესია, დ. ფრეშფილდი მონაწილეობს თითქმის უკვე სამოცი წლის განმავლობაში, 1868 წლიდან, იმ დროიდან, როცა იგი პირველად ესტუმრა კავკასიონის მხარეს. ინგლისის ალპური კლუბის არსებობის 50 წლის იუბილეისათვის, 1907 წელს, რუსეთის სამთო საზოგადოებამაც დ. ფრეშფილდი აირჩია თავის საპატიო წევრად. ეს იუბილე, სხვათა შორის, იმითაც არის საყურადღებო, რომ მის ზეიმზე ჩაისახა პირველი ქალთა სამთო კლუბი.

მოხუცებულობაში, 1914 წელს, დ. ფრეშფილდი კიდევ აპირებდა გამომგზავრებას სვანეთისკენ და კიდეც განახორციელებდა თავის წადილს, რომ ამ დროს დაწყებულ ომს არ შეეშალა მისთვის ხელი. „ამჟამად მე, უკვე მოხუცს,—სწერს დ. ფრეშფილდი საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებას თავის წერილში 1927 წ. 15 იანვ.,—აღარა მაქვს იმედი, კვლავ მოვხვდე თქვენს ქვეყანაში, მაგრამ, მგონია, მექნეს კიდევ შესაძლებლობა აქედან ვადევნო თვალ-ყური თქვენი ალპინიზმის განვითარებას და მთასვლელობას მაღალ მწვერვალებზე და მივარდნილ ხევ-ხეობებში, იალბუზის დასავლეთით მდებარე მხარეები ნაკლებ არიან გამოკვლეულნი".

ამჟამად პატივცემული მოხუცი (84 წლისა) სცხოვრობს მოხვენებით სოფელში, ლონდონის მახლობლად. რამდენიმე ხნის წინად იგი განზრახ ჩამოვიდა ლონდონში გეოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე დასასწრებლად, რომ მოესმინა ჩვენი გეოგრაფიული საზოგადოების წევრის და ამ საზოგადოების მთასვლა-მეგზავრობის განყოფილების თავმჯდომარის, დოცენ გიორგი ნიკოლაძის მოხსენება. ამას მოჰყვა დ. ფრეშფილდის წერილი ლონდონის „ზი ჯეოგრაფიკალ ჯორნალ"-ის 1927 წ. № 4-ში შესახებ საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების მოქმედების და ექსპედიციების კავკასიონის მწვერვალებზე.

საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების საბჭომ ამას წინად დაადგინა, აევენიშნა საზოგადოების მახლობელ კრებაზე დუგლას ფრეშფილდის თითქმის სამოცი წლის (1868-1927) დაუღალავი და ნაყოფიერი მოღვაწეობა და მის პატივსაცემად ნიშნად, მართალია, მეტად დაგვიანებით, მაგრამ დღეს მაინც, ინგლისის ალპური კლუბის დაარსებიდან მესამოცდაათე წლის თავზე (1857 .. 192) აევერჩია იგი საპატიო წევრად.

პროფ. ა. ლ. ჯავახიშვილი.

ელექტრონის მუსიკა

ლენინგრადის ფიზიკო-ტეხნიკური ინსტიტუტის ინჟინერმა—გამომგონებელმა ლ. ს. ტერმენმა გამოიგონა ელექტრონული მუსიკალური აპარატი, რომელსაც მან „ტერმენოვსკი" უწოდა.

რომ ნათელი შეექნეს, თუ რა პრინციპზეა აგებული „ტერმენოვსკი", საჭიროა ვიცნობდეთ თანამედროვე მუსიკალური იარაღების მოქმედების საფუძვლებს:

როცა უკრავენ სკრიპკაზე, როიალზე და სხ., ჩვენ გვესმის ხმები. ეს იმას ნიშნავს, რომ მუსიკალურმა იარაღმა სიმის ან ფირფიტის რყევით რყევაში მოიყვანა ჰაერის ნაწილაკები. ეს ნაწილაკები ვრცელდებიან ყველა მიმართულებით, ხვდებიან ყურში და ჩვენ გვესმის ხმა.

ყველა ეს მუსიკალური იარაღები იძლევიან განსაზღვრული რაოდენობის ტონებს და ნახევარ-ტონებს. ტონები და ნახევარტონები შეიძლება აღებულ იქნეს თითო-თითო ან რამდენიმე ერთმანად. მათ შეიძლება ჰქონდეთ სხვა და სხვა სიძლიერე და სიმაღლე, მაგრამ ხმების შეფარდებათა რაოდენობა ახლანდელ მუსიკალურ იარაღებში განსაზღვრულია.

მაგრამ, აი, მუსიკის სფეროში შეიჭრა მეცნიერება და აღმოჩნდა, რომ ელექტრონის საშვალებით შეიძლება სრულიად ახალი ხმების მიღება რყევება მეტი სიხშირით.

ამოცანა ნაწილობრივ გადასჭრა ლ. ს. ტერმენმა თავისი ელექტრონული მუსიკალური აპარატით.

„ტერმენოვსკი" წარმოადგენს პატარა ყუთს, რომელიც ლამპიან რადიო-მიმღებ აპარატს წააგავს. ყუთში მოთავსებულია რადიო-ლამპები. ყუთზე, გვერდით—[illegible] პატარა ანძა—ანტენა. [illegible] აგრეთვე რადიო-ლამპებია მოთავსებული. ელექტრონულ მოწყობილობათა მთელ ამ სისტემას შეუძლია სხვა და სხვა სიძლიერის და სიხშირის ელექტრო-ტალღების წარმოება. მის გამაძლიერებელში გავლის დროს ისმის სხვა და სხვა ძალის, სიმაღლისა და ტემბრის ხმა.



ინჟ. ტერმენი უკრავს მის მიერ გამოგონებულ ელექტრონულ აპარატზე

მოსკოვის გაზეთებში შემდეგნაირად არის აწერილი ლ. ს. ტერმენის მიერ გამოგონილი აპარატის საჯარო დემონსტრაცია:

„[illegible] უბრალო მოძრაობით ანტენისა და [illegible] ხმის სიმაღლესა და ძალას. საქმე იმაშია, რომ ხელის უბრალო განძრევით, თვალის დახამხამებით, პირის გაღებით აპარატის ახლო—იცვლება ელექტრონული ტალღების გამოსხივება და მაშასადამე, იცვლებიან ამ დროს წარმოშობილი ხმებიც. ამავე დროს ხმის ტემბრით—მეტად ლამაზია: აქ სკრიპკაც ისმის, ადამიანის ხმაც, ვიოლონჩელიც და სხვა მუსიკალური ხელსაწყოებიც.

ტერმენმა შეასრულა რამდენიმე სერიოზული მუსიკალური ნაწარმოები და არიები „პიკის ქალიდან". შთაბეჭდილება იყო ისეთი, თითქო პატარა ორკესტრი უკრავდა.

გარდა ტერმენისა მის აპარატზე დაუკრეს ზოგიერთებმა, რომელთაც საშუალება ჰქონდათ ერთი-ორჯერ ევარჯიშათ, აგრეთვე ისეთებმაც, რომლებიც სულ არ იცნობდენ მუსიკალურ ნოტებს, მაგრამ კარგი სმენა აქვთ...

ყველა მაყურებლებისათვის ცხადია, რომ ეს პირველი, ჯერ კიდევ გაუმჯობესებელი ელექტრონული აპარატები, ეს ყველა ხმებზე მომღერალი რადიო-ლამპები, სრულიად ახალ შესაძლებლობებს ქმნიან მუსიკის დარგში. ერთი-ორი კაცი ტერმენის ასეთი აპარატით რამდენიმე ორკესტრის მაგიერობას გასწევს".

ტერმენის ელექტრონული მუსიკალური აპარატი ჯერ-ჯერობით ერთად-ერთია მსოფლიოში. უცხოეთის ელექტრო-ტეხნიკას ჯერ არ უცდია გადაჭრა ამ პრობლემის, რომელმაც მთელი რევოლიუცია უნდა მოახდინოს მუსიკალურ ხელოვნებაში.

ნ. რ—ძე.

უზარმაზარი ავტომობილი უდაბნოში სამოგზაუროდ

უდაბნოებს საქმოდ დიდი სივრცე უჭირავთ დედამიწაზე. სახარას უდაბნოს უჭირავს 9.909.445 კვ. კილომეტრი, რაც სჭარბობს სიდიდით ევროპის მთელი მატერიკის სივრცეს. მეორე უდიდესი უდაბნო—გობი—აზიაში სივრცით უდრის ტერიტორიას, რომელიც მოთავსებულია ევროპაში — ჩრდილოეთიდან სამხრეთით: ვენეციისა და კიევს შუა, დასავლეთიდან აღმოსავლეთით კი: საფრანგეთის სანაპიროებსა და მოსკოვს შუა.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთ დიდ სივრცეზე გაჭიმული უდაბნოები ძნელად მისაწვდომია მეცნიერულ გამოკვლევებისათვის. ამავე დროს კი უდაბნოს სილის ქვეშ იმალება ბევრი რამ ისტორიულ - არქეოლოგიური განძი, ზოგჯერ მთელი ქალაქები, რომელთა აღმოჩენა ნათელს მოჰფენდა კაცობრიობისა და დედამიწის განვითარების ბნელით მოცულ წარსულს. გავიხსენოთ თუგინდ ამერიკელ მეცნიერის ჩ. ენდრიუსის აღმოჩენები გობის უდაბნოში 1924 წ., ან უძველესი ცხოველების აღმოჩენა სახარის უდაბნოში შარშან.

ცხადია, — რომ უდაბნოში მოეწყოს წესიერი მიმოსვლა, რომ შესაძლებელი იყოს უდაბნოში სწრაფად მოგზაურობა და სამეცნიერო ექსპედიციების უზრუნველყოფა წყლით, რომელიც ყველაზე მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს უდაბნოებში მიმოსვლის საქმეში, — მაშინ უდაბნოთა საიდუმლოებას ჩქარა ახდებოდა ფარდა.

ის გარემოება, რომ უდაბნოებში დღემდე ვერ მოეწყო წესიერი მიმოსვლა, ხელს უშლის არა მარტო ისტორიულ - არქეოლოგიურ მუშაობას, არამედ აბრკოლებს, აგრეთვე, კავშირის დამყარებას დედამიწის სხვადასხვა კუთხეებს შორის, რომლებიც ამ უდაბნოთა გარშემო მდებარეობენ. პირდაპირი გზის მაგიერ, რაც იძლევა დროისა და ხარჯების ეკონომიას, საჭირო ხდება არჩევა შემოსავლელი გზების, რაც დაკავშირებულია ზედმეტ ხარჯებთან და დროის დაკარგვასთან.

დღემდე ერთად-ერთ სატრანსპორტო საშუალებას [illegible] ლოდ აქლემი უძლებდა უდაბნოს საშინელ სიცხე - პაპანაქებას, გახურებულ, შეხუთულ ჰაერს, უწყლობას. მაგრამ ქარავანით უდაბნოს გავლას ერთი კიდიდან მეორემდე ათეული დღეები ესაჭიროება. ხშირათ ქარავნები ხდებიან უდაბნოს ქარის — სამუმის მსხვერპლი.



თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებები—ავტომობილი, მატარებელი—მხოლოდ ახლა იკაფავენ გზას უდაბნოში. ვინაიდან უდაბნოში რკინის გზების გაყვანა დიდ ხარჯებსა და დროს მოითხოვს, მთავარი ყურადღება მიპყრობილია იმაზე, რომ შეიქნას უდაბნოში სვლისათვის გამოსადეგი ავტომობილის ტიპი. ასეთ ტიპათ დღემდი მიჩნეული იყო ტანკის მსგავსი ბორბლების მქონე ავტობუსი.

უკანასკნელად ინჟ. ბიბოფმა შეიმუშავა უდაბნოში სავალი ავტომობილის სრულიად ახალი ტიპი, რომელსაც „უდაბნოს გემი" უწოდა. „უდაბნოს გემი" მართლა წააგავს ნამდვილ გემს, დადგმულს უზარმაზარ ბორბლებზე. გემის ტრიუმებში დადგმული გაზოლინის მოტორები მოძრაობაში მოიყვანენ თოთხმეტ მეტრიან ბორბლებს, რომლებსაც, იმ მიზნით, რომ სილაზე სრიალი არ დაიწყონ, კბილები აქვთ გაკეთებული. გემის წინა ნაწილზე დადგმულია მესაჭის საკანი, მის ზევით — კაპიტანის ოთახი. გემის სიგრძე უდრის 100 მეტრს, განი—13 მეტრს და სიმაღლე—15 მეტრს.

გემზე, გარდა მოსამსახურეებისა, მოწყობილია ოთახები 300 მგზავრისათვის. წყლის, სურსათ-სანოვაგის და ხელოვნური ყინულის მარაგი შესაძლებლად ხდის სრული კომფორტით მოგზაურობას უდაბნოში.

მძლავრი აპარატების საშუალებით გემზე მუდმივი სიგრილე იქნება დაცული, ღამით გემის მაღლა სართულის ჭერი გადაქცეული იქნება სასეირნო მოედნათ.

პროჟექტორები ოთხივე მიმართულებით გაჰკვეთენ უდაბნოს უკუნეთს და დააფრთხობენ მხეცებს.

სამუმი არ არის საშიში ამ გემისათვის. ყველა ფანჯრები ჰერმეტიულათ იქნება დახურული, მიღებული იქნება აგრეთვე ზომები, რომ მტვერი არ მოხვდეს მანქანებში და არ გააფუჭოს ისინი.

ქვიშნარზე ბიფორის გემი ივლის 40 კილომეტრის სისწრაფით საათში, სილაზე კი 20-ის. გემზე დადგმული რადიო - სადგური საშუალებას მისცემს მგზავრებს კავშირი იქონიონ მსოფლიოს ყველა კუთხესთან.

ასეთი გემი უდიდეს სამსახურს გაუწევს მეცნიერულ ექსპედიციებს: შესაძლებელი შეიქნება დიდხანს დარჩენა უდაბნოში, ნაპოვნ განძეულობათა და არქეოლოგიურ ნაშთების წაღება მუზეუმებში შესაფერად და სხვ.

ერთი სიტყვით, ბიბოფის გემის აგების შემდეგ უდაბნო საბოლოოდ იქნება დაპყრობილი ადამიანის მიერ.

საინტერესოა ერთი გარემოება. ჯერ კიდევ იმპერიალისტურ ომამდე ამერიკელმა ინჟინერმა ჰუგო ჰერნსბაკმა შეადგინა პროექტი დაძველებულ სამხედრო გემების გამოყენებისა უზარმაზარ, ბორბლებზე დადგმულ ტანკებათ. ბიბოფის „უდაბნოს გემი", თითქო ჰერნსბაკის პროექტის განხორციელებას წარმოადგენს.

ვ. გრ—ლი.

რამდენს იწონის დედამიწა

ამერიკელმა პროფესორ. პოლ ხეილმა გამოიგონა სპეციალური აპარატი, რომ მისი საშუალებით გამოერკვია დედამიწის წონა. მეტად რთულ გამოანგარიშებათა საშუალებით ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დედამიწა იწონის 6.000.000.000.000.000.000.000 ტონას: სურათზე გადაღებულია პროფ. ხეილი, რომელიც თავის მიწის ქვეშა ლაბორატორიაში მუშაობას.

მბრუნავი სახლი

დანიის ერთ-ერთ ჭლექის სამკურნალო სანატორიუმში, რომელიც მოწყობილია აგარაკზე, გააკეთეს პატარა ოთახები მზის ვანების მისაღებათ და დროს გასატარებლად (დასასვენებლად) წმინდა ჰაერზე. ამ ოთახებში დახურული ბინის ყველა დადებითი მხარეები შეთავსებულია მთელი დღის განმავლობაში მზის ვანების მიღების ჰიგიენურ სარგებლიანობასთან.

ოთახები ისეა მოწყობილი, რომ შეიძლებოდეს მათი მობრუნება, რათა მზე მთელი დღის განმავლობაში აწვდიდეს სხივებს ავადმყოფს.

ინგლისში კიდევ უფრო შორს წავიდენ. იქ, ამ რამდენიმე ხნის წინათ მოახდინეს საგარაკო ტიპის ერთ-ოთახიან მბრუნავ სახლების აგების მეტად საინტერესო ცდა. ასეთ სახლებში მცხოვრებთ საშუალება აქვთ მთელი დღის განმავლობაში ისარგებლონ მზის სხივებით ისე, რომ გარეთ არ გამოვიდნენ. ავდარში კი შესაძლებელი ხდება „ზურგის ჩვენება" ქარისა და წვიმისათვის.



სურათზე ნაჩვენებია ერთი ასეთი მბრუნავი სახლი.

პროფ. ივანოვი აფრიკაში

ადამიანის თესლით მაიმუნის განაყოფიერების ცდები

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის მიერ კინდიის (დასავლეთ-აფრიკა, ფრანგული გვიანა) პასტერის სადგურში ადამიანის თესლით მაიმუნების განაყოფიერების ცდების მოსახდენათ გაგზავნილ პროფ. ივანოვისაგან ლენინგრადში მიიღეს წერილი, რომელშიც აღწერილია ექსპედიციის მუშაობა. პირველ ხანებში პროფესორის მუშაობა დაუბრკოლებია იმას, რომ პასტერის სადგურში მოიპოვებოდენ მხოლოდ ახალგაზრდა მაიმუნები, რომლებიც გამოუსადეგარი იყვნენ ცდებისათვის.

ამის გამო პროფ. ივანოვი თავის შვილთან და რამდენიმე ადგილობრივ მცხოვრებთან ერთად გაემგზავრა შორეულ ტროპიკულ ტყეებში, სადაც ცხოვრობენ შიმპანზეები, რომლებიც საჭიროა ცდებისათვის. საჭირო შეიქნა მავთულის შექნა და გალიების დამზადება ცხოველების გადასაყვანად პასტერის ინტიტუტში.

დიდი ხნის ნადირობის შემდეგ პროფ. ივანოვის ექსპედიციამ დაიჭირა სამი ხანში შესული მდედრობითი სქესის შიმპანზე. ნადირობის დროს ერთმა მაიმუნმა სერიოზულად დასჭრა პროფესორის შვილი. მაიმუნები გადაიყვანეს პასტერის სადგურში.

ამჟამად პროფ. ივანოვი აწარმოებს ცდებს მათ ხელოვნურად გასანაყოფიერებლად ადამიანის თესლით.

მოსკოვი, 28 მაისი. პროფ. ივანოვმა, რომელიც საკავშირო სამეცნიერო აკადემიის მიერ საფრანგეთის გვინეაში იყო გაგზავნილი, წარმატებით შეასრულა ცდა მაიმუნის განაყოფიერებისა ადამიანის თესლით. აგვისტოში პროფ. ივანოვი მეთვალყურეობს ქვეშ მყოფ მაიმუნებით ბრუნდება ლენინგრადში.

სასამართლო

მკვლელობა გაძარცვის მიზნით

დასრულდა წინასწარი გამოძიება **ნავთილ შამილ-ოღლის** საქმეზე.

შამილ-ოღლის ბრალდება მოქ. **მახმედ ისა ოღლის** მოკვლა.

გასული წლის იანვრის თვეში ნავთილ-ოღლი თავს დაესხა მეზობელ მახმედ-ოღლის და ხანჯლით დაჰკლა იგი. მოკლულს გახადა ტანსაცმელი, წაართვა ვერცხლის ქამარი და მიიმალა.

რამოდენიმე დღის შემდეგ იპოვნეს მოკლული კაცის გვამი. ვინაობის გამოცნობის შემდეგ, საგამომძიებლო ორგანო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მკვლელობა ჩადენილია ნავთილ შამილ-ოღლის მიერ.

დაჰკითხეს შამილ-ოღლის ცოლს, რომელმაც განაცხადა, რომ მკვლელობა ჩაიდინა მისმა ქმარმა და დასძინა:

— „მე, მახმედ-ოღლი მოსვენებას არ მაძლევდა, თანაც წინადადებას მაძლევდა განვშორებოდი ქმარს. ამის გამო მასსა და ჩემს ქმარს შორის ცუდი განწყობილება არსებობდა“.

ნავთილ-ოღლი დაპატიმრებული იქნა. მან წინასწარი გამოძიების დროს განაცხადა:

— „მე მახმედ ოღლის ვიცნობდი დიდი ხნიდან. მან ნაცნობ-მეგობრებში გაავრცელა ხმები—„შამილ-ოღლის ცოლთან სქესობრივი კავშირი მაქვსო“. ჩემმა ცოლმა მითხრა:

— „მახმედ ოღლიმ წინადადება მომცა შენ დაგტოვო და მას გავყვე ცოლათ“. ნაცნობ კაცის ასეთმა მოქმედებამ მოთმინებიდან გამომიყვანა, ავღელდი და მოვკალი.

დაკითხულ იქნა მთელი რიგი მოწმეები. მათი ჩვენებიდან დადასტურდა, რომ შამილ ოღლიმ მკვლელობა ჩაიდინა გაძარცვის მიზნით.

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლოს მორიგ კამერის დარბაზი გაჭედილია ხალხით.

საბრალმდებლო სკამზე დამშვიდებულად ზის მოქ. **გრიგოლ ხეირანოვი.**

ის ამბობს: მოქალაქე მოსამართლენო! მე ხომ რომელიმე ბანკის დირექტორი არ ვარ, რომ ოცდაათი ათასი მანეთი გამეფლანგოს; მილიციელს სიფათში ავადევი და ლამაზ ქალს გავეარშიყე.

— სწორედ მაგაში გედებათ ბრალი,—ეუბნება მას თავმჯდომარე. გიცემიათ მილიციელისათვის, დაგირღვევიათ საზოგადოებრივი წესრიგი.

შემდეგ ბრალდებული ამბობს:

— მე გუშინწინ ჩამოვედი თბილისში „საქეიფოდ“. ნერვები მაქვს დასუსტებული. მეგობრებმა სასადილოში მიმიპატიჟეს და დამათვრეს.

ქალისათვის შეურაცხყოფა მე არ მიმიყენებია, პირიქით, ის ძალიან უმადური გამოდგა და ჩემ „ტკბილ სიტყვებზე“ ხელი მკრა და გაიქცა.

სასამართლომ დაჰკითხა რამოდენიმე მოწმე, რომლებმაც დაადასტურეს ბრალდება.

სასამართლომ ბრალდებული ხეირანოვი დამნაშავეთ სცნო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში და მიუსაჯა მას 6 თვით გამსახლში დაპატიმრება.

300 მანეთის გულისთვის

გასულ წელს **ევგენია ზაიცევას,** მის ძმას **კირილეს, აიკ არაქელოვს** და **ხორენ ბახჩეციანცს** პლეხანოვის პროსპექტზე (№ 67), გახსნილი ჰქონდათ საღებავი სახელოსნო. უკანასკნელ ხანებში „მეგობრებს“ შორის ჩხუბი დაიწყო. ამის გამო სავაჭრო ოპერაციებს ვაჭარესება დაეტყო.

ბახჩეციანცი და არაქელოვი გამოეყვნენ ამხანაგობას და გახსნეს საკუთარი სახელოსნო.

ზაიცევას და მის ძმას გასულ ამხანაგებისათვის უნდა მიეცათ 300 მანეთი, მაგრამ გავიდა ხანი და მათ ანგარიშები არ გაასწორეს.

ამ ნიადაგზე მათ შორის ხშირად ჩხუბსა და აყალ-მაყალს ჰქონდა ადგილი.

ბოლოს ბახჩეციანცის ძმამ **გარნიკმა** ცოლად შეირთო ზაიცევას ქალი. გარნიკი ეუბნებოდა ძმას ხორენს:

— „ჩემ ცოლს ფული არ აქვს და ნუ მოთხოვ ანგარიშების განაღდებასო“. ამ სიტყვებმა ხორენ ძლიერ გააბრაზა და შემდეგ აღარ ელაპარაკებოდა ძმას.

ევგენია ზაიცევამ გადასწყვიტა ძმების შერიგება და გამართა ლხინი; ლხინზე სხვებთან ერთად მიიპატიჟა ხორენ ბახჩეციანციც.

ქეიფობის დროს ძმები წალაპარაკდენ. გარნიკმა აიღო დანა, მაგრამ ვერ მოახერხა დაერტყა ძმისათვის. ხორენმა მას აართვა დანა.

შემდეგ გარნიკმა გადასწყვიტა შური ეძია მისი ძმის კამპანიონ მოქ. **არაქელოვზე.** მიუხტა მას ბინაზე. თვით არაქელოვი სახლში არ დაუხვდა. სამაგიეროთ 16 ჭრილობა მიაყენა არაქელოვის ცოლს. მიღებული ჭრილობებისაგან ის განიკურნა.

ბოროტმოქმედი დააპატიმრეს. საქმე მალე გაირჩევა სასამართლოში.

ააანაჩენი ვატმან ვართანოვის საქმეზე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. **პ. ბურკაძე,** სახალხო მსაჯულები: **შ. გოგოლაშვილი** და **სუხიშვილი,** პროკურორი **ლ. ჯანჯღავა** და დამცველი **მ. ღვამიჩავას** მონაწილეობით განიხილა ვატმან ვართანოვის საქმე.

ვართანოვს ბრალდებოდა დაუდევრობის გამო ტრამვაის ვაგონით ბავშის გასრესა (მარცხი მოხდა 21 თებერვალს ჟორესის და პლეხანოვის კუთხეში). სასამართლომ ბრალდებული დამნაშავეთ სცნო და მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით; მაგრამ სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა, რომ იგი არ არის სოციალურად მავნებელი ელემენტი და ჩადენილი დანაშაული არ იყო ბოროტ განზრახვით გამოწვეული, პატიმრობის ვადა შეუმცირა 4 თვემდე წინასწარი პატიმრობის ჩათვლით და იზოლიაციის მოხსნით.

შემთხვევები

უბედური შემთხვევა სასამართლოში

გუშინ შუადღის 12 საათზე, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში სახალხო გამომძიებელთან დასაკითხავად გამოწვეული იყო პატიმარი **ერან აბრამიანცი.**

აბრამიანცმა გუშინ წინ დანით დასჭრა დამმა აგან და **ვართანუშ ელბაქიანცი** (მახათის ქ. № 4).

ჩვენების ჩამორთმევა არ მოხერხდა, რადგან პატიმარი კითხვებზე არავითარ პასუხს არ იძლეოდა და თანაც ნერვიულობა ეტყობოდა.

შემდეგ აბრამიანცი მეოთხე სართულის ფანჯრიდან გადახტა და თავი დაახეთქა ქვებს. იგი იქვე გარდაიცვალა.

როგორც ირკვევა, აბრამიანცი ყოფილა სულით ავადმყოფი.

ტრამვაის მოძრაობის შეჩერება

გუშინ, დღის 12 საათზე პუშკინის სახელობის ბაღთან შემთხვევით ბოძლომიდან მოწყდა ტრამვაის მავთული და დაეშვა დაბლა. ამის გამო ნახევარი საათით დაბრკოლდა № 2, 1, 5 და მე-6 მარშრუტის ტრამვაის ვაგონების მოძრაობა. მავთულის შეკეთების დროს გაფუჭდა ტრამვაის ლიანდაგი თავისუფლების მოედანთან. საჩქაროთ გამოწვეულმა მუშებმა დაუყოვნებლივ შეაკეთეს ჩამოვარდნილი მავთული და გზა.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით გრიბოედოვის ქ., № 15, ნინა მღვდლიშვილის ბინიდან მოიპარეს 200 მ. ნივთები.

◆ **გატეხილ ფანჯრიდან ხელის გადაყოფის** საშუალებით გრიმის ჩიხი, № 3, ბარსულა გალუსტოვს მოპარეს 100 მ. ნივთები.

◆ **სისხ. სამართლის მილიციას** 26 მაისს რომან ქიქოძემ განუცხადა, რომ ორი დღის წინ სახლიდან გავიდა მისი შვილობილი ნატალია პერკოვსკაია და დღემდე არ დაბრუნებულა.

◆ ამავე დღეს ამავე ქუჩაზე გაქურდეს ევგენი ხუბაშვილის ბინა. წაიღეს 200 მ. ნივთები.

◆ **მე-8 უბნის სახ. სასამართლოში** სოფიო დიმიტრის ასულ ვაზაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 21 მან. ჯიბგირი გიორგი ეგიაზაროვი იქვე დააპატიმრეს.

◆ **ჩარხის მოპარვა.** 27 მაისს შეიპყრეს ვლადიმერ მაკინი, რომელმაც ალექსი ხაპატიანს მოპარა სალესი ჩარხი.

◆ **მსხვილი ქურდობა.** 26 მაისს რუსთაველის გამზირი, № 41, მიხეილ დანელიას ბინიდან მოიპარეს 2.000 მანეთი.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით ბროსეს ქ., № 4, გაქურდეს აპოლონ ჯუმაჯხაძის ბინა.

◆ **ობოლაძის** შესახ., № 8, აპოლონ ივანიცკის ბინიდან მოიპარეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

◆ **ბოძლომის აგლეჯის საშუალებით** შემახის შესახ., № 4, გაქურდეს ელენე კერახანოვის ბინა.

◆ **სასადილოს გაქურდვა.** მალაკნის ქ., № 56, გერონტი გეწაძის სასადილოდან მოიპარეს 150 მ. ნივთები.

◆ **თავის მოწამვლა.** რიყის ქ., № 26, მარიამ ბათლომეს ასულმა ნეფარიძემ, 17 წლისამ, გამოურკვეველ მიზეზების გამო მოიწამლა თავი.

◆ **პეტრე მაისურაძის** ღიათ დარჩენილ ბინიდან (სურფ-კარაპეტის ხევი, № 9), მოიპარეს 200 მ. ნივთები.

ბიბლიოგრაფია

ქ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და ბურიე.

ბატონყმობა სამეგრელოში

თარგმანი და წინასიტყვაობა თ. სახოკიასი. თბილისი 1927 წ. ფასი 1 მ. 50 კაპ.

წიგნი წარმოადგენს ორი უცხოელი ავტორის და ამ კუთხის მკვლევარის რაფ. ერისთავის უცხო ენაზევე დაწერილს, ნარკვევს, რომელიც ახასიათებს სამეგრელოს საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულ საუკუნის შუა ხანას.

ამ სამ ნარკვევთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. ბოროზდინის ნაშრომი.

ქ. ბოროზდინი სამოციან წლებში სამეგრელოში მაზრის უფროსად არის ნამყოფი. მას მრავალი ნაწერები აქვს. ამ კრებულში თარგმნილი, წარმოადგენს გამოკვლევას, სამეგრელოს ნივთიერი და საზოგადოებრივი ურთიერთობის შესახებ.

ნარკვევში გასაკუთრებით აღსანიშნავია სამეგრელოს მეურნეობის დახასიათება. ავტორი დაწვრილებით აგვიწერს სიმინდის, პურის, ღომის და სხვა ხორბლეულის მოყვანას, მევენახეობას მეაბრეშუმეობას; მისი აღწერა იმდენად ფრთხილია, რომ იგი აღნიშნავს თუ რამდენს იძლევა პურის, ღომის ან სიმინდის თითო მარცვალი. ავტორის აზრით სამეგრელოში ნიადაგი იმდენად უხვია, რომ პურის თვითეული მარცვალი, გაცილებით უფრო ნაკლები შრომით ვიდრე შუა გულ რუსეთში, იძლევა ოცდაათ მარცვალს, მაშინ, როდესაც ერთს მარცვალს ათი ან თორმეტი მარცვალი გამოაქვს. ეს კუთხე მდიდარია აგრეთვე ღვინითაც, რომლის უკეთესი ხარისხი „ოჯალეში“ წააგავს განთქმულ ღვინოებს: ბურგონისას და პორტვეინს. ასეთივე დაწვრილებით არის აღწერილი მეაბრეშუმეობა სამეგრელოში.

დაწვრილებით ახასიათებს ავტორი სამეგრელოს ბაზრობას. საერთოდ ავტორის ეს ნაშრომი, პატარაა, მაგრამ იმდენად საგულისხმოა, რომ იგი უსათუოდ საუკეთესო მასალაა ამ კუთხის ძველი დროის ცხოვრების გასაცნობად.

ასეთივე საინტერესო ცნობებს შეიცავს ჩვენ მწერალ რაფ. ერისთავის ნარკვევი, სამეგრელოში, ბატონ - ყმობის დროის სხვადასხვა ხარისხებათ დანაწილების შესახებ. ამავე გლეხობის კლასებად დაყოფას იძლევა ფრანგი მოგზაური მურიე, რომელიც მასში სამ მთავარ კლასს არჩევს.

საერთოდ, წიგნში მოთავსებულია გამოკვლევები, ამ კუთხის წარსული საუკუნის შუა ხანების ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების დასახასიათებლად გამოსადეგი მასალაა.

«УГОЛОВНОЕ ПРАВО Р. С. Ф. С. Р.»

А. Пионтковский

გვ. 235. ფასი 2 მან. 50 კაპ.

ავტორი მარქსისტული სოციალოგიის ნიადაგზე აყენებს კრიმინალური მეცნიერების საკითხებს. ის საერთოდ სისხლის სამართლის სოციოლოგიურ სკოლას იზიარებს, მაგრამ დანაშაულობის ფაქტორების ახსნაში და სოციალურ საფუძვლების გარკვევაში კლასობრივ მომენტებს აძლევს უპირატესობას. შრომა ეხება ოთხ მთავარ საკითხს: 1) სოციოლოგიური სწავლა დანაშაულობის შესახებ, 2) დანაშაულობასთან ბრძოლის იარაღები, 3) იურიდიული სწავლა დანაშაულობის შესახებ, 4) სისხლის სამართლის იძულების გამოყენების პროცესი. ამ საკითხთა გარკვევაში ავტორი ერთი მხრით ემყარება მარქსისტულ სოციოლოგიას, მეორე მხრით სისხლის სამართლის კოდექსს და საბჭოთა იურისპრუდენციას. ავტორს საინტერესო კრიტიკა აქვს ბურჟუაზიულ თეორიების შესაფასებლად, სწორად აქვს გადმოცემული საბჭოთა სახელმწიფო კრიმინალური სამართალი და ამ სამართლის პოლიტიკა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დანაშაულობის ფაქტორების გარკვევა.

აღნიშნული შრომა სხვა ცდებთან შედარებით პირველობას იმსახურებს. ის მიღებულია ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელოთ სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დარგისათვის. ეს შრომა აღიარებულია ამ.-კავ. კომ. უნივერსიტეტში სისხ. სამართლის კურსის სახელმძღვანელოთ. განზრახულია, ამავე უნივერსიტეტის მიერ, მისი თარგმნა ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე. ის დიდ დახმარებას გაუწევს, როგორც მოსწავლე ახალგაზრდობას, ისე იუსტიციის მუშაკებსაც. სისხლის სამართლის მეცნიერებაში პირველი სერიოზული შრომაა მარქსისტულ სოციოლოგიის მიხედვით დალაგებული.

ს. ა—ლი.

ფეხბურთი

დღეს იწყება ქალაქის პირველობის გათამაშება პირველი და მეორე კატეგორიის გუნდებს შორის. სულ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს 18 გუნდი. აქედან ექვსი პირველი კატეგორიიდან და 12—მეორე კატეგორიიდან.

პირველი შეჯიბრი ქალაქის პირველობაზე პირველი კატეგორიის გუნდებს შორის გაიმართება დღეს საღამოს ხუთ ნახევარ საათზე „დინამოს“ სტადიონზე. თამაშობენ „დინამო“ და წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი მსაჯი იქნება ამხ. **გალპერინი.**

დღესვე საღამოს ხუთ ნახევარ საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება მეორე კატეგორიის გუნდების შეჯიბრი. თამაშობენ რკინის გზის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს და საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის გუნდები.

ამ გუნდებში, პირველობა აიღეს პროფკავშირების გუნდებს შორის: რკინის გზის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს გუნდმა—რკინის გზელთა ხაზით, საბჭოთა და სავაჭრო კავშირის გუნდმა—პროფკავშირების ხაზით.

დოღი

29 მაისს გაიმართება დოღი, რომლის დროს გათამაშებულ იქნება ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ჯილდო „დერბი“ 1000 მანეთის რაოდენობით, დანიშნული სამი წლის ცხენებისათვის, და გაიმართება „კვიცების პარადი“. დოღში მონაწილეობას მიიღებენ პარიზიდან გამოწერილი და ადგილობრივი ცხენები.

ნარევი

არაჩვეულებრივი სეტყვა

ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკაში ადგილი ჰქონდა მეტეოროლოგიის ისტორიაში იშვიათ მოვლენას. ქ. დალასში (ტეხასის შტატი) მოვიდა არაჩვეულებრივი სეტყვა — წონით თითო კილოგრამამდე, ზოგი სიდიდით ფუტბოლის ბურთს აღემატებოდა. ხუთი წუთი საკმაო იყო ასეთი სეტყვისათვის, რომ დაეცხრილა უმაგრესი რკინის სახურავი. სეტყვა მოდიოდა 15 წუთის განმავლობაში. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქო ქალაქს ყუმბარებს უშენდენ ყოველი მხრიდან. განსაკუთრებით დაზარალდენ ავტომობილები. ავტომობილების პატრონთა ზარალი 100.000 დოლარს აღემატება. სეტყვის დროს ქალაქში დაზიანებულ შენობათა შეკეთებას რამოდენიმე მილიონი დოლარი მოუნდა.

მეტეოროლოგებს ახსოვთ მხოლოდ ორი შემთხვევა ასეთი სეტყვისა წარსულ საუკუნეში. 1863 წ. ზელანდიის კუნძულებზე მოვიდა სეტყვა, რომლის თითო მარცვალი იწონიდა ოთხ კილოგრამს. 1846 წ. ლიფლიანდიაში მოვიდა მუშტის ოდენა სეტყვა.

რეკლამა შეერთებულ შტატებში

ამერიკულ კომპანიების ხარჯები რეკლამაზე არაჩვეულებრივ ციფრებში გამოიხატება. 62 მსხვილი ფირმის შესახებ შეკრებილ ცნობებიდან ჩანს, რომ მათი ხარჯები რეკლამაზე წლიურათ უდრის 30 მილიონ დოლარს, აქედან 20 მილიონი დოლარი განცხადებებზე იხარჯება.

სარეკლამო მიზნებისათვის ფართედ სარგებლობენ აეროპლანებით.

ზოგიერთ სავაჭრო ფირმებს აქვს რამოდენიმე სარეკლამო აეროპლანი. რეკლამისთვის გამოყენებულია აეროპლანის ფრთები და კორპუსი; შემდეგ — შემოღებულია ფურცლებისა და მოწოდებების გადმოყრა აეროპლანებიდან. აეროპლანები დაფრინენ ქალაქებზე, ჰყრიან ფურცლებს.

აეროპლანები გამოყენებულია აგრეთვე სინათლის რეკლამისათვის. განათებული ასოები, რომლებიც შორ მანძილიდან მოჩანან, ჩვეულებრივ მოთავსებულია წინ — ზედა და ქვედა ფრთებს შუა. ასოები ვიწროა, რომ არ გამოიწვიონ ჰაერის დიდი წინააღმდეგობა. როცა აეროპლანი სწრაფად ეშვება დაბლა, მაყურებელს ჰგონია, თითქო განათებული ასოები ეცემიან მას, ამ დროს სინათლე ქრება და აეროპლანი იკარგება თვალიდან. სინათლის ასეთი ეფექტები მიჩნეულია ყველაზე დროულათ და საინტერესოთ რეკლამის საქმეში.

დაბოლოს, აეროპლანი გამოყენებულია ჰაერში ასოების საწერათ სქელი კვამლის საშუალებით. ასეთი რეკლამა გავრცელებულია პარიზში და ამერიკაში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

მოსახლეობისათვის სასროლ იარაღის ჩამორთმევის შესახებ.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო, საქართველოს ს. ს. რ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 23 მუხლის თანახმადადგენს:

1. ჩამოერთვას საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე მყოფ მოქალაქეთ ყოველგვარი სასროლი იარაღი რაც აქამდე რამე მიზეზის გამო ჩამორთმეული არ იყო.

შენიშვნა: დადგენილება ესე არ გავრცელდება სანადირო იარაღზე, რის შეძენა შენახვის და ტარება განსაზღვრულია ცალკე წესებით.

2. ყოველი მოქალაქე მოვალეა ჩააბაროს მის ხელთ ქონებული იარაღი ორი კვირის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

3. ჩამოსართმევი იარაღი ჩაბარდება თემის აღმასრულებელ კომიტეტს ან სოფლის საბჭოს, ხოლო ქალაქად — მილიციის სამმართველოს.

შენიშვნა: იარაღის მიღების შესახებ გაიცემა სათანადო ქვითარი.

4. სასროლი იარაღი არ ჩამოერთმევა ისეთ პირს, რომელსაც იარაღის შენახვა და ტარება ნებადართული აქვს არსებული წესისამებრ სამსახურის ხასიათისა და მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით ან ომში და რევოლიუციონური დამსახურებისათვის.

შენიშვნა: ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე გაცემულ ყოველ მოწმობას შენახვისა და ტარების უფლების შესახებ ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს იმ წესით და იმ ვადაზე, რასაც სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო განსაზღვრავს.

5. ამა დადგენილების განსახორციელებლად ჩამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობა სპეციალური კომისია სამი პირის შემადგენლობით, რომელთაც აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი დანიშნავს.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 226 მუხლის თანახმად.

7. დაევალოს საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

8. დაევალოს აფხაზეთის ს. ს. რ. და აჭარისტანის ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ სასწრაფო წესით სათანადო დადგენილებანი.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—შ. ელიავა.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

1927 წლის მარტის 22.

თბილისი—სასახლე.

ბრძანება № 61

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსი

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს მიერ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ - მოქალაქეთათვის სასროლ იარაღის ჩამორთმევის შესახებ ა. წ. 22 მარტის თარიღით გამოცემულ დადგენილების განსავითარებლად —საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო ბრძანებს:

1) ყველა მოქალაქენი, რომელთაც აქვთ სასროლი იარაღი და სამხედრო მასალა (ვაზნები, ყუმბარები და სხვ.) სათანადო ნებართვის გარეშე.—ვალდებულნი არიან ჩააბარონ ასეთები ორი კვირის განმავლობაში, ე. ი. ა. წ. 12 ივნისამდე რაიონულ მილიციის სამმართველოში სათანადო ქვითარების მიღებით.

2) ყველა მოქალაქენი, რომელთაც მიღებული აქვთ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ნებართვა იარაღის ტარებაზე,—ვალდებულნი არიან ერთი თვის ვადაში, ე. ი. ა. წ. 1 ივლისამდე ხელ-ახალ რეგისტრაციაში გაატარონ იარაღი საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკურ სამმართველოში.

შენიშვნა: ა) მოქალაქენი, რომელნიც თავის დროზე არ გამოცხადდებიან ხელ-ახალ რეგისტრაციაზე და არ წარმოადგენენ ცნობას გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ, ჰკარგავენ იარაღის ტარების უფლებას მომავალში.

ბ) საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მიერ გაცემული ხებართვები (ხელ-ახალ რეგისტრაციაში გაუტარებელი) იარაღის ტარებაზე ძალაში რჩება მხოლოდ 1927 წლის 1 ივლისამდე.

მოქალაქენი, რომელნიც არ ჩააბარებენ სათანადო ადგილზე იარაღს ან ხელ-ახალ რეგისტრაციაში არ გაატარებენ მას, მიცემული იქნებიან კანონიერ პასუხისმგებლობაში საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით.

ბრძანება ესე ძალაში შედის 29 მაისიდან.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარე ლ. ბერია.

ქ. თბილისი, 1927 წ. 23 მაისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო** განყოფილება იტყობინება, რომ ორშაბათს, 30 მაისს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში შესდგება საორგანიზაციო თათბირი.

— **სახ. უნივ. პედაგოგიური ფაკ. კომუჯრედის ბიურო აცხადებს,** რომ ვინც ხელ-ახალ **რეგისტრაციაში** არ გატარებულა, წინადადება ეძლევათ იმ ამხანაგებს გამოცხადდენ პარტბილეთით და გატარდენ რეგისტრაციაში 4 დღის განმავლობაში, აღმასბიუროს ოთახში—ამხ. ფანცხავასთან.

— **საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელი** განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ალექსი ალექსანდრესძე ლომაძეს და ვასილ ნიკოლოზისძე ფანცულაიას გამოცხადდენ ორშაბათს, 30 მაისს, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირკველიასთან.

— **საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას აღმრიცხავ-განმანაწილებელი განყოფილება** წინადადებას აძლევს სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ სტუდენტებს, რომლებიც წევრებად ან კანდიდატებად ითვლებიან საქართველოს კომპარტიაში, კომკავშირში და 1926-27 აკადემიურ წელს ათავებენ სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტს, აგრეთვე სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანს ამხ. **ქ. სულაქველიძეს,** პედაგოგიური ფაკულტეტის კომუჯრედის მდივანს ამხ. **გიორგი სულუხიას,** ამავე ფაკულტეტის ა. ლ. კომკავშირის უჯრედის მდივანს—გამოცხადდენ ცეკას აღმრიცხავ - განმანაწილებელ განყოფილებაში სამშაბათს, 31 მაისს, დღის 12 საათზე ამხ. ლიცინოვთან.

— **სახ. უნ. სოც. ეკ. ფაკ. არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო** ამით აცხადებს ყველა სტუდენტ კ. კ.-ბის,—როგორც უჯრედის წევრთა და კანდიდატთა და აგრეთვე იმათ საყურადღებოთაც, ვინც ირიცხება სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე და არ გატარებულა ამავე უჯრედის აღრიცხვაზე დღემდი,—რომ ისინი ვალდებული არიან გამოცხადდენ ბიუროში რეგისტრაციაში გასატარებლად ამხ. ს. ღუნღუასთან, ორშაბათს, საღამოს 5-7 საათ., ოთხშაბათს, 1 ივნისს 11-2 საათ.

---

28 მაისს, დღის 10 საათზე და 30 წუთზე ხანგრძლივი და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დამცველთა კოლეგიის წევრი

მიხეილ [illegible] ძე

მღვდლ[illegible]

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ დამწუხრებულნი მეუღლე ნინო ილარიონის ასული და ცოლის და პელაგია ილარიონის ასული დოჩანიშვილი. პანაშვიდი ყოველ დღე ქაშვეთის ეკლესიაში საღამოს 7 საათზე. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—1 (დ)

ღრმად დამწუხრებულნი მე-8 შრომის სკოლის მე-6—² ჯგუფის მოწაფეები ამით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 24 მაისს დღის 11 საათზე ტრაგიკულად დაიღუპა მათი ამხანაგი

შალვა (შალიკო) ქუთათელაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს, 29 მაისს, დღის 12 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 2877

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მინადორა ვასილის ასული ქუთათელაძე ძმები: იპოლიტე, იოველი და ქრისტოფორე; რძლები მარო და ელენე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას 29 მაის საღამოს 5 საათზე ნახევარ წლის თავზე ტრაგიკულად დაღუპულ

ბაბო გრიგოლის ასული

ქუთათელაძეს

მოსაგონებლად გადახდილ იქნება პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში. 2876

ეფემია ლუარსაბის ასული ყარანგოზიშვილისა და თამარ ალექსანდრეს ასული ფალავანდიშვილი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს პირველი ქმრის და მეორე მეგობრის

ვიქტორ ალექსანდრეს ძე

ყარანგოზიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი კვირას, მაისის 29-ს 1-ლ საათზე, ვერის ეკლესიაში.

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ვანო, დათიკო, გიორგი და კაკო, რძალი თამარ და შვილიშვილები თამარ და ვახტანგ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 27 მაისს, ქ. ქუთაისში, გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ივანე ნიკოლოზის ძე ჭეიშვილი

დაკრძალვა მოხდება 29 მაისს, დღითი კვირას ნაშუადღევის 5 საათზე ქ. ქუთაისში, საფირჩხიის სასაფლაოზე. 2872

თავზარდაცემულნი: მეუღლე ილიკო არტემის-ძე დარჩია, შვილი გივი, დედა ლიზიკო, ძმები: ნიკოლოზ, გრიშა, დები: გოგუცა, ნადია და ზინა დოლიძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 26 მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ბათომის რესპუბლიკის საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ვერა ალექსანდრეს ასული

დარჩიასი

გამოსვენება ქ. ბათომიდან, ოზურგეთში, ა. წ. 28 მაისს, დილის 10 საათზე, დასაფლავება მოხდება ლანჩხუთში ა. წ. 29 მაისს დღის 3 საათზე. ნ. 1257

„კომუნისტი“

ხელისმოწერა მიიღება

თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34

პროვინციაში

1. **ხაშურში**—განყ. გამგე **მათე გოგუაძესთან**—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე **გ. გოგელიასთან**—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისი**—განყ. გამგე **მ. ტყაბლაძესთან**—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—„ეპოს“ წიგნის მაღაზია.
5. **სამტრედია**—განყ. გამგე **ვლ. გოგელიასთან**—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სენაკი**—განყ. გამგე. **ესებუასთან**—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. **აბაშა**—განყ. გამგე **მიქაძესთან**—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. **ფოთი**—ფოსტა ტელეგ. კანტორაში.
9. **ბათომი**—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. **ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი.** ათ. ცხომელიძე.
11. **დიდი ჯიხაიში**—წიგნის მაღაზიაში **გიორგი ბიბილეიშვილთან.**
12. **ოზურგეთი**—განყ. გამგე **პოლ. ინწკირველთან**—მთელი ოზურგეთის მაზრისათვის
13. **თელავი**—განყ. გამგე **რევაზოვთან**—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. **სიღნაღი**—განყ. გამგე **ა. მდივანოვთან**—სიღნაღის მაზრისათვის.
15. **ზუგდიდში**—პოლიტგანის კიოსკში—**კილასონიასთან.**
16. **სოხუმში**—ფოსტა ტელეგ. კანტორაში
17. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე **შიშნიაშვილი ესტატე**
18. **ხად. ბორჯომი**—**რ. თარგამაძესთან**
19. **ბორჯომ-ბალი**—**მაკაცარია**

და სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით

0—2

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

1) გამოვიდა მხოლოდ ხელმომწერთათვის პროფესორ ლ. ხენეის 2) იბეჭდება ორ ტომად და მალე გამოვა პროფ. ჟიდის და პროფ. რისტის

ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია

1) ფიზიოკრატებამდე და 2) ფიზიოკრატებიდან ჩვენამდე (დაახლ. 1000 გვ.) უკანასკნელი ფრანგული გამოცემიდან. **გრძელდება ხელისმოწერა:** 1) რედაქტორ-გამომცემელ იასონ გაბილაისთან, 2) სრულიად საქართველოს **მწერალთა კავშირის** და **სახელგამის** წიგნის მაღაზიებში, რუსთველის პრ., № 8 და 32—ამ მაღაზიებში **იყიდება მახლოვის „კოოპერაციის საფუძვლები“, ვობლის „სტატისტიკა“** და **თევზაიას „კერძო და საზოგადოებრივი მეურნეობა“,** 3) სახ. უნ. **სტუდ. აღმასბიუროში,** გრ. ხვიჩიასთან და სხვა აგენტებთან, სათანადო მოწმობით. **პირველად ხელის მომწერს შემოაქვს 3 მან და ეძლევა ხენეის წიგნი;** ჟიდის და რისტის 1-ლი **ტომის მიღებისას 3 მ.,** ხოლო მეორე ტომის მიღებისას—2 მ. 50 კ., **სულ 8 მან. 50 კ, ვინც 8 მ. 50 კაპ.** ამ თავითვე ერთად შემოიტანს,—**ორივე ტომს კოლენკორის ლამაზ ყდაში მიიღებს.** ფული ასე უნდა გამოიგზავნოს **ფოსტით: თბილისი. უნივერსიტეტის ქ., № 4. იასონ გაბილაიას**

დააჩქარეთ ხელისმოწერა! იბეჭდება მხოლოდ 1000 ცალი! მაღაზიებში არ გაიყიდება!

ნ. 1212 3—1

პარიზის ჭრა-კერვის

უნივერ. დამთავრებული

მარო რევიშვილი

ჩამოვიდა და ღებულობს მოწაფეებს და დაკვეთებს საშუალო ფასებში. აქვს პარიზის ჭრა-კერვის დიპლომი. პირობების გაგება შეიძლება ყოველ-დღე კვეშელავაძის ქუჩა № 25 მარკაროვის სახლებში. ნ. 1222

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეზხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

კინო-„სოლეი“ კინო-„არფასტო“

ხვალ ორშაბათიდან 30 მაისიდან

ეგდე ნისენი (ცნობილ სურათის „კორსარი პიეტრო“-ს გმირი) მხატვრულ შედევრში

„ერთი ღამე“

პროგრამის გარეშე ლუი-ლუნა პარკში ლოიდ გაროლდის მონაწილეობით

პირველად თბილისში ახალი ამერიკული სურათი

„КОРАБЛЬ НА МЕЛИ“

მთავარ როლში ჟენი ჟიუმო

ნ. 1259.

ანონსი: მალე მხატვრული სურათი „სამის სიყვარული“

ქალაქ ქუთაისში

გაზ. „კომუნისტზე“

ხელის მოწერა მიიღება

1. ჟურნალ გაზეთების კანტორაში—**მინა ხ. ტყაბლაძესთან.**
2. რკინიგზის კიოსკი მ. ლაღაძე—**ი. სახალაშვილთან.**
3. ბაღდათის პროფ-სამდივნო—**შავგულიძესთან.**
4. დეპო—**ნიშნიანიძესთან.**
5. დნ | 1—**გუგუნავასთან.**
6. სადგურ ტყიბული—**აბაიშვილთან.**
7. სადგურ ხრესილის—**ადგილკომში.**
8. სადგურ გელათი—**ჩოჩუასთან.**
9. სადგურ რიონის ადგილკომში—**გოცირიძესთან.**

ნ. 1254 2—1. მთავარი კანტორა.

მზადდება დასაბეჭდათ

ს. დევდარიანი

ქართული ლიტერატურის და საზოგადოებ. აზრის ისტორია

მე-19—20 საუკუნე

მთავარი თეზისები:

I.

საქართველო მე-18 საუკუნის დამლევს, საქართველო და რუსეთი.

ქართული ლიტერატურა მე-18 საუკუნის დამლევს.

II.

საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

საქართველოს გაერთიანება.

საზოგადოებრივი კლასები, საზოგადოებრივი ურთიერთობა, საზოგადოებრივი მოძრაობა, მხატვრული მწერლობა, კრიტიკა, პრესა.

III.

საქართველო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

ლიტერატურა და მარქსიზმი.

მხატვრული მწერლობა, კრიტიკა, პრესა.

IV.

მე-20 საუკუნე.

საქართველო მე-20 საუკუნის დამდეგს.

ლიტერატურული მიმდინარეობები მე-20 საუკუნეში.

ქართული ლიტერატურა 1905 წლამდე.

ქართული ლიტერატურა 1905—1917 წლ.

ქართული ლიტერატურა 1917—1920 წლ.

წიგნი გამოვა ორ ტომად.

დაწვრილებით პროგრამა გამოცხადებული იქნება ახლო მომავალში. ნ. 1220 2—2

ცეკავშირი 1 ივნისს 9 საათზე

აცხადებს

შეჯიბრებას

ყუთების მოწოდების შესახებ. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე სავაჭრო განყოფილებაში ამხ. ლატარიასთან დილის 8—9 საათამდე. ნ. 1252

ცეკავშირის და „განათლება“-ს წიგნების მაღაზიებში იყიდება ი. ავალიშვილის

„ბალანსის ანალიზი“

ფასი 1 მან. 50 კაპ.

პროვინციაში გაწერა შეიძლება ფასდადებით ავტორის ხარჯზე, 10 ცალზე ეთმობა 2 მ. მისამ.: თბილისი, ნიკოლაძის ქ. (ყ. დუშეთის) № 19, ი. ავ—ს. 2875 3—1

ბორჯომის მინერალური წყალის სამმართველო

რუსთაველის გამზირი № 10 ტელ. 6—78

საწყობები: რუსთაველის გამზირი № 33

პლეხანოვის გამზირი № 93.

წყალის ფასი საწყობებიდან: არა ნაკლებ 20 ბოთლისა ადგილზე მიტანით უჭურჭლოთ 20 კაპიკი.

ცარიელი ბოთლები მიიღება აღნიშნულ საწყობებში განუსაზღვრელ რაოდენობით ცალი 10 კაპიკად.

მუშაობა სწარმოებს 8—4 საათამდე. ნ. 1239 2—1

აპოლლო ტელ. 7—61.

არფასტო ტელ. № 19—22.

სოლეი ტელ. 20—44.

დარბაზი ტელ. 14—03.

0—20 ნ. 1094

ბარბარა ლა-მარ მხატვრულ შედევრში „მეკობრეთა შთამომავალნი“

ანონსი: ორშაბათიდან „ქალი ნისლიდან“

ნ. კოვანკო, რიმსკი და კოლინი მხატვრულ შედევრში „ქალი ნიღაბში“

(სურათს არაფერი საერთო არა აქვს სურათთან „ქალიშვილი ნიღაბში)“.

ანონსი: ორშაბათიდან 1-ლად თბილისში „Корабль на мели“

დადგმის უკანასკნელი დღე „დეკაბრისტები“

ანონსი: ორშაბათიდან „ერთი ღამე“ ეგდე ნისენის მონაწ.

ამერიკული კინო-რომანი 6 სერიათ

„ნიუ-იორკის საიდუმლოებანი“-ს

1 და 2 სერია ერთად.

ანონსი ორშაბათიდან 3—4 სერია

ანონსი: მალე 2 საუკეთესო სურათი „სამის სიყვარული“ და „მისი უდიდებულესობის სოლისტი ქალი“

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

პროფესორმა

გრ. მ. მუხაძემ

ლენინგრადში გამგზავრების გამო

შესწყვიტა

ავადმყოფების მიღება 15 ივნისამდე. 10 | 1

გურჯაანის და ლაგოდეხის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლადო ხირსელი

ამით აცხადებს, რომ ის 1927 წ. თიბათვის 1 დღესა დილის 10 საათზე სოფელ მირზაანში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ოთარ პოპიაშვილის მოძრავ ქონებას: 1) შკაფი ტანისამოსისა ორი კარით ძირს ორი უჯრით (1 ცალი) 2) კამოდი სამი დიდი უჯრით ორი პატარა უჯრით—1 ცალი, 3) ხალიჩა კედლისა სიგძე 7 არშინი სიგანე 2 ნახ. არშინი 1 ცალი, 4) ხალიჩა კედლისა სიგძე 4 არშინი სიგანე 2 არშინი 1 ცალი, 5) ხალიჩა კუშეტკისა სიგძე 4 არშ. სიგანე 2 არშინ. 1 ცალი 6) ხალიჩა კედლისა სიგძე 3 არშ. სიგანე 2 ერთი მეოთხედი არშ. 1 ცალი, 7) მაგიდა სასადილო გაჩარხული ფეხებით 1 ცალი. შეფასებული იქნება საჯარო ვაჭრობის დღეს თანადასწრებით გურჯაანის „ეპოს“ წარმომადგენლისა და ადგილობრივ მოწვეული კომისიისა. ქონება იყიდება გურჯაანის მთლიან მომხმარებელ საზოგადოების 1738 მ. და 56 კ. ვალის დასაკმაყოფილებლათ თანახმათ აღმასრულებელი ფურცლისა, გაცემული გურჯაანის სახალხო სასამართლოსგან 1927 წ. მარტის 9 დღესა თარიღით № 224 და 225. 2878

დაიკარგა ბაღ-ბოსტანის საიჯარო ხელშეკრულება ლევან რუხაძის და ალექსანდრე ბებიაევს სახელზე, ჩ. გ. 2873

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 15955 ელისაბედ სალუქვაძის სახელზე, ჩ. გ. 2880

დაიკარგა ს. კ. პ. (ბ) საწევრო ბილეთი № 0854374 ბიქტორ ფილიპეს ძე ლომაძეს სახელზე, ჩ. გ. 2879

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 94 და ატესტატი მოც. არაზინდოს სანატორ. მეთო კოკაიას სახელზე, ჩ. გ. 2874

ამიერკომის სტამბა. კამოს ქ. 68.